PRIME Time

N47 (245), ორშაბათი 25 ნოემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

საქმეები, რომლებიც სააკაშვილს 17-წლიანი პატიმრობით ემუქრება

EXCLUSIVE

ღარიბაშვილის მთავრობა სააკაშვილის დაგეგმილი ტერაქტებით ინტერესდება

ვის დაკითხავენ კაჩინსკის საქმეზე

ორი წლის კავკასიური ნაგაზის ბიბის შემზარავი ისტორია...

EXCLUSIVE

„არაადეკვატურ მდგომარეობაში იყო. დადიოდა თოფით, ჩემი ძაღლი ამ დროს გარეთ იყო გამოსული, ბიბიმ დაიწყო ყეფა, მან ესროლა, მოაჭრა თავი და ამ თავით მოიარა მთელი სოფელი“...

თამაზ ხუსკივაძე: „სანადირო მივდიოდი, ლიანდაგების პირას ვესროლე, ტანი უნდა გამეთრია და ამ დროს, როგორც ჩანს, ვიღაცამ გადაიღო ეს ფოტო“...

გოგლა ჟვანია გია ბარამიძეს მძიმე ბრალდებას უყენებს:

„გიორგი ბარამიძე იმ ავბედით დილას ზურაბ ჟვანიას მკვლელობის გაფორმებაში მონაწილეობდა“

EXCLUSIVE

EXCLUSIVE

როგორ დაგეგმა, როგორ წავიდა, როგორ შეასრულა სუიციდი ნინომ

„ფეხით სამი კილომეტრი იარა უღრან ტყეში, სახლიდან გასვლის წინ დედას უთხრა: რეესტრში მივდივარო, თავის ჩამოხრჩობის დროს კი გადარჩენა შეეძლო, მაგრამ ეს შანსი არ გამოიყენა...“

ექსკლუზიური ინტერვიუ სოზარ სუბართან

„უწყებაში ცვლილებები, რა თქმა უნდა, იგეგმება, თანაც სერიოზული...“

EXCLUSIVE

ლევან ბერძენიშვილი: „ნაციონალებმა ხელები უნდა დაიბანონ აუცილებლად, ძალიან დაუბინძურდათ მკვლელობებში, სისხლში და ასე შემდეგ“

EXCLUSIVE

ეკა ბესელია: „ტომები დევს, როგორ ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის განიავება. ნურავის გაუკვირდება, თუ ამასთან დაკავშირებით სააკაშვილს კითხვებს დაუსვამენ“

EXCLUSIVE

კომპანია RMG უკანონოდ გაფიცულ თანამშრომლებს სამუშაო ადგილებზე დაბრუნებისკენ მოუწოდებს

EXCLUSIVE

ვის წარადგენს „ნაციონალური მოძრაობა“ თბილისის მერის არჩევნებზე?

გუნდში გიგი უგულავასა და გიორგი ვაშაძის კანდიდატურებზე მსჯელობენ

როგორ ივსებოდა ნაციონალური ხელისუფლების ხაზინა? როგორ იფორმებდნენ ბიზნესებს... რა მეთოდებით ართმევდნენ მილიონებს... როგორ ასახლებდნენ საკუთარი სახლებიდან...

გელა გელაშვილი: „თუ ვინმეს სახლი მოეწონებოდათ, მათაც კი აიძულებდნენ, საკუთარი სახლი დაეთმოთ ხელისუფლებისთვის“

EXCLUSIVE

რომელ ბიზნესმენებს „შეაწერეს“ ფული იუსტიციის სახლებისთვის?

EXCLUSIVE

ნოდარ ხადური: „ეტყოდნენ, მოიტანეთ, პირობითად, საღებავი. მეორე დღეს, როცა ფულზე მიდიოდნენ, ეუბნებოდნენ: ჭკუით იყავით, თორემ დაგიჭერენ და საერთოდ დაკარგავთ ყველაფერსო, ან ვიღაცას დაუჭერდნენ და შემდეგ მიატანინებდნენ ფულს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



როგორი იყო ნინო გვასალიას ცხოვრების ბოლო წუთები

როგორ დაგეგმა, როგორ წავიდა, როგორ შეასრულა სუიციდი ნინომ

ერეკლე სტურუა

ზუსტად 25 დღე ეძებდნენ. ზუსტად ამდენივე ხანს ყველას სჯეროდა, რომ ნინო საკუთარ თავზე ინფორმაციებს სადღაც ჩუმად კითხულობდა და სჯეროდათ, რომ ის აუცილებლად გამოჩნდებოდა... ოღონდ ცოცხალი.

ნინოს ცხედარი ბაიკერებმა შემთხვევით იპოვეს. ტრაგედიის შემდეგ ოჯახის წევრები და მისი მეგობრები ცდილობენ, ნინოსთან გატარებული ბოლო დღეების ფრაგმენტები შეაგროვონ, რომ წარმოიდგინონ, როგორი იყო მისი ცხოვრების ბოლო წუთები, რათა გაიგონ, რატომ დასაჯა ნინომ ასე საკუთარი ახლობლები. რა იყო ეს – პროტესტი საკუთარი ცხოვრების მიმართ თუ, უბრალოდ, ცხოვრების პრობლემებს ვერ გაუძლო? სანამ ნინოს ეძებდნენ, დედამ ნინოს მიერ დატოვებული წერილის შინაარსი გამოაქვეყნა. იმ დღეს, როცა სახლიდან გავიდა და მხოლოდ თვითონ იცოდა, რომ აღარ დაბრუნდებოდა, მხოლოდ ერთი ფრაზით „დაემშვიდობა“ საკუთარ ოჯახს, – არ მინდა თქვენი ნაწილი ვიყოო.

მოგვიანებით პატარა ძმაც გაიხსენებს, ნინო თვითმკვლელობაზე რომ ელაპარაკებოდა. დედამ სამართალდამცავებს შვილის მუხათწყაროში მოძებნა სთხოვა. ნინო ამ ტყეს კარგად იცნობდა, ზაფხულობით იქ ისვენებდნენ ხოლმე. ნინოს მარტოს უყვარდა ტყეში სიარული.

დედას გული ცუდს უგრძნობდა. შესაძლოა იმიტომაც, რომ მისი დაკარგვის შემდეგ უკვე ყველა დეტალი აღიდგინეს, თავიდან გაიარეს მასთან ერთად გატარებული თითოეული დღე და მოულოდნელად ისევ ნინოს დედამ გაიხსენა ფრაზა, რომელიც ნინომ კარში გასვლისას უთხრა. რეესტრში მივდივარო. ცდილობდნენ ამ ფრაზასა და მის გაუჩინარებას შორის რაიმე კავშირი ეპოვათ. მერე ერთ-ერთი მეგობარი მიხვდა, რომ ეს ფრაზა ნინოს კოტე ყუბანეიშვილის ლექსიდან ჰქონდა აკვიატებული. „სიკვდილით თუ დაბადებით, ბოლოს რეესტრს ჩავბარდებით“... ნინოს ფრაზამაც, რეესტრში მივდივარო, უკვე საბედისწეროდ გაიჟღერა. თუმცა, მას მაინც ელოდნენ, თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ცოცხალი დაბრუნდებოდა.

თვითმკვლელობა იმდენად მისტიკური მოვლენაა, რომ სუიციდების ისტორიები შესაძლოა სხვადასხვა მოტივით იყოს ნაკარნახები, მაგრამ ის თითქმის ყოველთვის ერთნაირია მის აღსრულებაში – არაფერმა ხელი არ შეუშალა. ამ შემთხვევაშიც ითქვა, რომ ნინოს გზაში არანაირი დაბრკოლება არ შეხვედრია.

სახლიდან გავიდა, ტაქსიც მალევე გაჩერა, გაჩერებაზე უკვე ავტობუსი ელოდებოდა და შემდეგ ფეხით იარა მთელი სამი კილომეტრი. გზად მაღაზიაშიც შეიარა, თოკი იყიდა და მერე, ალბათ, ტყეში შესაფერის ხეს ეძებდა. რას ფიქრობდა ბოლო წუთებში? რატომ არ მოხდა რაღაც ისეთი, რომ მისთვის სუიციდის მცდელობა გადაეფიქრებინა? რატომ? ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხი ახლა ყველას აინტერესებს.

– ფეხით სამი კილომეტრი იარა უღრან ტყეში, სახლიდან გასვლის წინ დედას უთხრა: რეესტრში მივდივარო, თავის ჩამოხრჩობის დროს კი გადარჩენა შეეძლო, მაგრამ ეს შანსი არ გამოიყენა... – სინანულით ამბობენ ახლა.

და მაინც, უფრო მეტს იმაზე ფიქრობენ, რომ ხელი არაფერმა შეუშალა. კითხვა ბევრია. მაგალითად, როგორ შეძლო ამდენი ევლო ფეხით, მაშინ როცა ბოლო სამი დღე არაფერი უჭამია; როგორ მოახერხა თავის მოკვლა, როცა შეეძლო მიწაზე ფეხის დადგმა და გადარჩენა. ხომ ამბობენ, რომ ადამიანს თვითგადარჩენის ინსტინქტი აიძულებს, შეჩერდეს. ნინოს ეს ინსტინქტიც არ ჰქონდა? რატომ?

მეგობრები ამბობენ, რომ ის სიცოცხლით სავსე გოგო იყო, მხიარული, იუმორის გრძნობით. თუმცა, ბოლო დროს მაინც ამჩნევდნენ ცვლილებებს. ერთ-ერთმა მეგობარმა „პრაიმტაიმთან“ საუბარში აღნიშნა, რომ ნინო მისთვის რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ მოახერხა... ესეც ბედისწერა იყო?

22 წლის ასაკში მოიკლა თავი. გამოძიება მიმდინარეობს. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ახლა პასუხი კითხვაზე რატომ? დედისთვის ეს ნუგეში აღარ არის. ის საკუთარ თავსაც ადანაშაულებს მომხდარში. თუმცა, არის ცხოვრებაში შემთხვევები, როცა თავს ყველა დამნაშავედ გრძნობს. იმიტომ რომ ყურადღება არ მიაქციეს – ასეა ხოლმე ხშირად.

„პრაიმტაიმი“ ნინოს ბავშვობის მეგობარს დაუკავშირდა. შევეცადეთ, გაგვეგო, როგორი იყო ნინოს ოცნებები, მიზნები და მისი ცხოვრება 22 წლამდე...

ირინა გელაშვილი, ნინო გვასალიას მეგობარი:

– ნინოს ერთი წლის ასაკიდან ვიცნობ, ჩვენ „ბასტი-ბუბუდან“ მოვდივართ ერთად. დედაჩემი „ბასტი-ბუბუში“ მუშაობდა, სწორედ იქ გავიცანით ნინოც და დედამისიც და მას შემდეგ სულ ერთად ვიყავით. კონცერტებში ვმონაწილეობდით. 1990-იან წლებში, როცა არც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სახლიდან გასვლამდე

EXCLUSIVE

„ფეხით სამი კილომეტრი იარა ულრან ტყეში, სახლიდან გასვლის წინ დედას უთხრა: რეესტრში მივდივარო, თავის ჩამოხრჩობის დროს კი გადარჩენა შეეძლო, მაგრამ ეს შანსი არ გამოიყენა...“

„მშობლებს რაღაცებში არ ეთანხმებოდა და პროტესტი ჰქონდა ამის გამო. უფრო პირადი, ოჯახური საკითხები იყო“

შუქი იყო, არც გათბობა, მათ სახლში ყოველთვის იყო სითბოც და დენიც. სულ ჩართული იყო ტელევიზორი, თანაც მუდმივად „ბასტი-ბუბუზე“ და იქ ვიყავი თითქმის მთელი დღეები. ძალიან მხიარული გოგო იყო. ერთმანეთის საიდუმლოებები ვიცოდით, ყველაფერს ვუყვებოდით. ზოგადად, მუსიკა ძალიან უყვარდა, ყველა ჟანრს უსმენდა, ამოჩემებული არ ჰქონდა რომელიმე მიმართულება. მაგრამ ბოლო პერიოდში „პინქ ფლოიდი“ შეუყვარდა ძალიან. იტაცებდა ფსიქოლოგია, ძირითადად მთელი დღეები იჯდა და ფსიქოლოგიურ ლიტერატურას კითხულობდა. მაგალითად, ბოლო პერიოდში გიჟდებოდა დოსტოევსკიზე. სულ კითხულობდა და მერე იყო მეგობრებთან ერთად ნაწარმოებების გარჩევა.

– თქვენთან უსაუბრია საკუთარ პრობლემებზე?

– კი, როგორ არა. ზოგადად, გამოხატავდა ხოლმე საკუთარ ემოციებს. გარდაცვალებამდე ბოლო სამი დღე ვერ ვნახე. ბოლოს დედამისის დაბადების დღეზე შევხვდი, ვერ იყო ხასიათზე, შევამჩნიე. ძალიან დიდი იუმორის მქონე ადამიანს, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში ხუმრობს, ვერასოდეს შეამჩნევ, როდის არის ცუდ ხასიათზე და როდის – არა. ასე იყო ნინოც, ის ძალიან მხიარული ადამიანი იყო. ამის შემდეგ კიდევ დავურეკე, კონცერტზე უნდა წავსულიყავით ერთად, ისიც მოდიოდა, მაგრამ ბოლო მომენტში რატომღაც გადაიფიქრა. ეს იყო 9 ოქტომბერს... ბოლოს, როცა ერთად ვიყავით, მითხრა, რაღაც უნდა გითხრაო, მაგრამ იმ დღეს ბევრ ხალხში ვტრიალებდით და მარტო ვერ ვნახეთ ერთმანეთი, რომ გვესაუბრა.

– ხვდებით, დაახლოებით რის თქმა უნდოდა?

– არა, ვერ ვხვდები. მე ვერ მეტყოდა საკუთარ გადაწყვეტილებაზე, ამაში დარწმუნებული ვარ. იმიტომ რომ დაუშვებდა, რომ მე მის გადაწყვეტილებას ხელს შევუშლიდი რამენაირად მაინც... ან ვიტყოდი... ან რამეს გავაკეთებდი სხვას. ხელს აუცილებლად შევუშლიდი.

– რომელი იყო მისი საოცნებო ქვეყანა, საზღვარგარეთ წასვლა თუ უნდოდა?

– ძალიან მოსწონდა გერმანია და სულ ამბობდა, იქნებ წავიდეო... იქ ცხოვრება უნდოდა. მშობლებს რაღაცებში არ ეთანხმებოდა და პროტესტი ჰქონდა ამის გამო. უფრო პირადი, ოჯახური საკითხები იყო. ძმები ძალიან უყვარდა, ხანდახან დედასავით იყო მათთვის. როდესაც მან თავის პატარა ძმას უთხრა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ, ალბათ, ჩათვალა, რომ ეს მათ უნდა სცოდნოდათ. დარწმუნებული ვარ, თავის ძმას ესეც ხუმრობით, სიცილითა და იუმორით უთხრა. ამიტომ ვერაფრით ვერ დაუშვებდა ილია, რომ ის მართლა იყო ამის გამკეთებელი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კახიშვილი ნარმანიას გადადგომას ურჩევს

ივანიშვილმა პოლიტიკა დატოვა, ღარიბაშვილმა პოლიტიკური გუნდი დააკომპლექტა EXCLUSIVE

ნინო დათაშვილი

7 თვის წინ პირველად და 7 თვის შემდეგ უკანასკნელად ბიძინა ივანიშვილმა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობა ჩაატარა (პარტია უფრო ადრე დაფუძნდა).

პირველ ყრილობაზე ბიძინა ივანიშვილი უტასთან ერთად მივიდა. მაშინ თავად უტაც პირველად გამოჩნდა, თუმცა, ღია განცხადებები არ გაუკეთებია. ყრილობაზე მშობლების გვერდით იჯდა, მის გვერდით კი ირაკლი ღარიბაშვილი იყო. ივანიშვილს მარცხნიდან ირაკლი ალასანია უმშვენებდა გვერდს. სხდომა მანანა კობახიძეს მიჰყავდა.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უკვე შემოსული იყო, 21 აპრილის ყრილობაზე მან პარტიის სტრუქტურის ჩამოყალიბება დაიწყო. პირველი საბჭოც მაშინ აირჩიეს. მანანა კობახიძემ იმ თერთმეტი კაცის სია წაიკითხა, ვინც საბჭოში შევიდა. ირაკლი ღარიბაშვილი მათ შორის არ იყო.

თუმცა, უკვე 24 ნოემბერს ჩატარებულ ყრილობაზე სწორედ ირაკლი ღარიბაშვილმა გადაიბარა ბიძინა ივანიშვილის პარტიული მემკვიდრეობა. ის ახლა ივანიშვილს მარჯვნივ ეჯდა, დავით უსუფაშვილი – მარცხნივ. საბჭოს შემადგენლობა ხელახლა დაამტკიცეს. ამჯერად სია ირინა იმერლიშვილმა ჩაიკითხა, რომელიც უშიშროების საბჭოს მდივნად უკვე დაინიშნა. მან ამ პოსტზე გიგა ბოკერია შეცვალა.

ითქვა, რომ პოლიტსაბჭო 21 კაცისგან შედგებოდა, თუმცა, აპრილის ყრილობაზე მხოლოდ 11 კაცი აირჩიეს. ახლა კი 21-დან მისი შემადგენლობა 12-ზე დაიყვანეს.

მაშინ ყრილობაზე დაამტკიცეს: თამაზ ავდალიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ივანე კიღურაძე, გუგული მაღრაძე, გურამ ოდიშარია, ირაკლი სესიაშვილი, სოზარ სუბარი, ელისო ჩაფიძე, ნოდარ ხადური, გელა ხვედელიძე, თედო ჯაფარიძე.

თუმცა, პარტიის ვებგვერდზე სიის 21-კაციანი შემადგენლობაა დაფიქსირებული და ის ასე გამოიყურება: ელისო ჩაფიძე, ეკა ბესელია, გუგული მაღრაძე, ირინა იმერლიშვილი, ივანე კიღურაძე, ირაკლი ტრიპოლსკი, ირაკლი სესიაშვილი, თამაზ ავდალიანი,ზვიად კვაჭანტირაძე, ზაქარია ქუცნაშვილი, მურმან დუმბაძე, ნოდარ ხადური, კახა კალაძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, დავით ფაცაცია, ირაკლი ჟორჟოლიანი, ალი ბაბაევი, გივი ჭიჭინაძე, დავით საგანელიძე, უჩა მამაცაშვილი, მანანა კობახიძე.

ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობა ყრილობას გუშინ წარუდგინა. ესენი არიან: კახი კალაძე, ნოდარ ხადური, ირინა იმერლიშვილი, გიორგი ვოლსკი, მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, თამაზ ავდალიანი, დავით საგანელიძე, ირაკლი ტრიპოლსკი, თემურ ჭკუასელი, ირაკლი სესიაშვილი და არმაზ ახვლედიანი. საბჭოში ავტომატურად შედის ირაკლი ღარიბაშვილიც, რომელიც საბჭოს უხელმძღვანელებს.

„სამართლიანი იქნება, თუ ეს კანდიდატი თანამდებობიდან გადადგება და ისე მოემზადება არჩევნებისთვის“

როგორც ხედავთ, ახლა პარტიის საბჭოში არ მოხვდნენ ელისო ჩაფიძე, სოზარ სუბარი, გუგული მაღრაძე, გურამ ოდიშარია, თედო ჯაფარიძე...

შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა საბჭოს შემადგენლობა თითქმის მთლიანად გადაახალისა. საბჭოში პირველად მოხვდა, მაგალითად, არმაზ ახვლედიანი... ქუცნაშვილი, რომელსაც დაპირისპირება ჰქონდა დავით საგანელიძესთან, საბჭოს მიღმა დარჩა.

ბიძინა ივანიშვილი ამ ყრილობაზე ბოლოჯერ გამოჩნდა პოლიტიკაში, როგორც პოლიტიკოსი. მან თქვა, რომ ქვეყანას საიმედო ხელში ტოვებს და ის გუნდიც დაასახელა, ვისი იმედიც აქვს:

– საქართველო თავისუფალია მოძალადე რეჟიმისგან, სახელმწიფო ინსტიტუტები განთავისუფლებულია ხელისუფლების ზეწოლისგან, საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი, რომელიც ყველას ინტერესების დამცველი, მთელი ქვეყნის პრეზიდენტი იქნება; საქართველოს ჰყავს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი, რომელიც ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოლიტიკოსია; საქართველოს ჰყავს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც მთავრობასთან ერთად, დარწმუნებული ვარ, ფეხზე დააყენებს ქვეყანას. დღეიდან მე თქვენ წინაშე ვდგავარ არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ, როგორც ამ ქვეყნის ერთი მოქალაქე. მე მივდივარ პოლიტიკიდან და ვრჩები აქტიურ მოქალაქედ. არ არსებობს იმაზე დიდი პატივი, იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, მეტიც, იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე იყო შენი ქვეყნის ერთი ჯარისკაცი, შენი საზოგადოების რიგითი წევრი. მე ვიქნები ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოქალაქე, ვინც გააკონტროლებს ხელისუფლებას სწორედ სამოქალაქო პოზიციებიდან. დარწმუნებული ვარ, ჩემი საზოგადოებაში ყოფნა და აქტიური საქმიანობა მეტ სიკეთეს მოუტანს ჩემს ქვეყანას. მე გაძლევთ სიტყვას, რომ სულ ცოტა ოცი წელი, მთელ ენერგიას, ცოდნას, გამოცდილებას მოვახმარ ჩემი სამშობლოს ფეხზე დაყენებას. მხარს დავუჭერ ყველა ხელისუფლებას, რომელიც ხალხის სამსახურში იდგება, არავის დავამადლი რჩევებს და არც კრიტიკას მოვაკლებ ვინმეს, თუ ამას დაიმსახურებს. მე, თქვენთან ერთად, არ დავიღლები ხელისუფლებაში მყოფი პირებისთვის იმის შეხსენებით, რომ ხელისუფლება უნდა ემსახუროს ხალხს და არა პირიქით, რომ კანონები მეტი თავისუფლების უზრუნველსაყოფად გვჭირდება და არა მეტი შეზღუდვებისთვის, რომ სამართლიანობა მართალის ძლიერებას ნიშნავს და არა ძლიერის სიმართლეს, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პოლიტიკიდან წასვლამდე ბიძინა ივანიშვილმა მერობის კანდიდატურაც დაასახელა. ამ თემაზე პარტიის საბჭოს ძველმა შემადგენლობამ ივანიშვილთან ერთად იმსჯელა. მერის პოსტზე „ქართულმა ოცნებამ“ დავით ნარმანია წარადგინა. ნაციონალები ჯერჯერობით არ ჩქარობენ საკუთარი კანდიდატურის დასახელებას. პარტიას ჯერ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია, სამაგიეროდ კანდიდატმა გავრცელებული ხმები დაადასტურა. **კახი კახიშვილმა კი ინფრასტრუქტურის მინისტრს კანონი შეახსენა და მას თანამდებობიდან გადადგომა ურჩია:**

– პირადად დავით ნარმანიას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, წესიერი და კვალიფიციური ადამიანია, მაგრამ შემოგთავაზებთ ჩემს მოკრძალებულ აზრს მერობის კანდიდატის დასახელების შესახებ: არჩევნები დანიშნული არ არის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 165-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მერის არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, თბილისის მერის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა. არჩევნების თარიღის დანიშვნის გარეშე, მერობის კანდიდატად წარმოგვიდგინეს მოქმედი მინისტრი, რომელიც არჩევნების დანიშვნამდე, მინისტრის რანგში წარმართავს საარჩევნო კამპანიას. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 167-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის მერობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან განისაზღვრება ამავე კოდექსის 136-ე მუხლით დადგენილი წესით, ხოლო 136-ე მუხლში წერია, რომ საკრებულოს წევრობის ან მერობის კანდიდატად დასახელების შემთხვევაში თანამდებობრივი უფლებამოსილება უწყდებათ მინისტრებს (136-ე მუხლის, 1 პუნქტის, ბ ქვეპუნქტი). გასაგებია, რომ ოპონენტი განმარტავს, რომ კოალიციამ წარმოადგინა მერობის კანდიდატი, მაგრამ არჩევნები არ არის დანიშნული, ის არ არის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტად და ამიტომ მასზე არ ვრცელდება საარჩევნო კოდექსის აკრძალვები (ამას მუდმივად აცხადებდა ერთიანი „ნაციონალური მოძრაობა“, რაც ამ კოდექსით ნამდვილად ასეა, მაგრამ არასამართლიანი). ამავდროულად დე ფაქტო ამ კანდიდატს უკვე აქვს გაცხადებული საარჩევნო პოლიტიკური მიზნები და შესაბამისად, დე ფაქტო ის უკვე თავისთავად ჩაერთვება საარჩევნო კამპანიაში... მესმის, რომ ძალიან მომგებიანია, როდესაც მოქმედი მინისტრი, მინისტრის ამპლუაში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, სამსახურებრივი მანქანის, საწვავისა და სხვა პრივილეგიების გამოყენებით მზრუნველი მინისტრის ამპლუაში გამართავს შეხვედრებს მოსახლეობასთან, მის საქმიანობას აქტიურად გააშუქებს მედია, მაგრამ რამდენად სამართლიანი იქნება აღნიშნული, რთული მისახვედრი არ არის. ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში, იკვეთება არათანაბარი გარემო. თუ კოალიციამ შეარჩია კანდიდატი, ბუნებრივია, სამართლიანი იქნება, თუ ეს კანდიდატი თანამდებობიდან გადადგება და ისე მოემზადება არჩევნებისთვის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„დიდი პოლიტიკის“ ახალი აქცენტები

„ეს იყო პირდაპირი ეთერი, როცა ძლივს შევიკავე თავი“

my View
ინგა გრიგოლია

გასულ პარასკევს ემოციურად ყველაზე მძიმე გადაცემა მქონდა... ეს იყო პირდაპირი ეთერი, როცა ძლივს შევიკავე თავი, რომ ჩემს სტუმართან ერთად არ ავტირებულიყავი. გადაცემის მერე მივიღე უამრავი ზარი და უამრავი წერილი „ფეისბუკში“. ახალი თითქოს არაფერი თქმულა... ყველამ ისედაც იცოდა, რა დღეში ჰყავდათ ბიზნესი წლების განმავლობაში და როგორ ხდებოდა უზარმაზარი თანხების ამოღება პროკურატურის, კუდ-ისა და ციხის გავლით... როგორ აიძულებდნენ ბიზნესმენებს გაუგებარ და უსარგებლო ობიექტებში მილიონების გადახდას. მაგრამ ისტორია, რომელიც ჩემი გადაცემის ერთ-ერთი სტუმრისგან – ნათელა ყანჩაშვილისგან მოვისმინე, ამ მილიონიანი ბრუნვების მასშტაბებს სცილდება და უმძიმეს ადამიანურ ტრაგედიამდე დადის... აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით მსხვილი ბიზნესების ტერორსა და მილიონების „ახევაზე“... ქალბატონი ნათელას ტრაგედია მცირემასშტაბიან ბიზნესს უკავშირდება, რომლის გასამართად ოჯახმა ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად საკუთარი საცხოვრებელი ბინა ჩადო... საქმე ახმეტის ხე-ტყის ქარხანას ეხებოდა, რომელსაც მისი ოჯახის ბედნიერება გადაყვა და მისი მეუღლის, როლანდ ყანჩაშვილის სიცოცხლე შეიწირა... ვიღაცას არ აწყობდა ამ ქარხნის სახით კონკურენტი და ყველაფერი ჩვეული სცენარით განვითარდა – როლანდ ყანჩაშვილის დაპატიმრება, ქარხნის მფლობელის მიერ ციხეში ლიცენზიაზე უარის იძულებით თქმა, საპროცესო გარიგებები, რომლის თანხებმა მთლიანად გააკოტრა ოჯახი და ამ ნერვიულობის ნიადაგზე გულის შეტევით როლანდ ყანჩაშვილის გარდაცვალება. დღეს ქალბატონი ნათელა მარტო ზრდის ორ მცირეწლოვან შვილიშვილს და ყოველ წუთს ელოდება, როდის გამოასახლებს ბანკი საკუთარი ბინიდან... ტრაგედია მოხდა მხოლოდ იმის გამო, რომ ხე-ტყის ბიზნესში ჩართულ მაშინდელ მაფიას (რომელიც, ნათელა ყანჩაშვილის თქმით, ყოფილი ხელისუფლების „დაკრიშვით“ ხდებოდა) არ სჭირდებოდა კონკურენტი ბაზარზე და ასე, ციხითა და მუქარით მარტივად მოაგვარეს თემა....

ეს გასული წლების ადამიანური ტრაგედიების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია... არაადამიანური დამოკიდებულებებით გამოწვეული ადამიანური ტრაგედიების... ყველანაირი ლოგიკით, სწორედ მსგავსი საქმეების გახსნით დაიწყება ქვეყანაში ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესი... სავარაუდოდ, სწორედ ამ ისტორიებზე გავლითა და ამ ტრაგედიების გამოძიებით დაიწყებს მუშაობას ახალი მთავარი პროკურორი... ახალი პრემიერის დამტკიცებისას პარლამენტში ეს ისედაც ცხადი გახდა... როცა ირაკლი ღარიბაშვილმა არაერთხელ შეახსენა ნაციონალებს უამრავი კანონდარღვევისა და ელიტური კორუფციის ფაქტი და ფაქტობრივად, გამოძიებით დაემუქრა... შემთხვევითი, ალბათ, არც ის იყო, რომ სწორედ საპარლამენტო ტრიბუნებიდან გახდა ცნობილი, როგორ ახდევინებდნენ 120 კვადრატულ მეტრ მიწაში ახალციხის ერთ-ერთ სოფელში ციხეში გამოკეტილ ბიზნესმენ ზაალ იაკობიძეს 2 მილიონს ან როგორ გადააფორმებინეს გარაჟი მილიონნახევრად ბიზნესმენ ბესო ხარძიანს... ასეთი მაგალითები ორდღიანი საპარლამენტო დებატებისას მრავლად მოვისმინეთ... შესაბამისად, გაჩნდა მოლოდინიც, რომ სწორედ ეს და მსგავსი საქმეები გახდება ძველი ხელისუფლების ბევრი წარმომადგენლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზეზი... სხვანაირად ღარიბაშვილს გაუჭირდება, დასავლელი პარტნიორები დაარწმუნოს, რომ ქვეყანაში პოლიტპატიმრები არ ჰყავს... და რომ რომელიმე ყოფილი მაღალჩინოსნის დაპატიმრება არაა ოპონენტებზე პოლიტიკური ანგარიშსწორება...

როგორც ჩანს, ამიტომაც გადაიყვანა ღარიბაშვილმა მთავარ პროკურორად სწორედ ფინანსური პოლიციის ყოფილი შეფი, რომლის მთავარი პრიორიტეტი სწორედ ეკონომიკური დანაშაულების გამოძიება და ამ საქმეებში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების როლი გახდება.

პრინციპში, ღარიბაშვილს სხვა არჩევანი არც აქვს... 700 მილიონით გარღვეული ბიუჯეტის ფონზე მისი, როგორც პრემიერ-მინისტრის, პოლიტიკური ნათლობა, სავარაუდოდ, იმ ადამიანების საქმეების გახსნით მოხდება, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ სამართლიანობის აღდგენას სთხოვენ... „თუ ეს ვერ მოხერხდება, მაშინ ეს ხელისუფლებაც ისევე დამარცხდება, როგორც წინას დაემართა“, – ამბობს ყოფილი პატიმარი ხარძიანი...

ეს ვარაუდი საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, რომ ბოლო რამდენიმე დღეა, მთავარ აქცენტებს სწორედ ამ საქმეებზე აკეთებენ ხელისუფლების წარმომადგენლები... მათ შორის ვიცე-პრემიერი კვირიკაშვილი და ფინანსთა მინისტრი ხადური...

„მე ჩემი ერთი წელი თითქმის სრულად დავხარჯე იმ ბიზნესმენებთან შეხვედრებში, რომლებიც ხელისუფლების ტერორს განიცდიდნენ... მე ვიცი, როგორ აპატიმრებდნენ ზეწოლის მიზნით მათ მეუღლეებსა და ოჯახის წევრებს“, – ამბობს ეკონომიკის მინისტრი.

იგივეს საუბრობს ფინანსთა მინისტრიც: „უამრავი უკანონოდ ჩატარებული ტენდერისა და კანონდარღვევის გამო, რა თქმა უნდა, ბევრს მოუწევს პასუხისგება“.

მოლოდინი, რომ ღარიბაშვილის დავალებით ოთარ ფარცხალაძე თაროებიდან გადმოიღებს სწორედ ამ დატერორებული ადამიანების საქმეებს, რომლებსაც იძულებით ათმობინებდნენ ქონებას და ახდევინებდნენ დიდ თანხებს, კიდევ უფრო გაამყარა პარასკევის „დიდ პოლიტიკაში“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებებმა... ეკა ბესელია ამბობს, რომ ორშაბათიდან ახალი მთავარი პროკურორის სახელზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით პარლამენტიდან პირადად გადაუგზავნის შესაბამის მასალებს ფარცხალაძეს მთელ რიგ საქმეებზე, რომელიც გახდება ბევრი ყოფილი მაღალჩინოსნის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი... ბესელიას თქმით, ეს მასალები გამოძიებას ბევრ ცნობილ სახელსა და გვარამდე მიიყვანს, მათ შორის მიხეილ სააკაშვილამდე და მისი ოჯახისა და უახლოესი გარემოცვის წევრებამდე...

ივანიშვილი წავიდა... დღეიდან ქვეყანა ღარიბაშვილის მმართველობაში გადადის... სამართლიანობის აღდგენის პიროობის შესრულება-ვერშესრულება, ალბათ, ერთგვარი ტესტი იქნება ახალი პრემიერისთვის... ყოველ შემთხვევაში დებატებისას „ნაციონალური მოძრაობის“ მისამართით მიმართული მისი ორი ფრაზა – „მე არაფერი მაქვს სანერვიულო... სანერვიულო თქვენ გაქვთ... დაელოდეთ გამოძიებას“ – უკვე დღეიდან ნამდვილად აჩენს იმის მოლოდინს, რომ მთავარი სტრუქტურა მთავარი პროკურატურა გახდება... მით უფრო, რომ ერთადერთი ცვლილება, რომელიც სახელისუფლებო გუნდში მოხდა, არჩილ კბილაშვილის ჩანაცვლება აღმოჩნდა ოთარ ფარცხალაძით... მთავარ პროკურორს დღეს პირველ მასალებს პარლამენტიდან პირადად ეკა ბესელია გადასცემს.

„გადაცემის მერე მივიღე უამრავი ზარი და უამრავი წერილი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ ივსებოდა ნაციონალ

მარიამ ნადირაძე

ბიუჯეტში რამდენიმე ასეულმილიონიანმა გარღვევამ „ნაციონალური მოძრაობა“ გამოაფხიზლა და შეტევის ხასიათზე მოიყვანა. ეს თემა ახალი მთავრობის დამტკიცებისას გამართული დებატების დროსაც განხილვის ერთ-ერთ მთავარ საგნად გადაიქცა. ნიშნის მოგებისთვის კი საფუძველი ნამდვილად იყო, რადგან ერთი ათეული წლის განმავლობაში დავიწყებული ტერმინები - სეკვესტრი და საბიუჯეტო გარღვევა, ამჯერად ისევ აქტუალური გახდა.

თუმცა, უმრავლესობამაც არაერთი მოზრდილი ქვა ისროლა ოპოზიციის „ბაღ-ბოსტნის“ მისამართით და მათ სისტემური ძალადობების ფაქტები გაუხსენა.

„მეოცნებეებმა“ ოპონენტებს თითი დაუქნიეს - ხომ არ გგონიათ, დაგვავიწყდა ბიუჯეტის შევსების თქვენეული მეთოდებიო...

ფორუმელმა ანი მიროტაძემ სტატისტიკური მონაცემებიც მოიშველია იმის დასადასტურებლად, თუ რა წილი ერგებოდა ხაზინაში შესული თანხებიდან საპროცესო შეთანხმებების წყალობით „გამოძალულ“ შემოსავალს: „2007 წლიდან ამ გზით თანხების ამოღების დინამიკა ორმაგდება - ამტკიცებს დეპუტატი, - 49 მილიონი, 51 მილიონი, 72 მილიონი, 82 მილიონი. 2012 წელს ამ ხერხით მიღებულმა შემოსავალმა 73 მილიონს მიაღწია. ეს რაოდენობა მოგვიანებით იმიტომ არ გაიზარდა, რომ უბრალოდ, არ დასცალდათ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ციფრები ძალიან მცირე ნაწილია იმ ამოღებული თანხებიდან, რომლის დანარჩენი ნაწილი კონკრეტული მაღალჩინოსნების ჯიბეებში ილექებოდა, რომლებსაც სააკაშვილი გაღლეტილებს ეძახდა“.

ნაციონალური ხელისუფლების მხრიდან ბიუჯეტის შევსების მეთოდებს ჩვენთან საუბარში სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი კიდევ უფრო მეტად შიფრავს. როგორც გაირკვა, თავის დროზე, საკუთარი კომპანიის მაგალითზე გელა გელაშვილიც ამ მეთოდების მსხვერპლი აღმოჩნდა.



„ჩვენს დირექტორს ასე განუცხადეს: „რაც მოუვიდა სვანეთში დარეჯანს, იმაზე უარესი მოგივა შენ, თუ ამ თანხას მოითხოვო!“

გელა გელაშვილი

სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი საკუთარი ბიზნესის „დაყაჩაღებაზე“ ალაპარაკდა

„პრაიმტაიმი“ გელა გელაშვილს ესაუბრება:

- სირცხვილია ნაციონალების მხრიდან ბიუჯეტის შევსებაზე საუბარი, რადგან ჩვენ დღეს სწორედ მათი დათესილი ძალადობის შედეგებს ვიმკით. უცნაურია, როგორ ავიწყდებათ ის ძალადობრივი ფაქტები, რაც მათ 9 წლის განმავლობაში ბიზნესზე და კერძო პირებზე განახორციელეს.

- კონკრეტულად რა ფაქტებს გულისხმობთ?

- თუნდაც ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მისამართით განხორციელებული დევნა და ძალადობაა საკმარისი საერთო სურათის შესაქმნელად. მას, თავის დროზე, სიღნაღში ძალით აყიდინეს ე.წ. გარაჟი. როგორც თავად ხარძიანი აცხადებს, ქონების რეალური ფასი 30 ათასი ლარი იყო და ის იძულებით მილიონნახევარ ლარად აყიდინეს. ეს იყო სახელმწიფო ქონება.

- იძულების საფუძველი რა იყო?

- რა თქმა უნდა, ფულის გამოძალვა. გახსოვთ, ალბათ, რომ ბესო ხარძიანი კუს ტბის ერთ-ერთი მეპატრონე იყო. მოგვიანებით ის მაინც დაიჭირეს. კუს ტბის წილიც წაართვეს... სამწუხაროდ, ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა. „სენტასა“ ისტორიაც ასეთი ძალადობის ნათელი მაგალითია. მის მფლობელებსაც იძულებით დაათმობინეს კომპანია, რომლის ღირებულებაც 100 მილიონს აღწევდა. უბრალოდ, უთხრეს, რომ უნდა დაეთმოთ ეს კომპანია. მათ ბანკის დავალიანება ჰქონდათ. ხელისუფლებამაც შესთავაზა გარკვეული თანხა ვალების გასასტუმრებლად, რომ გასუფთავებული კომპანია გადაებარებინათ. საბოლოოდ მხოლოდ 6 მილიონი დარჩათ. არადა, ეს იყო ძლიერი კომპანია, რომელიც ბანკის ვალს ისედაც გაისტუმრებდა წელინად-ნახევარში. მას ჰქონდა ბენზინგასამართი სადგურები და ნავთობბაზები... როდესაც აღმოაჩინეს, რომ „სენტასა“ 6 მილიონი მაინც დარჩა, დაიჭირეს მისი მფლობელები, ჩასვეს ციხეში და დაიწყეს მოლაპარაკება, რომ მათ თავისუფლების სანაცვლოდ ბიუჯეტში უნდა გადაეხადათ 2 მილიონი, 4 მილიონი უნდა ჩაედოთ ახტალის განვითარების ფონდში. იმ ახტალაზეა საუბარი, როდესაც წინა საპარლამენტო არჩევნების დროს სააკაშვილი ასე აპირებდა - ჩვენ მალე დავიწყებთ ახტალის რეაბილიტაციასო. ამ დროს მას იმ დაჭერილი ბიჭებისგან გირაოსთვის გაღებული ფულის იმედი ჰქონდა. რაც შეეხება იმ 2 მილიონს, რომლის შეტანა ბიუჯეტის ანგარიშზე შესთავაზეს, ასეთი მისამართით გაუშვეს: ადიგენის რაიონში არის სოფელი ჭვინთა. ამ სოფელში 120 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი მათ 2 მილიონად დაუფასეს. ბიზნესმენებმა გაიკვირვეს, ასეთი თანხით ეს ნაკვეთი როგორ შევიძინოთო? ამიტომ, აუხსნეს, რომ აუქციონზე უნდა გასულიყო ეს ფართი, რომლის ღირებულება, რეალურად, 5 ათას ლარს შეადგენდა. წესით, პირველი ბიჯი რომ ცხადდება, მისი ღირებულება საერთო ღირებულების 10 პროცენტია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 500 ლარია. ხელისუფლებამ უთხრა, რომ პირველივე ბიჯის შემდეგ თანხა 2 მილიონამდე ანიეთო. როგორც ჩანს, ადიგენის რაიონში მიწები ასე ვანო მერაბიშვილის იქაური წა-

კუს ტბა

ბესო ხარძიანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერი ხელისუფლების ხაზინა?

როგორ იფორმებდნენ ბიზნესებს...
რა მეთოდებით ართმევდნენ მილიონებს...
როგორ ასახლებდნენ საკუთარი სახლებიდან...

EXCLUSIVE

რმოშობის გამო გაძვირებულა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით...

- გინდათ თქვათ, რომ არარეალურ ფასად სახელმწიფო ქონების გაყიდვა ბიუჯეტის შევსების გამო ხდებოდა?

- ბუნებრივია... თუმცა, ეს არ იყო ერთადერთი მეთოდი... ამის გარდა, ბიუჯეტის შესავსებად წნორში გაყიდეს საბავშვო ბაღი. მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ეს საკმაოდ დიდი სოფელია. ამიტომ იქ დღეს არსებული ერთი საბავშვო ბაღი საკმარისი არ არის. მე იძულებული ვარ ვთხოვო იმ კომპანიას, რომ როგორმე, იქნებ უკან გამოვისყიდო ეს ბაღი. ჩვენ რომ ასეთი შენობა ავაშენოთ, ამისთვის მილიონი დაგვჭირდება.

- თავის დროზე, რა ფასად გაიყიდა ბაღის შენობა?

- თუ არ ვცდები, 250 ათას ლარად. არც იმ კომპანიას უნდოდა ყიდვა. იმასაც ძალით აყიდინეს, რადგან ბიუჯეტში ფული სჭირდებოდათ. კომპანიის მფლობელმა თვითონ განაცხადა, ბაღის ყიდვის სურვილი საერთოდაც არ მქონიაო. იგივე მიზნით გაიყიდა სარაჯიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი სიღნაღში. ახლა ვწვალობთ, რომ როგორღაც გამოვნახოთ რაღაც ფართი ამ მუზეუმისთვის... სახელმწიფო ქონებების გაყიდვას ვინ ჩივის, როცა თუ ვინმეს სახლი მოეწონებოდათ, მათაც კი აიძულებდნენ საკუთარი სახლი დაეთმოთ ხელისუფლებისთვის. ბაადურ მილაშვილისთვის ერთი ლარი არ გადაუხდიათ, ისე გადააფორმებინეს ქონება ჯერ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, შემდეგ კი მიყიდეს თიბისი ბანკს.

- კერძო საკუთრებაზე საუბრობთ?

- დიახ. საცხოვრებელი სახლი იყო, რომელსაც არ იყენებდა იმ ეტაპისთვის. ახლა იქ თიბისი ბანკია განთავსებული.

- მილაშვილს რას ერჩოდნენ?

- არაფერს... უბრალოდ, მოეწონათ შენობა და მისი ადგილმდებარეობა. რაც მოეწონებოდათ, ყველაფერი მიჰქონდათ. თუ სახელმწიფო საკუთრება იყო, უპრობლემოდ ჰყიდდნენ, თუ კერძო საკუთრება იყო, იბარებდნენ, ემუქრებოდნენ, აშინებდნენ და ა.შ. ბაადურ მილაშვილის გარდა სხვებსაც მოექცნენ ასე. „თიბისისთვის“ მისაცემად ელიკო ბერულაშვილსაც წაართვეს საცხოვრებელი სახლი, რომელიც მილაშვილის მეზობლად იყო აშენებული. თანხა სად წაიღეს, ვერ გეტყვით... იყო ასეთი პირი, გელა ბეჟაშვილი, რომელსაც ბაზარი წაართვეს... ხალხს საძოვრები გაუყიდეს და საშინელ მდგომარეობაში არიან სოფლების მაცხოვრებლები. ერთი სიტყვით, არაფერი დატოვეს გასაყიდი. აი, ასე ივსებოდა მათი ბიუჯეტი.

- მგონი თქვენს საკუთარ კომპანიაზეც განხორციელდა მსგავსი სახის შეტევა...

- 2000 წელს ერთ-ერთი პირველი ინვესტიცია განხორციელდა უცხოელ პარტნიორებთან ერთად. სენაკში აშენდა ევროპული დონის ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხანა, თავისი სასტუმროთი. მუშებისთვის სასადილოც იყო, საშხაპეები. დაყენებული იყო ბოლო დონის კომპიუტერული სისტემა, აშენებული იყო ოფისები. ერთი სიტყვით, აშენდა ძალიან მაღალი დონის ქარხანა. ჩამოსული იყო შევარდნაძე, ბრძანდებოდა ბურჯანაძე. კომპანიას „ქსილო-ტრანსი“ ერქვა. 300 ადამიანი იყო დასაქმებული და ხელფასები 500-1000 ლარს შეადგენდა იმ დროისთვის. როდესაც „ვარდების ხელისუფლება“ მოვიდა, ამას აღფრთოვანებით შეხვდა... ჩვენ ამ წარმოების გაფართოებას ვაპირებდით. ბენდუქიძეს ვუთხარით, რომ იმ ტერიტორიაზე რა რაოდენობის ხეც გაიჩეხებოდა, ორი იმდენს დავრგავდით. გზების შეყვანა იყო საჭირო, ხანძარსაწინააღმდეგო ზოლი გავაკეთეთ. ბენდუქიძემ ასეთი პასუხით გამოგვიშვა - ჩვენ ყველაფერი უნდა გავყიდოთ, არ გვაინტერესებს მომავალში რას გააკეთებთ, ფული გადაგვიხადეთო. გახსოვთ, ალბათ, ბენდუქიძის ცნობილი გამოსვლა - ყველაფერი უნდა გავყიდოთ, სინდისის გარდაო. მას სინდისი არ გააჩნდა, თორემ მასაც გაყიდდა, ალბათ. ჩვენთვის მიუღებელი იყო ის რაოდენობა, რა თანხებსაც ისინი ითხოვდნენ. იქ საკმაოდ ძვირადღირებული საბაგირო გზები უნდა გაკეთებულიყო შეშის გადმოსაზიდად...

- რა თანხებს ითხოვდნენ?

- საუბარი იყო 5-6 მილიონზე. აუქციონზე გამოვიტანთ და იყიდეთო. მერე მოხდა ასეთი რამ: ტენდერზე გამოიტანეს პატარა ტყე-კაფები. ქარხანას ხომ არ გავაჩერებდით? როდესაც ტენდერზე გამოდის კვარტლები, სადაც ხის მოჭრის უფლება დაშვებულია, იქ უნდა იყოს შეყვანილი გზაც და დანომრილი უნდა იყოს ხეც, რომელიც უნდა მოიჭრას. ასეთია წესი. ვიყიდეთ ეს კვარტლები. საერთოდ, ტყეში სამუშაო პერიოდი ძალიან მცირეა. მოგეხსენებათ მთებში ძალიან ცივა. როდესაც მივედით, აღმოვაჩინეთ, რომ გარკვეულ კვარტლებში ხე საერთოდ არ იყო, სხვაგან კი გზა საერთოდ არ არსებობდა, იყო კლდე და შეუძლებელი იყო იქ მანქანას ემოძრავა და იქიდან ხე-ტყე გამოგეტანა. პირველად რა თანხაც მივმართეთ, 200 ათასზე მეტი იყო. მოვითხოვეთ, რომ ეს თანხა უკან დაბრუნებულიყო, რადგან მუშაობის საშუალება საერთოდ არ არსებობდა. პასუხად ჩვენს დირექტორს ასე განუცხადეს: „რაც მოუვიდა სვანეთში დარეჯანს, იმაზე უარესი მოგივა შენ, თუ ამ თანხას მოითხოვო!“

- ვინ დაემუქრა ასე?

- ეკონომიკის სამინისტროში უთხრეს...

- როგორც წესი, მსგავსი მუქარებით ბიზნესმენებს სამართალდამცავ სტრუქტურებში უმასპინძლდებოდნენ...

- ტექსტი ერთი იყო, ერთმანეთთან შეთანხმებული, რადგან მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკა იყო ასეთი.

- ვინ იყო დარეჯანი?

- ეს იყო ქალბატონი, რომელსაც სვანეთში ანალოგიური ტიპის ქარხანა ჰქონდა. მართალია, ჩვენი დონის და მასშტაბის არ იყო, მაგრამ თავის ფუნქციას ასრულებდა. ეს ქალბატონი დაიჭირეს. ვერ გეტყვით, რა დაუდეს საფუძვლად მის დაჭერას, მაგრამ ვიცი, რომ რაღაც თანხებს ედავებოდნენ. ასე რომ, მუქარის შინაარსი ჩვენთვის უკვე სრულიად გასაგები იყო. ფაქტობრივად, დაგვაყაჩაღეს. აი, ასეთი იყო ბიზნესთან და სახელმწიფო ქონებასთან დამოკიდებულება.

- საბოლოოდ, რა რაოდენობის ზარალი მიიღო კომპანიამ?

- 200 ათასზე მეტის. მაშინ ვუთხარი ჩემს უცხოელ პარტნიორს, რომ აჯობებდა ქარხნის დაკეტვა. უმუშევარი დარჩა 300 კაცი, რომელიც ადგილზე მუშაობდა. მათ გარდა დაზარალდა უამრავი წვრილი კომპანია, რომელიც ამ პროცესში იყო ჩართული და ჩვენ ვაფინანსებდით.

- ასეთი ფაქტი იმდენია, რომ, ალბათ, რამდენიმე ბიუჯეტს გაავსებდა. დანარჩენი თანხები სად მიდიოდა?

- ამით შესაბამისი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ. ჯერ მარტო სიღნაღში რაც გაყიდეს და რაც ხალხს წაართვეს, იმისი ნახევარიც არ არის შესული ბიუჯეტში. სიღნაღში მოედანზე გამგეობის შენობა რომ დგას, ხომ ლამაზია? შიგნით რომ შეხვიდეთ, დაგხვდებათ ნარმოუდგენელი სურათი. გაგიკვირდებათ, როგორ შეიძლება იმ პირობებში გამგეობის თანამშრომლები მუშაობდნენ. ის ხელისუფლება მხოლოდ გარე ფასადებს აკეთებდა, თორემ ასეთ პროექტებში სოლიდური თანხები არ დაუხარჯავთ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ძალადობრივი გზით ივსებოდა ბიუჯეტი და გარეგნულად გიგანტური პროექტები ხორციელდებოდა, რეალურად აღმოჩნდა, რომ ნულიდან არის ყველაფერი დასაწყები - წყალი არ არის, გარე განათება არ არის, გაზი არ აქვს ხალხს. აბსოლუტურად არაფერი გაკეთებულა სიღნაღის ფასადის გარდა.

- თუ სწორად ვხვდები, მინიშნებას აკეთებთ ქალაქის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხების მითვისებაზე?

- სხვანაირად წარმოუდგენელია იფიქრო. ეს ყველაფერი შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ.

- იმაზე, რაც ხდებოდა კახეთის რეგიონში და რომლის შესახებაც ვისაუბრეთ, ვინ უნდა აგოს პასუხი?

- პასუხისმგებლობის სუბიექტებს სამართალდამცველები გამოარკვევენ. რამდენადაც ვიცი, ყველა დაზარალებულმა მიმართა პროკურატურას. რაკი ეს საჩივრები პროკურატურამ წარმოებაში მიიღო, როგორც ჩანს, პასუხისმგებელი პირებიც გამოიკვეთებიან.

ვანო სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

წითელუბანი... ახალგორი... ხურჩა...

ღარიბაშვილის მთავრობა სააკაშვილის დაგეგმილი ტერაქტებით ინტერესდება

მარიამ ნადირაძე

ჯერ არდამტკიცებულმა პრემიერმა, ასევე, ჯერ არდანიშნულ მთავარ პროკურორს პირველივე დავალება პარლამენტის ტრიბუნიდან მისცა – ოთარ ფარცხალაძემ 2008 წლის 23 ნოემბერს ახალგორში მომხდარი ინციდენტი უნდა გამოიძიოს, როცა ორი ქვეყნის – პოლონეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ესკორტს, აქამდე როგორც ვიცოდით, რუსმა სამხედროებმა ცეცხლი გაუხსნეს.

როგორც ჩანს, ახლა უკვე პარლამენტისგან ნდობამიღებული, ჯერ არდავიწყებული ძველი ახალი ხელისუფლება ნანინანატრი სამართლიანობის აღდგენას „სააკაშვილის ტერაქტების“ გახსნით დაიწყებს. პერსპექტივაში ამ პირობითი სახელწოდების ქვეშ გაერთიანებული სისხლის სამართლის საქმეების ძირითადი კონტურები თითქმის უკვე მოხაზულია. ჰოდა, ჩვენც მკითხველს საშუალებას მივცემთ კიდევ ერთხელ გაიხსენოს ის რამდენიმე ფაქტი, რაც მომავალში, დიდი ალბათობით, პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ დასაწყები სისხლის სამართლის დევნის საფუძველი შეიძლება გახდეს...

ვინ ჩამოაგდო ბომბი წითელუბანში?

ეს სოფელი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონას ესაზღვრება. ცნობილი აგვისტოს ომამდე ზუსტად 1 წლით ადრე, 2007 წლის 6 აგვისტოს, სწორედ აქ დაუდგენელი წარმოების საფრენმა აპარატმა (დადგენილია, რომ ასეთი ტიპის აპარატი ქართულ შეიარაღებულ ძალებს არ ჰყავდა. – მ.ნ.) ბომბი ჩამოაგდო, რომელიც 700 კილოგრამს იწონიდა. თუმცა, ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფმა დაადგინა რუსული წარმოების რაკეტის ტიპი – Kh-58 (AS-11 KILTER), რაც ე.წ. ანტისარადარო რაკეტის ტიპს წარმოადგენს.

ყველას გასაოცრად ბომბი არ აფეთქდა.

საბედნიეროდ, შემთხვევის ადგილი დასახლებული არ იყო. იქ მხოლოდ ადგილობრივების სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებია. ამიტომ ბომბმა მხოლოდ მინა „იმსხვერპლა“ და საკმაოდ დიდი ზომის ორმოც დაატყო იარად. ალბათ, სწორედ ეს გარემოება გახდა მაშინვე იმ ეჭვების საფუძველი, რომ ეს ინციდენტი თავშივე იყო დაგეგმილი და მსხვერპლზე არ გაითვალა. მაგრამ ვინ იყვნენ მისი შემოქმედები – ეს კითხვა ჯერ კიდევ ცხარე პოლემიკის საგანია.

სააკაშვილის ხელისუფლების მისამართით ეჭვები მაშინვე გამოითქვა იმის მიუხედავად, რომ ქართული სამშვიდობო ბატალიონის მაშინდელი მეთაური, გენერალი მამუკა ყურაშვილი ირწმუნებოდა – საფრენი აპარატი სოფლის თავზე ჩრდილოეთიდან შემოფრინდა და ბომბის ჩამოგდების შემდეგ იგივე მიმართულებით გაფრინდაო.

პოლიტიკური გაერთიანება „იმედის“ ლიდერი, ირინა სარიშვილი მაშინვე ირწმუნებოდა: „წინასაარჩევნო პერიოდში საომარი მოქმედებების გაჩაღება საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში შედის ყველა იმ პრობლემის გადასაფარად, რაც არსებობსო“. საპრეზიდენტო არჩევნები კი 2008 წლის 5 იანვრისთვის იგეგმებოდა...

ინციდენტი საერთაშორისო ექსპერტების ორმა ჯგუფმა გამოიკვლია... საქმეში ეუთოც ჩაერთო... ამ უკანასკნელის შეფასება დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: ინციდენტი მოხდა, მაგრამ ეუთო არავის უყენებს ბრალდებას და მიზნად ისახავს მომავალში ასეთი ინციდენტების თავიდან აცილებას...

„მიშა მაგარია!“

ხსენებული ისტორიიდან 3 თვეც არ გასულა, რომ 30 ოქტომბერს, რუსი სამშვიდობოები ზუგდიდში შეიჭრნენ და განმუხურის პოლიციის თანამშრომლებს სასტიკად გაუსწორდნენ – იარაღი წაართვეს და სცემეს. სად იყო და სად არა, „ისიც“ გამოჩნდა. სააკაშვილი შემთხვევის ადგილზე ვერტმფრენით ჩაფრინდა და რუს სამხედროებს, როგორც იტყვიან, კუდით ქვა ასროლინა. ამ ყველაფერს სრულიად საქართველო სატელევიზიო ყუთებთან მიმსხდარი აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს.

არჩევნებამდე კი სულ რაღაც ორი თვე რჩებოდა...

ცხადია, მაშინაც გამოითქვა ეჭვი, რომ ესეც სააკაშვილის მორიგი მედიაფანდი იყო, ფართო მასებზე გათვლილი...

საერთაშორისო ვალდებულება – ხურჩა

5 წლის განმავლობაში არ ვიცოდით და ახლა გავიგეთ, რომ 2008 წლის 21 მაისის ინციდენტის გამოძიება საქართველოს ხელისუფლებას გაერომ დაავალა. ამის შესახებ სულ ახლახან გვამცნო თინა ხიდაშელმა, როდესაც პარლამენტში გაეროს დოკუმენტის „სინქრონული თარგმანი“ შემოგვთავაზა, რომელშიც, როგორც ირკვევა, შავით თეთრზე წერია, რომ გასროლა საქართველოს ტერიტორიიდან მოხდა და იქ მედიაშოუ დაიდგა სწორედ იმისთვის, რომ გადაფარულიყო იმ დღეს გამართული საპარლამენტო არჩევნების დარღვევები, რომლებსაც მრავლად ჰქონდა ადგილი. დეპუტატის მტკიცებით, ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს მთავრობას მიმართავენ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება და დაისაჯოს ყველა ის პირი, რომელმაც ასეთი დანაშაულის პროვოცირება მოახდინა კონფლიქტის ზონაში.

ხურჩის ინციდენტს მაშინვე დაერქვა „სააკაშვილის მორიგი სპექტაკლი“. ნაციონალური ვერსიებით, 2008 წლის 21 მაისს, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მობილიზებული იქნა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსახლეობა, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მეშვეობით აპირებდა ზუგდიდში გამგზავრებას, რა დროსაც აფხაზმა სეპარატისტებმა ავტობუსს ცეცხლი გაუხსნეს. ეს ინციდენტიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. სულ ცოტა ხნის წინ კი ახალმა ხელისუფლებამ ამბავი სულ სხვა ჭრილიდან წარმოგვიდგინა და გვაუწყა, რომ დასახელებულ დროს სოფელ ხურჩაში ტერორისტული აქტის განსახორციელებლად ჩასაფრებულმა ძალოვანმა ჩინოვნიკებმა, რომან შამათავამ, მალხაზ მურღულიამ და მათმა თანამზრახველებმა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ურთიერთშორის ნაწარმოები მრავალჯერადი გასროლით მშვიდობიან მოსახლეობაში პანიკა გამოიწვიეს. ამის გარდა, მალხაზ მურღულიამ „ერპეგეს“ ტიპის ყუმბარმტყორცნიდან განხორციელებული ორი გასროლით ააფეთქა ხალხის გადასაყვანად მობილიზებული ავტობუსები. აფეთქების შედეგად სრულად განადგურდა ორივე სატრანსპორტო საშუალება, ხოლო სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო მოქალაქე ნანი ქარდავამ.

ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ, ორგანიზატორებმა სატრანსპორტო საშუალების მძღოლებსა და დაჭრილ მოქალაქეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარული ასიგნებებიდან მიყენებული ზიანი აუნაზღაურეს.

გაერო-ს გენერალური მდივანი პან გი მუნი მომხდარიდან ორ თვეში საკუთარ ანგარიშში ეჭვებს ღიად აფიქსირებდა. საეჭვო ის იყო, რომ ტელევიზიებმა მომხდარი, ფაქტობრივად, პირდაპირ ეთერში გადასცეს და ისიც, რომ ძალოვნები, რომელთა ბაზაც ინციდენტიდან მინიმუმ 20 წუთის სავალზეა, ადგილზე 2 წუთში გაჩნდნენ.

ხურჩის ინციდენტზე გამოძიების დაწყებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ნაციონალურ ოპოზიციაში, ვინაიდან დაკავებული ორი პირის შემდეგ მინიმუმ თენგიზ გუნავასა და როლანდ ახალაიას პასუხისგებაში მიცემის პერსპექტივა გამოიკვეთა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ტენდენციას, რომლის შესახებაც სტატიის დასაწყისში ვსაუბრობდით, ივარაუდება, რომ ახალი პრემიერი და მთავარი პროკურორი უფრო შორს ნასვლასაც გეგმავენ.

უფრო შორს, ახალგორში...

2008 წლის 23 ნოემბერს, რუსმა ოკუპანტებმა ოკუპირებული ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული უკანონო საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან ცეცხლი გაუხსნეს საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების ავტოკოლონას. საბედნიეროდ, ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

მეტეხში იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ახლად აშენებული თავშესაფრების მონახულების შემდეგ, საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტებმა გადაწყვიტეს, თავად შეემოწმებინათ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების განხორციელების მიმდინარეობა. ამ მიზნით ისინი ახალგორის მახლობლად, სოფელ ოძისში ჩავიდნენ. ამ ვიზიტის ძირითად მიზანს „სულზე მოუსწრო“ პრეზიდენტების ესკორტის მიმართულებით გახსნილმა ცეცხლმა და უკვე ორი აზრი აღარ არსებობდა იმაში, რომ რუსები შეთანხმებას კატეგორიულად არ ასრულებდნენ.

ინციდენტიდან დაახლოებით 2 წლის შემდეგ პოლონურ გაზეთ „ძიენიკში“ სკანდალური სტატია დაიბეჭდა – კაჩინსკისა და სააკაშვილზე თავდასხმა თავად ქართველებმა მოაწყვეესო. ამ პოზიციის საფუძველი, როგორც გაირკვა, პოლონეთის ძიდა უსაფრთხოების ანგარიში გახდა, რომელიც, ბუნებრივია, საიდუმლოა. სწორედ ასეთი ინფორმაციის გაჟონვის გამო პოლონეთის პროკურატურაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, პეტრ კოვნაცკი დაიბარეს.

პოლონეთის სპეცსამსახურების დასკვნის მიხედვით, სროლაზე სააკაშვილის დაცვას რეაგირება არ მოუხდენია, თავად საქართველოს პრეზიდენტი კი მშვიდად იღიმებოდა... ინციდენტამდე ავტობუსით ჟურნალისტები გაუშვეს წინ იმისთვის, რომ მათ თავდასხმის გადაღება შეძლებოდათ. ამას გარდა, როგორც სტატიიდან ირკვევა, კაჩინსკის გამგზავრება კონფლიქტის ზონაში ბოლო წუთებში თვითონ საქართველოს პრეზიდენტმა დაგეგმა და ვიზიტის პროგრამაში მხოლოდ მინაერის სახით ჩაისვა.

მას მერე კაჩინსკი საქართველოში აღარ ჩამოსულა (თუმცა, მალევე გარდაიცვალა კიდეც. – მ.ნ.). ახალგორის ინციდენტს მისი დაცვის უფროსი შეეწირა. ის სამსახურიდან გაათავისუფლეს, ვინაიდან მან პრეზიდენტის ასეთ ავანტიურაში ჩართვა დაუშვა. როგორც წესი, ასეთი სამსახურის უფროსის პირდაპირი მოვალეობაა, წინასწარ იცოდეს, უსაფრთხოების რა ზომებია მიღებული იმ ადგილას, სადაც პრეზიდენტი გადაადგილდება.

ერთი სიტყვით, მაშინდელი საერთაშორისო სკანდალი, როგორც ჩანს, ჩაიფარცხა, თუმცა დროებით...

დროებით იმიტომ, რომ რამდენიმე დღის წინ ეს თემა საქართველოში კვლავაც აქტუალური გახდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

17-წლიანი პატიმრობით ემუქრება

„სააკაშვილის ნამდვილი სახე სწორედ ასეთი სპექტაკლების დადგმითა და ინციდენტების პროვოცირებით ჩანს“

დაკვეთილი შეკითხვა?

მაშინ, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის დამტკიცების დროს საპარლამენტო უმცირესობის სხდომაზე, რბილად რომ ვთქვათ, მომავალი პრემიერი ოპოზიციის შემოტევებს უმკლავდებოდა, უმრავლესობიდან „მწვანეების“ ლიდერმა, გია გაჩეჩილაძემ მას მოხერხებული „პასი“ ჩააწოდა, როდესაც კითხვა სწორედ ახალგორის ინციდენტის შესახებ დაუსვა. პასუხმაც არ დააყოვნა. ღარიბაშვილმა მყისვე გასცა დაპირება, რომ ამ ფაქტს ოთარ ფარცხალაძის უწყება აუცილებლად გამოიძიებდა.

იმ ფონზე, როდესაც უკანასკნელ ხანს ასეთი აქტუალური გახდა სააკაშვილის მედიაშოუების თემა (სხვათა შორის, არც იმას გამორიცხავენ, რომ ასეთი საქმეების გამოძიებამ შესაძლოა, რამდენიმე ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენოს დღის წესრიგში, თუმცა, ეს საუბრის კიდევ სხვა თემაა. – მ.ნ.), ბევრმა გაჩეჩილაძის შეკითხვა „ჩაწყობილად“ მიიჩნია და ამით ახალი მთავრობის მომავალი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის კონტურებიც შემოხაზა.

რა იყო რეალურად? – ამის გასარკვევად „პრაიმტაიმი“ თავად დეპუტატს ესაუბრა:

– ეს თემა მთლიანად ხსნის სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ფსიქოლოგიას. პოლონური გაზეთის სტატიაში, პირდაპირ წერია, რომ სროლა საქართველოს მხრიდან განხორციელდა. მარტო ეს ფაქტი არ არის. როდესაც არსებობს ეჭვები კოდორის მოვლენების, ლაფანყურის და კიდევ სხვა ინციდენტების შესახებ და რომელიც ეუთოს ანგარიშებშიც კითხვის ნიშნებით არის მოხსენიებული, ახალგორის ინციდენტი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია, როგორ იგეგმებოდა მსგავსი პროვოკაციები. თუნდაც წითელუბანში ბომბის ჩამოვარდნაც გამოძიების საგანი უნდა გახდეს. ასეთ პროვოკაციასა და მედიისთვის დადგმულ სპექტაკლს ჰგავს ხურჩის საკითხიც. ასევე, განმუხურის ინციდენტი. გახსოვთ, ალბათ, კადრები, სააკაშვილი რუს სამხედროებს რომ უტევს და ისინიც თავჩაქინდრული და პატარა ბავშვებივით დატუქსულები ხმას არ იღებენ. აი, ასეთი, უცნაური პიარაქციები გამოძიებული უნდა იყოს. პრეზიდენტი პრეზიდენტს უნდა ჰგავდეს, პარლამენტი – პარლამენტს. პრეზიდენტი იმით არ უნდა იყოს დაკავებული, რომ რაღაცებს თხზავდეს და თავისი ვაჟკაცობა ასეთ სპექტაკლებზე ჰქონდეს აგებული. სააკაშვილის ნამდვილი სახე სწორედ ასეთი სპექტაკლების დადგმითა და ინციდენტების პროვოცირებით ჩანს, ამავდროულად „ჰალსტუხის ღეჭვითაც“. აი, ეს არის მისი ნამდვილი სახე.

– ბატონო გია, თქვენი შეკითხვა ბევრმა ნაკარნახევად მიიჩნია...

– რატომ, პროკურატურა ჩემი შეკითხვის გარეშე ამ ფაქტს ვერ გამოიძიებდა?.. მესმის, რასაც მეუბნებით. ამიტომ შეგახსენებთ, რომ „მწვანეთა პარტიას“ ყველა ამ თემაზე თავის დროზე ჩატარებული აქვს პრესკონფერენციები. ჩვენ არ გვეშინოდა ასეთ საკითხებზე საუბრის და მომავალში ნელ-ნელა სხვა თემებსაც წამოვწევთ, თუნდაც მაშინდელი ხელისუფლების პირობებში არსებულ ნარკოკარტელის თემას. დღევანდელმა ხელისუფლებამ კი კეთილინებოს და ეს ყველაფერი გამოიძიოს.

– გულისხმობთ, რომ ამ ეტაპზე პროკურატურა, ხურჩის გარდა, ახალგორის, წითელუბნისა და განმუხურის ინციდენტებითაც დაინტერესდება?

– განმუხური რაღაც კომედიას ჰგავდა... რაც შეეხება დანარჩენს, ეს სერიოზული გამოძიების საგანი უნდა გახდეს და ბოლომდეც მივიდეს. როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნის პრეზიდენტს ასეთ ავანტიურაში რევ, ეს ძალიან სერიოზული საკითხია.

– თქვენი აზრით, ვინ უნდა დაკითხოს პროკურატურამ?

– აუცილებლად უნდა დაიკითხონ სააკაშვილის დაცვის წევრები, ჟურნალისტები... იქ იყვნენ სპეცსამსახურების თანამშრომლებიც. ამაზე უკვე არსებობს სერიოზული მასალები პოლონეთის უშიშროებაში და სავარაუდოდ, საქართველოშიც. ალბათ, პროკურატურა გამოძიებისას ამ მასალებსაც გამოიყენებს.

რა ელის სააკაშვილს?

თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ვარაუდობენ, სააკაშვილის მიმართ წასაყენებელი ბრალდება, საკმაოდ მძიმედ გამოიყურება. რომან შამათავას ხურჩის ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლი წაუყენეს – ტერორიზმი, რომელიც კოდექსში ასე იშიფრება – ტერორისტული აქტი, ე.ნ. აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება, ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის, ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების, ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით...

თუ ასეთი დანაშაული ჯგუფურად და არაერთგზის არის ჩადენილი, ის თავისუფლების 12-დან 17 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რომელ ბიზნესმენებს „შეაწერეს“ ფული იუსტიციის სახლებისთვის?

მირიან ბოქოლიშვილი

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს სააკაშვილის დროს მიმდინარე მშენებლობებთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულება აქვს. მისი ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ობიექტი ბიზნესმენებისთვის „შეწერილი“ ფულით შენდებოდა. ფინანსთა მინისტრმა განსაკუთრებით გამოყო იუსტიციის სახლები.

„ძალიან ბევრი ბიზნესმენი მოდის და გვეუბნება, რომ იგივე იუსტიციის სახლების მშენებლობისას მათ წაართვეს მასალა, ნედლეული და ასე შემდეგ, რაც ბიზნესმენებს ძალიან რთულ დღეში აყენებდათ. ეტყოდნენ, მოიტანეთ, პირობითად საღებავი. მეორე დღეს, როცა ფულზე მიდიოდნენ, ეუბნებოდნენ: ჭკუით იყავით, თორემ დაგიჭერენ და საერთოდ დაკარგავთ ყველაფერს ან ვიღაცას დაუჭერდნენ და შემდეგ მიატანინებდნენ ფულს“, – აღნიშნა ხადურმა.

ჩვენ დავინტერესდით, კონკრეტულად რომელ ბიზნესმენებს ააშენებინეს იუსტიციის სახლები. ამის გასარკვევად ნოდარ ხადურს მივმართეთ.

„თქვენ შეგიძლიათ გამოკითხოთ თვითონ ბიზნესმენები, ვის რას და რის გაკეთებას სთხოვდნენ. მაგალითად, „გუდვილმა“ განაცხადა, მაყაჩაღებდნენო. ანალოგიურ განცხადებას აკეთებს „რაკინ ინვესტი“, ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი. როგორც ამბობენ, „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშაო“, დაახლოებით ასეთი სიტუაციაა“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ ნოდარ ხადურმა.

მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იუსტიციის სახლები ბიზნესმენებისთვის წართმეული მასალით შენდებოდა. მინისტრმა „კორუფციულ ტენდერებზეც“ ისაუბრა და განმარტა, რომ გაუქმებულია რამდენიმე ასეთი ტენდერი და მიმდინარეობს საგამოძიებო პროცესები.

„გაუქმდა რამდენიმე ტენდერი, რადგან იყო წმინდა კორუფციული – ერთ პირთან მოლაპარაკების გზით რამდენიმე მილიონი ლარი კეთდებოდა“, – აღნიშნა ხადურმა.

რატომ დაუჭირა მხარი მარიკა ვერულაშვილმა ღარიბაშვილის მთავრობას?

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობიდან“ წასული მარიკა ვერულაშვილი პარლამენტის სხდომებს თითქმის არ ესწრება, თუმცა გასულ კვირას მან ქუთაისში ჩასასვლელად დრო მაინც გამონახა. მიზეზი კი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება გახლდათ. ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც ვერულაშვილმა საკუთარი მოვალეობის შესრულებისთვის მოიცალა და საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. მონაწილეობა რა, ახალი მთავრობის დამტკიცებამდე რეგისტრაცია გაიარა, ღილაკს თითი დააჭირა და მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, რა მიზნით უჭერდა მხარს ერთ დროს მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელი და უახლოესი მეგობარი „ქართულ ოცნებას“. პასუხი საკმაოდ ბუნდოვანი აღმოჩნდა.

– ქალბატონო მარიკა, თქვენ მხარს უჭერთ ახალ მთავრობას ხომ? – ვკითხეთ პარლამენტის ფოიეში ვერულაშვილს, რომელიც ნაცნობ ჟურნალისტებთან საუბრით იქცევდა თავს.

–კი, კი, ნამდვილად, – მოკლედ და სხარტად მპასუხობს დეპუტატი და მოსალოდნელი უხერხული კითხვებისგან თავის არიდების მიზნით სხდომათა დარბაზისკენ იღებს გეზს.

– ქალბატონო მარიკა, იქნებ აქვე განმიმარტოთ, ძირითადად რა ღირსებების გამო უჭერთ მხარს ახალ მთავრობას?

– ღირსებებზე, ალბათ, მოგვიანებით ვისაუბრებ, როდესაც მუშაობას დაიწყებს. შედეგებზე საუბარი მერე, ერთი წლის შემდეგ შეიძლება.

– და რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც ღარიბაშვილის კაბინეტმა თქვენი ნდობა დაიმსახურა?

– ხომ გეუბნებით, ამას შემდეგ შევაჯამებ.

– ანუ ჯერ არ იცით, რის გამო უჭერთ მხარს?

– არა, როგორ არ ვიცი, ზუსტად იმიტომ ვუჭერ მხარს, რომ კარგად ვარ ჩამოყალიბებული ჩემს გადაწყვეტილებაში.

ამ ორაზროვანი ფრაზით დავშორდით ერთმანეთს მე და ქალბატონი დეპუტატი. კითხვა კითხვად დარჩა, პასუხი კი ისეთივე ბუნდოვანი იყო, როგორც კახეთში გაუპატიურებული მოხუცი ბებოს ისტორია, რომლითაც მარიკა ვერულაშვილი საპარლამენტო არჩევნების წინ აშინებდა ამომრჩევლებს, – ეს იმ შემთხვევაში განმეორდება, თუ „ოცნება“ მოვა ხელისუფლებაშიო. დაახლოებით ასეთი იყო მისი ერთ-ერთი განცხადება ყვარელში წინასაარჩევნო კამპანიის დროს. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, „ოცნება“ მოვიდა, მარიკა წავიდა და როგორც ჩანს, ისევ მოვიდა... მისი მოყოლილი ბებოს გაუპატიურების ისტორია კი არცთუ ისე სასიამოვნო დაპირებად ახსოვთ ყვარლელებს.

სოჭის დელეგაციის შემადგენლობა კვლავ უცნობია

ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, დაესწრება თუ არა ოფიციალური დელეგაცია სოჭის ოლიმპიადას. ასევე, გაურკვეველია, ჩავა თუ არა საქართველოს პრემიერ-მინისტრი სოჭში, – ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა განუცხადა. მინისტრის თქმით, ქართული მხარე აკვირდება რუსეთის ქმედებებს და იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიადამ პოლიტიკური ელფერი შეიძინა, შესაძლოა, საქართველომ საკუთარ გადაწყვეტილებას გადახედოს.

„მივიჩნევთ, რომ სპორტსმენებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა ოლიმპიადაში, თუმცა დავაკვირდებით, როგორ მოიქცევა რუსეთი. მეც გამოვედი კონფერენციაზე მონაკოში, სადაც თანამეგობრობა არსებულ პრობლემებზე საქმის კუსში ჩავაყენე და მათგან მივიღეთ მხარდაჭერა“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ ლევან ყიფიანმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარიკა ვერულაშვილი:
„კარგად ვარ ჩამოყალიბებული ჩემს გადაწყვეტილებაში“



თამარ სანიკიძე:
„განხილული იყო რამდენიმე მოდელი, მაგრამ სქემა მორგებულია არსებულ საჭიროებებზე“

განათლების სამინისტრო განათლების ახალ სტრატეგიაზე მუშაობს. პროცესში როგორც სამინისტროს, ასევე უცხოელი პროფესიონალები არიან ჩართულები. რეფორმის შედეგად უწყების ხელმძღვანელი არ გამორიცხავს ცვლილებებს. თამარ სანიკიძის განცხადებით, სიახლე შეიძლება შეეხოს როგორც ეროვნულ გამოცდებს, ასევე მეთორმეტე კლასსაც.

თამარ სანიკიძე, განათლების მინისტრი:

– ცალკე მეთორმეტე კლასის გაუქმებაზე საუბარი არ არის. მაგრამ საუბარი დაიწყება ძალიან მალე ზოგადი განათლების სტრატეგიაზე – როგორი უნდა იყოს სქემატურად და შინაარსობრივად ზოგადი განათლება. იქ უკვე რა ცვლილებებს შემოგვთავაზებენ, ეს ცალკე განხილვის თემა იქნება.

– შეიძლება რომ ცვლილებები სკოლის დამამთავრებელ გამოცდებსაც შეეხოს?

– ყველაფერი გაანალიზებული და გათვლილი იქნება ახალი სტრატეგიის ფარგლებში.

– მხოლოდ სამინისტრო მუშაობს სტრატეგიაზე?

– პროცესში ჩართულია ძალიან ბევრი მხარე, ძირითადად სამინისტროს შიდა სტრუქტურა და მოწვეული ექსპერტები. ჯერჯერობით სამუშაო ვერსიაზე მიმდინარეობს მუშაობა. როგორც კი მუშაობა დასრულდება, ის განსახილველად გამოვა.

– ბევრი მოდელი იყო განხილული?

– რამდენიმე, მაგრამ ძირითადი სქემა არსებულ საჭიროებებზეა მორგებული.

– შეგიძლიათ გვითხრათ, რომელი ქვეყნის მოდელების განხილვა მოხდა?

– ძირითადად განხილული იყო ფინური, ესტონური და ბრიტანული მოდელები.

პრეზიდენტის სასახლის ნაწილი ვალერი გელაშვილს გადაეცემა?

მას შემდეგ, რაც გიორგი მარგველაშვილმა უარი თქვა პრეზიდენტის სასახლეში შესვლაზე, ლოგიკურად გაჩნდა კითხვა: რა ბედი ეწევა ავლაბრის რეზიდენციას? არ არის გამორიცხული, ტერიტორიის ნაწილი ვალერი გელაშვილს დაუბრუნდეს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გელაშვილი ადასტურებს, რომ, თუ ავლაბარში პრეზიდენტის რეზიდენცია აღარ განთავსდება, ის იმ ფართის დაბრუნებას მოითხოვს, რომელიც თავის დროზე „იძულების წესით გაიყიდვინეს“.

„ამ საქმესთან დაკავშირებით მე პროკურატურაში დიდი ხანია დაწერილი მაქვს სარჩელი და ველოდები გამოძიებას. თუ იქ რეზიდენცია აღარ იქნება, მოვითხოვ ჩემი ტერიტორიის დაბრუნებას. შემიძლია ის თანხაც დავაბრუნო უკან და ავიღო ჩემი კუთვნილი ტერიტორია, რომელიც, იძულებული გამხადეს, გამეყიდა“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ვალერი გელაშვილი.

მკითხველს გავახსენებ, რომ 2005 წლის 14 ივლისს ბიზნესმენი და იმ დროისთვის დეპუტატი ვალერი გელაშვილი შეიარაღებულმა პირებმა სასტიკად სცემეს, გელაშვილმა ამ თავდასხმაში ხელისუფლება დაადანაშაულა და ინციდენტი პრეზიდენტის რეზიდენციასთან არსებულ დაპირისპირებას დაუკავშირა.

2002 წელს ვალერი გელაშვილმა, რომელიც სამშენებლო კომპანია „ევრას“ ხელმძღვანელობდა, ავლაბარში 2,300 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი შეისყიდა და კერძო სახლის მშენებლობა დაიწყო. ამ ტერიტორიაზე დღეს პრეზიდენტის სასახლეა განთავსებული. 2004 წელს გელაშვილს ხელისუფლებამ სთხოვა, ეს შენობა სახელმწიფოსთვის გადაეცა, მას შემდეგ, რაც მთავრობამ გადაწყვიტა, გვერდით განთავსებული საგზაო პოლიციის შენობა პრეზიდენტის რეზიდენციად გადაეკეთებინა. გელაშვილი დასთანხმდა, თუმცა მოითხოვა პრეზიდენტის რეზიდენციის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების უფლება. ვალერი გელაშვილის კომპანიამ მშენებლობა დაიწყო, თუმცა მან მალევე განაცხადა, რომ მთავრობა უარს აცხადებდა, კომპანია „ევრასთვის“ ფულის გადახდაზე. გაჩნდა ვარაუდიც, რომ სწორედ ამ დაპირისპირების გამო, გელაშვილმა, ხაშურის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გადაწყვიტა, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი გამხდარიყო.

გასულ წელს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ვალერი გელაშვილმა მისი ცემის ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურას მიმართა. მისი განმარტებით, ის „აპირებს პრეზიდენტის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება, რადგან ცემის ფაქტი უშუალოდ პრეზიდენტის დავალებით მოხდა“.

ვალერი გელაშვილი არ გამორიცხავს, რომ მოწმის სტატუსით დაიკითხონ საქართველოს პრეზიდენტი და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნები, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

ვალერი გელაშვილი:
„თუ იქ რეზიდენცია აღარ იქნება, მოვითხოვ ჩემი ტერიტორიის დაბრუნებას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას პარლამენტში მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია... იყო ცხარე დებატები, დაპირისპირება და კამათი... უმცირესობა ძირითადად ირაკლი ღარიბაშვილის ეკონომიკური ცოდნით ინტერესდებოდა, თუმცა იყო გამონაკლისებიც. მაგალითად, პარლამენტის სხდომაზე ახალ პრემიერს კიდევ ერთხელ მოუწია დადასტურება, რომ არ ეთანხმებოდა პარლამენტის გადაწყვეტილებას ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული პირებისთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭების შესახებ. როგორ ხსნის ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი ინიციატორი ეკა ბესელია ღარიბაშვილის პოზიციას? რა საქმეებზე ემუქრება მიხეილ სააკაშვილს დაპატიმრება და აზარალებს თუ არა ქვეყნის დემოკრატიას ექსპრეზიდენტის პასუხისგებაში მიცემა? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიას ესაუბრა.

ეკა ბესელია: „ტომები დევს, როგორ ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის განიავება. ნურავის გაუკვირდება, თუ ამასთან დაკავშირებით სააკაშვილს კითხვებს დაუსვამენ“

– გასულ კვირას დაამტკიცეთ ახალი მთავრობა და, ცხადია, პირველ რიგში, სწორედ ამაზე მინდა გკითხოთ... რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც თქვენ ღარიბაშვილის კაბინეტს ნდობა გამოუცხადეთ?

– დარწმუნებული ვარ, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობა იქნება ძალიან წარმატებული და კარგი შედეგების მომტანი. ამაში დავრწმუნდებით ერთი წლის თავზე, როდესაც გვექნება გაცილებით უკეთესი მდგომარეობა, ვიდრე გვაქვს დღეს. რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს? ირაკლი არის კარგი მენეჯერი, გუნდური და კომუნიკაბელური. მას აქვს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და წესიერი ადამიანია. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მან მიიღო კარგი მენეჯერული გამოცდილება, ხელმძღვანელობდა რა, ყველაზე დიდ პროექტებს, რომელიც საქართველოში ხორციელდებოდა, გარდა ამისა, მისი კარიერის პოლიტიკურ ეტაპზე ღარიბაშვილს ჰქონდა ერთ-ერთი საკვანძო როლი.

– რამდენად გაართმევს ის თავს ქვეყნის წინაშე არსებულ ეკონომიკურ პრობლემებს?

– ზუსტად ეკონომიკური კუთხით აქვს მას გამოცდილება. მე უფრო მეგონა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრობა იქნებოდა მისთვის რთული, რადგან სწორედ ეკონომიკური კუთხით ჰქონდა მას წარმატებული გამოცდილება. 2004 წლიდან ხელმძღვანელობდა ის ბიძინა ივანიშვილის პროექტებს, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით ხორციელდებოდა. ყველაზე ურთულეს უწყებას გაართვა თავი და პოლიტიზებული შსს-ს გარდაქმნა მოახერხა, შესაბამისად, ვფიქრობ, ის იქნება მთავრობის საუკეთესო ხელმძღვანელი.

– რაც შეეხება ლექსო ჭიკაიძეს? რა ნიშნით მოხდა მისი შერჩევა შინაგან საქმეთა მინისტრად?

– მნიშვნელოვანია ის, რომ ოპოზიციაშიც კი არ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც მას უარყოფითად დაახასიათებდა.

– თუმცა გაისმა კითხვა, სად იყო ჭიკაიძე 26 მაისის ცნობილი მოვლენების დროს...

– დიახ, ეს კითხვა დაისვა და მე პირადად ვკითხე მას ამის შესახებ. ის არ ყოფილა რუსთაველის გამზირზე. ლექსო იყო მორიგე და იმყოფებოდა განყოფილებაში. ვფიქრობ, მისი მთავარი ღირსებაა ის შრომა, რომელიც მან ბოლო ერთი წლის განმავლობაში გასწია. მოგეხსენებათ, ბოლოს ის იყო თბილისის სამმართველოს უფროსი და დედაქალაქში კრიმინოგენური ვითარების საგრძნობი გაუმჯობესება სწორედ მის სახელს უკავშირდება, მისი აქტიური მუშაობის შედეგია კრიმინალური სამყაროს მიმართ გატარებული ქმედითი ღონისძიებები. მე ვენდობი ირაკლი ღარიბაშვილის არჩევანს და დარწმუნებული ვარ, პირად ურთიერთობებზე დაყრდნობით ის არ მიიღებდა გადაწყვეტილებას.

– ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში უმცირესობის წარმომადგენლის კითხვის საპასუხოდ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თავის დროზე ის არ ეთანხმებოდა რუსეთის ჯაშუშობაში ბრალდებული პირების პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებას... თქვენც ხომ არ შეიცვალეთ აზრი?

– დიახ, პარლამენტსა და შსს-ს რამდენიმე გვართან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ და გეტყვით რატომაც? ირაკლიმ შეინარჩუნა კადრები და მასობრივ განთავისუფლებას შსს-ში ადგილი არ ჰქონია, ისე როგორც ეს წინა ხელისუფლებამ გააკეთა, როდესაც 15 ათასი პოლიციელი სახლში გაუშვა. ცხადია, ამ ადამიანებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ გახმაურებულ ოპერაციებში. ირაკლი ღარიბაშვილმა ამ შემთხვევაში დაიცვა უწყებრივი ინტერესი და ეს ჩემთვის სრულიად გასაგებია. იმ სამსახურების მიერ, რომლებიც ამ ოპერაციებში მონაწილეობდნენ, მას მიეწოდებოდა ინფორმაცია და იყო გამოხატული პოზიცია, რომ ეს ადამიანები თავის დროზე სწორად დააკავეს.

– და თქვენ რატომ დააყენეთ ეჭვქვეშ, რომ ეს ხალხი სამართლიანად არ იყო დაკავებული?

– ყველა საქმეზე, რომელიც განვიხილეთ და ჩვენამდე გაიარა არაერთი ფილტრი, აბსოლუტურად სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღეთ. სკრილნიკოვი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც არ გახლდათ საქართველოს მოქალაქე, დანარჩენი ყველა საქართველოს მოქალაქე იყო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ლს პროკურატურაში დაუსვამენ

ეკა ბესელია „პრაიმტაიმს“ იმ საქმეებს უსახელებს, რომლის გამოც შესაძლოა, ექსპრეზიდენტი პასუხისგებაში მისცენ:

- **აფრასიძეების საქმე**
- **7 ნოემბერი და 26 მაისი**
- **გაჩუქებული ქონება**

– და რა ვიცით თუნდაც სკირილნიკოვის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ?

– პოლიტიკური შეხედულებები არ არის ერთადერთი ფაქტორი, რის საფუძველზეც შესაძლოა, პირი პოლიტპატიმრად გამოცხადდეს. ჩვენ კარგად უნდა წავიკითხოთ ევროსაბჭოს რეზოლუცია, რომელმაც სტანდარტი დაადგინა. იქ არ წერია, რომ მხოლოდ პოლიტიკოსი შეიძლება ჩაითვალოს პოლიტპატიმრად. იქ საუბარია იმაზე, რომ შეიძლება პირი იყოს პოლიტიკოსთან დაახლოებული, ან საქმე იყო პოლიტიკური, ან სასამართლო პოლიტიკურად მოტივირებული და ა.შ. ევროსაბჭოს სტანდარტში არის სულ 5 კრიტერიუმი და ერთ-ერთში მაინც თუ ჯდება ესა თუ ის მსჯავრდადებული, ის ითვლება პოლიტპატიმრად. „ენვერის“ საქმეზე დაკავებული იყო რამდენიმე პირი, მათი დიდი ნაწილი იყო მფრინავი, მეორე ნაწილი – ბიზნესმენი. ამ საქმეს დაედო გრიფი „საიდუმლო“. ჩვენ ამოვიღეთ სასამართლოს განაჩენი და სხვა დოკუმენტები. ჩვენ ვსწავლობდით არა ბრალეულობას, არამედ პოლიტიკურ მოტივს, რაც ამ შემთხვევაში ნამდვილად გამოიკვეთა. მივედით დასკვნამდე, რომ ეს საქმე, ისევე როგორც, სხვათა შორის, ხურჩის ტერაქტის საქმე, გახლდათ პოლიტიკურად მოტივირებული. ეს იყო შეთხზული სცენარი ე.წ. ჯაშუშური სქემის გამოსააშკარავებლად და შექმნეს მითი, რომ ეს ადამიანები არიან ჯაშუშები. რეალურად არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მათ ამ დანაშაულში ამხელდათ, გარდა ე.წ. ფლეშკებისა, რომლებიც ამ ოპერაციის დროს ამოიღეს, ზოგი მანქანიდან და ზოგი სახლებიდან, და სადაც მუსიკალური კლიპები იყო ჩაწერილი.

– და რა იცით, რა მტკიცებულებები დევს საქმეში, როცა მას კვლავაც გრიფი ადევს?

– განაჩენი არ გახლავთ საიდუმლო. იქ ნათლად წერია, რაში გამოიხატა პირის ჯაშუშობა. შეგვიძლია, ეს ადამიანები კიდევ ერთხელ მოვიყვანოთ და გავესაუბროთ, ისინი არიან მფრინავები, რომლებიც საქართველო-რუსეთის ომში იბრძოდნენ ჩვენს მხარეს. რამდენიმე მათგანმა თავიც გამოიჩინა ამ ომში და, სხვათა შორის, სააკაშვილთან ერთადაც აქვთ განხორციელებული არაერთი ფრენა. სკრილნიკოვი იყო ამ საქმეში მონაწილე ერთი პირი. როდესაც ამ საქმის მოტივი დადგინდა და გამოიკვეთა პოლიტიკური, შემადგენელი, მონაწილე პირების დიფერენციაცია უკვე აღარ მოხდა. საქმეს მიენიჭა პოლიტიკურად მოტივირებულის სტატუსი და შესაბამისად, ყველა ის პირი, რომელიც მაშინ დააკავეს, პოლიტიკურ პატიმრად ჩაითვალა. ამ შემთხვევაში დიფერენციაცია უკვე უსამართლო მიდგომა იქნებოდა.

– ისე, გამორიცხავთ, რომ იგივე სკრილნიკოვს მართლაც ჰქონოდა კავშირები რუსეთის სპეცსამსახურებთან?

– სხვა შემთხვევაში არ ვიცი, რა ხდებოდა, მაგრამ კონკრეტულად ის საქმე, რომლისთვისაც ეს ადამიანი გაასამართლეს, იყო პოლიტიკური.

– კარგით, რაც შეეხება სხვა თემებს... თქვენ ამბობთ, რომ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არსებობს ბევრი სამხილი და მტკიცებულება, რომელიც საკმარისია ექსპრეზიდენტის პასუხისგებაში მისაცემად... რა სამხილებზე საუბრობთ?

– გაგახსენებთ, მიხეილ სააკაშვილის ერთ ფრაზას, რომელიც მან თქვა იმ დროს, როდესაც სვანეთში აფრასიძეების წინააღმდეგ ტარდებოდა სპეცოპერაცია, მაშინ მინისტრი გახლდათ გია ბარამიძე. სააკაშვილმა პირდაპირ თქვა, რომ მან მისცა დავალება და პირადად უჭერდა მხარს ამ სპეცოპერაციის ჩატარებას. ურჩია, ესროლეთ პირდაპირო! პირადად მისი ბრძანება იყო 7 ნოემბერსა და 26 მაისს განვითარებული მოვლენებიც. ეს რაც შეეხება ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებს. იყო ცალკეული კორუფციული საქმეებიც.

– მაგალითად?

– მაგალითად ის, რომ ომიდან რამდენიმე დღეში დედამისს საჩუქრად გადასცეს საუნივერსიტეტო შენობები. წარმოუდგენელია, ეს სააკაშვილთან შეუთანხმებლად მომხდარიყო. გარდა ამისა, გამოძიების ადგილას აუცილებლად დავინტერესდებოდი იმ დასკვნით, რომელიც „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბმა“ დადო, სადაც პირდაპირ წერია, რომ აგვისტოს დღეებში სააკაშვილმა დაარღვია კონსტიტუცია, როდესაც კანონდარღვევით გამოსცა აქტი. ეს არის კითხვები, რომლებზეც სააკაშვილმა პასუხი უნდა გასცეს. მან ასევე უნდა უპასუხოს, როგორ ხდებოდა სპეციალური დაცვის სამსახურის ანგარიშიდან მისი შვილების განათლების დაფინანსება, პირადი მზარეულის დაფინანსება და ა.შ. ეს არის ზღვა მასალა, რომელმაც შეძრა პარლამენტი. ტომები დევს, როგორ ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის განიავება. ნურავის გაუკვირდება, თუ ამასთან დაკავშირებით სააკაშვილს კითხვებს დაუსვამენ.

– ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას რამდენად წაადგება ყოფილი პრეზიდენტის მიმართ გამოძიების დაწყება?.. მაგალითად, რესპუბლიკელების წარმომადგენელი ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის დაჭერა დემოკრატიას დააზიანებს...

– მე პირიქით მგონია. სწორედ მაღალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია, როდესაც ყოფილ პრეზიდენტსაც კი შეიძლება დაუსვან კითხვები. მაღალი დემოკრატიის ქვეყნებში ასეთი შემთხვევები მოჰყავდათ მაგალითად იმისა, რამდენად დიდია ქვეყანაში კანონისა და სამართლიანობის განცდა. კანონია ყველაზე მთავარი და არა პოლიტიკური კონიუნქტურა. დაბალი დემოკრატიულობის მაჩვენებელია, როდესაც პოლიტიკა დგება კანონზე მაღლა. მე ვიცნობ საერთაშორისო პრაქტიკას და ვიცი, რა არის სტანდარტი. იქ, სადაც ხელს აფარებენ ყოფილ მაღალჩინოსნებს, ქვეყანა ვერ განვითარდება. თუ ჩვენ ყველა პრეზიდენტს ყველაფერი ვაპატიეთ, ვერ შევქმნით იმის წინაპირობას, რომ მომავალმა პრეზიდენტმა იგივე შეცდომები არ გაიმეოროს.

– პრინციპში, თუ შევარდნაძის მიმართ არ დასმულა კითხვები, რატომ უნდა დაისვას სააკაშვილის მიმართ?

– და რაკიღა შევარდნაძეს არ დაუსვეს კითხვები, ამიტომ უნდა წავიდეთ ინერციით? სწორედ ამას აყვედრიდნენ ძალიან დიდხანს სააკაშვილის მთავრობას. თუ იყო საკმარისი საფუძველი, არავის არ ჰქონდა უფლება, კანონზე მაღლა დაეყენებინა რაიმე და რა თქმა უნდა, უნდა დაწყებულიყო ძიება. როგორც იურისტს, მიმაჩნია, რომ კანონი და სამართლიანობა არის ყველაზე მაღალი სტანდარტი და დემოკრატიაც სწორედ ამ სტანდარტით იზომება.

„პარლამენტსა და შსს-ს რამდენიმე გვართან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირაკლი ღარიბაშვილის

რა ხდება რეალურად საგანელიძესა და ქუცნაშვილს შორის?

ქეთი ხატიაშვილი

არჩევნები ბიძინა ივანიშვილმა მოიგო, მემკვიდრეობა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩაიბარა. ეს, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, იმასაც ნიშნავს, რომ მომავალი არჩევნები სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის მოსაგები იქნება. თუმცა, ადგილობრივი არჩევნები მისთვის მაინც გენერალური რეპეტიცია გამოდის, რადგანაც ის, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის გარეშე მაინც არ ჩაივლის. როგორც ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნისას თქვა, მას უკვე მოფიქრებული აქვს, ვის წარადგენს მერის პოსტზე:

– მერის კანდიდატურას დავასახელებთ მას შემდეგ, რაც ახალი პრემიერი დამტკიცდება. თანმიმდევრობაში ვიტყვი. 24 ნოემბერს ჩატარდება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ კრება და სანამ წავალ, შესაძლოა, ჩემი აზრი დავტოვო, ვინ მიმაჩნია მერობის კანდიდატად.

მერობის კანდიდატს თუ ბიძინა ივანიშვილი დაასახელებს და ის სწორედ მისი ნდობითა და მხარდაჭერით ისარგებლებს, მაშინ, ბუნებრივია, მას, ვინც არ უნდა იყოს, გამარჯვების მეტი შანსი ექნება. ასე რომ, ამ გაზაფხულზე ან შემოდგომაზე (როცა არჩევნების ჩატარება გადაწყდება) 31 წლის პრემიერი მარტო არ იქნება. თუმცა, უკვე სამი წლის შემდეგ, როცა დიდი, ანუ საპარლამენტო არჩევნების დრო დადგება, მაშინ როგორი იქნება პოლიტიკური ლანდშაფტი, ძნელი სათქმელია. ბუნებრივია, ბევრი რამ თავად ირაკლი ღარიბაშვილზეც იქნება დამოკიდებული.

ირაკლი ღარიბაშვილმა მართლაც ჩაიბარა მძიმე მემკვიდრეობა. ეს ერთი მილიარდით გარღვეული ბიუჯეტი და პარტია „ქართული ოცნებაა“. ანუ მას მოუწევს, იზრუნოს როგორც ეკონომიკის განვითარებასა და ბიუჯეტის გაზრდაზე, ასევე ძლიერი პარტიული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე.

ის, რა პრობლემებიც დღეს პარტიაშია, ლოგიკურია ორი რამის გამო. პირველი, თავის დროზე ბიძინა ივანიშვილთან ბევრი სხვადასხვა შეხედულებისა და ინტერესის ადამიანი მოხვდა, და მეორე, პარტია ისეთი ორგანიზმია, სადაც ინტრიგები და ამბიციები ყოველთვის მძლავრობს იდეებსა და ღირებულებებზე.

პარტიაში კი ინტრიგები თავად ბიძინა ივანიშვილმა რამდენჯერმე ჩააცხრო. ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როცა ნინო ბურჯანაძე აგორებდა სკანდალს: „ქართულ ოცნებას“ მასობრივად ტოვებენ და ჩემთან გადმოდიანო და მეორედ, როცა ხმაური ატყდა, პარლამენტში ახალი ფრაქცია იქმნებაო. ამ ფრაქციასაც ნინო ბურჯანაძის სახელს უკავშირებდნენ. მაშინ ბიძინა ივანიშვილი რამდენჯერმე შეხვდა საკუთარ პარტიას და ოფიციალურ განცხადებებში ახალი ფრაქციის შექმნის შესაძლებლობაც უარყო და „ქართული ოცნებიდან“ ხალხის მასობრივად გადინებასაც არარეალური უწოდა. თუმცა, როგორც ჩანს, ასეთი შეხვედრები პრობლემას მაინც ვერ ხსნის დღის წესრიგიდან.

კულისებში სერიოზული სკანდალი ატყდა დავით საგანელიძესა და ზაქარია ქუცნაშვილს შორის. ოფიციალურად მხოლოდ ის გავიგეთ, რომ ზაქარია ფრაქციის თავმჯდომარის პოსტიდან გადააყენეს, თუკი ასე შეიძლება ითქვას, და ეს თანამდებობა გია ვოლსკის ჩააბარეს. ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს პასუხად სხვადასხვა ვერსიებს სთავაზობდნენ.

ირაკლი სესიაშვილი:

– ბატონმა ბიძინამ ჩათვალა, რომ მასზე უკეთესად გია ვოლსკი უხელმძღვანელებდა ფრაქციას...

გია ვოლსკი:

– ჩვენ გუნდის წევრები ვართ, ხან თანამდებობა შეიცვლება, ხან – პოზიცია, ხან – აქცენტები და ხან – პრიორიტეტები. ასე რომ, ერთიანობაა.

მანანა კობახიძე:

– ფრაქციაში გარკვეული გადაადგილებები მოხდა და ამაში არაფერი განსაკუთრებული არ არის.

არმაზ ახვლედიანი:

– ძალიან ნორმალური პროცესია, როცა ფრაქციასა და პოლიტიკურ სივრცეში არის ცვლილებები. ყოველთვის შეიძლება ცვლილებები. ქუცნაშვილის საქმიანობით უკმაყოფილო არავინ ყოფილა, უბრალოდ, ახალი ამოცანებია ამ ეტაპზე და საჭირო გახდა ცვლილებები...

და მხოლოდ მოგვიანებით შემუშავდა უფრო მისაღები პოზიცია, როცა დავით საგანელიძემ თქვა:

– ახალი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე, პარტიას საზღვარგარეთ კავშირებიც სჭირდებაო.

ეს პოზიცია მოგვიანებით უკვე გია ვოლსკიმაც გაიმეორა და განაცხადა, რომ მას აქვს უცხოეთში კონტაქტები.

რა მოხდა სინამდვილეში, რა არის ის, რასაც კულუარებში ყვებიან? რამდენიმე დღეა, მედიაში იმ წერილზე იწერება, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა პარლამენტისგან მიიღო და რომლის მთავარი „გმირი“ დავით საგანელიძეა. 14 დეპუტატი, ანუ ისინი, ვინც ხელს აწერენ ჯერ კიდევ პრემიერ ივანიშვილთან გაგზავნილ წერილს, უმრავლესობის ლიდერის მიმართ სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამდა. უკმაყოფილების მთელი და ძირითადი ნაწილი წინასაარჩევნო მარათონს ეხება. კერძოდ კი, ერთ-ერთი ინფორმაციით, წერილში საუბარია არაორგანიზებულად და არასწორად დაგეგმილ საარჩევნო კამპანიაზე.

ამ წერილით ბიძინა ივანიშვილი სერიოზულად დაინტერესდა და საკითხის ბოლომდე გარკვევას შეეცადა. ზაქარია ქუცნაშვილის ფიგურაც სწორედ აქ ამოტივტივდა. კულუარებში ყვებიან, რომ 14 დეპუტატის მიერ ხელმოწერილი წერილის ორგანიზება სწორედ ზაქარიას უკავშირდება. თავად ქუცნაშვილი ამბობს, რომ ამ თემაზე კომენტარების გაკეთებას არ აპირებს. არც ოფიციალურად და არც პირად საუბრებში.

სწორედ ეს გახდა ზაქარიას გადაყენების რეალური მიზეზი. დახურულ კარს მიღმა თემა გაირჩა და შედეგიც შესაბამისი დადგა. ქუცნაშვილს საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი შესთავაზეს, თუმცა მან ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა.

ქუცნაშვილი ჭკვიანია და იცის, დუმილს ზოგჯერ ოქროს ფასიც რომ აქვს, ალბათ, ამიტომაც დუმს. შესაძლოა, ამ დუმილით იმ კულუარულ ინფორმაციასაც ადასტურებს, რომ ამ წერილის უკან მართლაც თვითონ იდგა და არა ვინმე სხვა, თუმცა არიან ისეთებიც, ვისთვისაც პოლიტიკა უფრო ხმაურია, ვიდრე დუმილი. მაგალითად, დავით ლორთქიფანიძე, რომლის მიმართაც საკმაოდ მკაცრმა სანქციამ გაიჟღერა: ლორთქიფანიძე შეიძლება პარტიიდანაც გავრიცხოთო – ასეთი დასკვნა გააკეთა ღიად დავით საგანელიძემ.

დავით ლორთქიფანიძის განმარტებით, მას წერილის დაწერის ორგანიზება დაედო ბრალად:

– მე ნამდვილად არ ვარ ამ წერილის ორგანიზატორი და ვარ მხოლოდ თანამონაწილე. მე წერილი მომიტანეს და მხოლოდ ხელი მოვაწერე, მეოთხე ვიყავი თუ მეხუთე. გარიცხვის თემა დიდ უხერხულობას ქმნის...

პარტიიდან გარიცხვის სულ ორიოდე შემთხვევას თუ იპოვით პარტიულ არქივებში. პირველი შემთხვევა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის ერთ-ერთ ნევრს პეტრე ცისკარიშვილს უკავშირდება. ცისკარიშვილი ახლებთან ფიზიკურ დაპირისპირებას „შეეწირა“. მოგვიანებით, სააკაშვილი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა.

დავით ლორთქიფანიძის პარტიიდან გარიცხვის საკითხი დავით საგანელიძემ გაახმოვანა:

– მისი გარკვეული საქმიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ეს აუცილებლად იქნება განხილული პოლიტსაბჭოს მომავალ სხდომაზე. არ არის გამორიცხული მისი პარტიიდან გარიცხვის საკითხიც დადგეს. საინტერესოა, თვითონ რატომ აღნიშნავს იმას, რომ ამის შესახებ თითქოს არაფერი იცის. ამ საკითხს აუცილებლად განვიხილავთ და ასე არ დავტოვებთ...

უმრავლესობის ლიდერმა ის კითხვის ნიშნებიც დააკონკრეტა, რომელიც დეპუტატის მიმართ პარტიაში გაჩნდა:

– ფრაქციის სხდომაზე ნამდვილად ვიმსჯელეთ საკითხზე, რომელიც უკავშირდებოდა დავით ლორთქიფანიძის გარკვეულ ჩარევას ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებში. მან ამაზე გარკვეული შენიშვნები მიიღო. გარდა ამისა, განვიხილეთ თემა, რომელიც საარჩევნო შტაბის საქმიანობას ეხებოდა – დავალებები, თხოვნა, რაც ლორთქიფანიძეს შტაბიდან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მძიმე მემკვიდრეობა“

რა გამოწვევების წინაშე დგას პრემიერ მინისტრი: ბიუჯეტი, პარტია და რუსეთი





მიეცა, მან თავისებურად შეასრულა, შტაბის გადაწყვეტილებებს არ დაემორჩილა. თემა ფრაქციის სხდომაზე განვიხილეთ და მე, როგორც შტაბის ხელმძღვანელმა, ამაზე პრეტენზიები გამოვთქვი. ასევე, გამოითქვა გარკვეული შენიშვნები და პრეტენზიები, რომ ის აქტიურად ერევა ვანის რაიონის თვითმმართველობის საქმიანობაში, რაც დეპუტატის მხრიდან სწორი და მართებული საქციელი არ არის. ეს შენიშვნები მან მიიღო. გადაწყვეტილებას პარტიაში მისი ყოფნა-არყოფნის შესახებ, ფრაქცია ვერ მიიღებს, ამაზე პარტიის პოლიტსაბჭომ უნდა იმსჯელოს. მოგეხსენებათ, პარტია 24 ნოემბერს ყრილობას მართავს, სადაც ახალი პოლიტსაბჭო შეიქმნება და აღნიშნულ თემას სწორედ პოლიტსაბჭო განიხილავს. მოგვიანებით ამაზე შეიძლება ფრაქციამაც იმსჯელოს, – აღნიშნა დავით საგანელიძემ.

ამ კონფლიქტის ჩაცხრობა უკვე ირაკლი ღარიბაშვილს მოუწევს. ბიძინა ივანიშვილს მისი მხოლოდ დროებით ჩაქრობა მოუწია არჩევნებამდე სხვა გზა, უბრალოდ, არ იყო.

თუმცა, თუკი საქმე ღია გარჩევამდე მივა და არა მორიგებამდე, შესაძლოა, სკანდალმა უფრო დიდი ძალით იფეთქოს. ამ 14 დეპუტატში ისეთებიც არიან, ვინც მძაფრი და რადიკალური განცხადებების გაკეთებას არ მოერიდებიან. კულისებში ითქვა, რომ საბჭოში საკითხის განხილვამდე დეპუტატებს კომენტარებისგან თავის შეკავება სთხოვეს. ზოგიერთმა ეს ზეწოლად აღიქვა. ამბობენ, რომ რადიკალური ზომების მიღების შემთხვევაში ისინი იტყვიან, რომ საქართველოში დიქტატურა მოვიდა.

კულუარებში საყვედურები დავით საგანელიძის მიმართაც ისმის. საერთოდ, ახლების ძველი შემადგენლობაც გაოცებას ვერ მალავს, ამბობენ, ის საკმაოდ აგრესიული გახდაო. მისი გამოსვლებიც ხშირად საკმაოდ რადიკალურია, იმდენად, რომ გარკვეულწილად უადგილოც ჩანს ასეთი ემოციურობა. შესაბამისად, აგრესიულ და ემოციურ მოპყრობას იჩენს და დეპუტატებთან ვერ ალაგებს ურთიერთობებსო. თუმცა, სხვები ამ შეფასებებს არ იზიარებენ და ყველაფერში ქუცნაშვილს ადანაშაულებენ. არის ვერსია, რომ 14 დეპუტატის მიერ ხელმოწერილი წერილი საგანელიძის წინააღმდეგ ზაქარიამ ერთადერთი მიზნით დაგეგმა – ხელში ჩაეგდო უმრავლესობის ლიდერის პოზიციები, ანუ დავით საგანელიძის პოსტი დაეკავებინა. სწორედ ასეთ შეთქმულებას ხედავენ ამ წერილის უკან.

მაგრამ საქმე ამ კონფლიქტშიც არ არის, პარტია „ქართულ ოცნებაში“ სერიოზული და ძლიერი ფიგურები არ იკვეთებიან. არმაზ ახვლედიანს აქვს საინტერესო გამოცდილება, თუმცა ის პარლამენტში არ არის. ასე რომ, „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციაში ჯერჯერობით ყველაზე ძლიერ პარტიად რჩება. და სანამ თანაფარდობა ასეთი იქნება, „ქართულ ოცნებას“ ყოველთვის დასჭირდება „რესპუბლიკური პარტია“. დამოუკიდებლად ფეხზე დადგომისთვის პარტიას უფრო მეტი დრო და გამოცდილება სჭირდება. მით უფრო, რომ კონკურენტი მას, ნაციონალების სახით, სხვა პარტიებს შორის ყველაზე ორგანიზებული და გამოცდილი ჰყავს.

და ახლა მთავარია, რაზე აიღებს ორიენტაციას ირაკლი ღარიბაშვილი – საკუთარი პარტიის გაძლიერებაზე თუ „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურებაზე.

ახლა ისე ჩანს, რომ რებრენდინგი ყველა პარტიას სჭირდება. განსაკუთრებით დიდი არჩევნებისთვის სამზადისისთვის. საინტერესო იქნება დაკვირვება – ექნება თუ არა „ქართულ ოცნებას“ გაზრდისა და განვითარების პოლიტიკური შანსი. ახლა, როცა ის ბიძინა ივანიშვილის ჩრდილიდან გამოდის, წინ ბევრი თავგადასავალი ელოდება. ამდენად, ყველაფერი ირაკლი ღარიბაშვილზეა დამოკიდებული. საინტერესოა იმის დაკვირვებაც, რამდენად იზიდავს მას გუნდში ჭკვიანი და ძლიერი ფიგურები. ირაკლი ალასანიასთან მის ურთიერთობებს თუ განვიხილავთ, ახალი პრემიერი მშიშარა სულაც არ არის, უფრო პირიქით.

ასე რომ, პარტია „ქართული ოცნება“ თავიდან უნდა დაიბადოს. კოალიციაში ის ჯერ რესპუბლიკელების სიძლიერის იმედად არის და ეს დებატებში ყველაზე ცხადად ჩანს.

ირაკლი ღარიბაშვილს ამ მიმართულებით არანაკლები ენერგიის მიმართვა დასჭირდება.

სულ სხვა თემაა ეკონომიკა და ბიუჯეტი. მილიარდიანი გარღვევის ფონზე მოხდა პრემიერის დამტკიცება, თუმცა ეს ეკონომიკური გუნდის „შეწყალებას“, ალბათ, არ ნიშნავს. საინტერესოა, ამ მიმართულებით რა ღონისძიებები გატარდება. ღარიბაშვილს მოუწევს, იყოს მკაცრი და პრინციპული, რადგანაც ყველას კარგად ესმის, რომ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით ის ხალხი გამოდის, ვისაც შევარდნაძის დრო ენატრება – ქრთამი, ფულის ჯიბეში ჩადება და არა ბიუჯეტში, და ასე შემდეგ. ასე რომ, ეს თემა, რომელსაც რადიკალი ოპოზიცია აგორებს ხოლმე შიგადაშიგ და ყოველთვის, როცა არჩევნებია, უფრო პროვოკაციას ჰგავს, ვიდრე რეალურ პოლიტიკას. სამართლიანობის იმგვარი აღდგენა, როგორსაც არასაპარლამენტო პარტიების ზოგიერთი ნაწილი ითხოვს, ბიუჯეტის გარღვევა უფროა, ვიდრე სამართლიანობა. და ესეც ერთ-ერთი დიდი პრობლემაა საქართველოში.

ასე რომ, ირაკლი ღარიბაშვილი, მძიმეს ვერ ვიტყოდით, თუმცა არცთუ იოლი პრობლემების წინაშე დგას და ბევრი რამ სწორედ იმაზეა დამოკიდებული, როგორ გადაწყვეტილებებს მიიღებს პრემიერი.

მძიმე მემკვიდრეობის ერთ-ერთი მთავარი „შიშის ფაქტორი“ რუსეთია. ნატოში საქართველოს მაღალი შანსების გამო რუსეთმა 2008 წელს ომი წამოიწყო. ეს ჯერ მედვედევმა აღიარა და შემდეგ პუტინმა. მათ თქვეს, რომ არა ომი, საქართველო ნატოში გაწევრიანდებოდაო. ახლა, ვილნიუსის სამიტის მოახლოებასთან ერთად, ცხადი ხდება, რა სერიოზულ ზეწოლას განიცდის უკრაინა იმ ხელშეკრულების ჩასაგდებად, რომელიც კიევს ევროკავშირთან უნდა გაეფორმებინა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი კი არ გამორიცხავს, რომ ზეწოლის ობიექტი საქართველოც გახდეს. მზად იქნება ამისთვის ირაკლი ღარიბაშვილი და მისი მთავრობა?

ასე რომ, გამოწვევა ბევრია, საინტერესოა, როგორი იქნება ახალი ხელისუფლების პოლიტიკა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაციონალებმა გიორგი მარგველაშვი

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„შეიძლება ყველა ადამიანი უდანაშაულო აღმოჩნდეს საქართველოში, მაგრამ ვანო მერაბიშვილი, ჩემი აზრით, ციხეში იჯდება“

EXCLUSIVE

ლევან ბერძენიშვილი: „თუ სააკაშვილის დაპატიმრება საქართველოს წინსვლას ხელს შეუშლის, მაშინ მას არ დავაპატიმრებთ“

უმრავლესობის ნაწილი მიიჩნევს, რომ ვილნიუსის სამიტზე საქართველოს დელეგაციას ყოფილ პრემიერთან დაკავშირებით პასუხების გაცემა მოუწევს. „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარის, გია ვოლსკის განცხადებით, დელეგაცია პასუხებისთვის მზად არის და ზუსტად იციან, რომ მსოფლიო ქვეყნები საქართველოს არ მისცემენ შეცდომის დაშვების საშუალებას. გია ვოლსკი: „კითხვები იქნება აუცილებლად და ჩვენ ამისთვის მზად ვართ. ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ექნება სასამართლოს გადაწყვეტილებას, ჩვენთვის არავის უთქვამს, დამნაშავე განთავისუფლდეს პასუხისმგებლობიდანო, თუმცა არ არის გასაკვირი, რომ მსოფლიო ორიენტირებული იყოს, საქართველოს არ მისცენ საშუალება, შეცდომა დაუშვას, პოლიტიკური შეფასება მისცენ ნებისმიერ დაპატიმრებას“.

ვოლსკისგან განსხვავებით, ლევან ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ ვილნიუსის სამიტზე სიტყვა მერაბიშვილი ნახსენებიც არ იქნება და ზალკანიანი ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოახდენს დოკუმენტის პარაფირებას.

ლევან ბერძენიშვილი, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:

– პარაფირებაზე მეტს ვერ მივიღებთ იმ შემთხვევაშიც კი, მერაბიშვილი გარეთ რომ იყოს და ყოფილი პრეზიდენტის მიმართაც რომ არ არსებობდეს კითხვები. პარაფირებასა და ხელმოწერას შორის განსხვავება არის ის, რომ ევროპის ყველა ქვეყნის პარლამენტმა უნდა მიიღოს ეს გადაწყვეტილება. ამას, სულ ცოტა, 9-10 თვე მაინც დასჭირდება. ამ პროცესს ვანოსთან არანაირი კავშირი არ აქვს. თუმცა როგორც „სახალხო პარტია“ გვემუქრება, თუკი მომავალში დაპატიმრებები აუცილებლად მიიღებს პოლიტიკური დევნის ხასიათს, მაშინ ისინი გადაწყვეტილებას არ მიიღებენ ჩვენს სასარგებლოდ. ანუ პარაფირების წინ ჩვენ არავინ არ გვთხოვს მერაბიშვილის განთავისუფლებას. ზოგადად, გვეუბნებიან, რომ ის არ უნდა იჯდეს ციხეში, თუმცა ეს შენიშვნაც ძირითადად იმას გულისხმობს, რომ მერაბიშვილი არ უნდა იჯდეს საპატიმროში სასამართლო გადაწყვეტილებამდე. სასამართლო თუ სწორად მიუსჯის მერაბიშვილს, ამას არავინ გააპროტესტებს. კითხვები ჩნდება იმაზე, რატომ ზის საპატიმროში მერაბიშვილი სასამართლომდე, მანამ სანამ მისი დანაშაული დამტკიცდება.

– ანუ შენიშვნას არ ელოდებით ყოფილი პრემიერის დაკავების გამო, მით უფრო სასამართლო გადაწყვეტილებამდე?

– არა, ნამდვილად არ ველოდებით იმას, რომ ან შენიშვნას მივიღებთ მერაბიშვილის გამო ან საერთოდ საკითხი იქნება განხილული. თუ პარალელები ივლება უკრაინასთან, მაშინ ვიტყვი, რომ უკრაინას დიდი ხანია პარაფირებული აქვს და ამჯერად ის ხელს აწერს. ხელის მოწერის წინ ჩვენთანაც იქნება ეს საუბარი, თუკი მერაბიშვილის მიმართ ძალაში შევა ისეთი განაჩენი, რომელიც თავის სისწორეში ვერავის დაარწმუნებს. ახლა, ამ წუთას, სასამართლომდე ამ საკითხზე საუბარი არ არის და არც იქნება. საერთოდ, გვარი მერაბიშვილი ვილნიუსში ნახსენები არ იქნება. როდესაც ბატონი ზალკანიანი საქართველოს მხრიდან ხელს მოაწერს პარაფირებას, ამას არაფერი შეუშლის ხელს. ხელმოწერამდე ჩატარდება სასამართლო, გაირკვევა, სწორად აქვს მისჯილი თუ არა მერაბიშვილს.

– თუმცა აქ მარტო მერაბიშვილზე არ არის საუბარი, ბუნებრივია, იგულისხმება ყოფილი პრეზიდენტიც...

– სააკაშვილის მიმართ ჯერ არაფერი გვიქნია და რა კითხვები უნდა დაგვისვან? ხომ არ გვკითხავენ, თქვენ ხომ არ აპირებთ, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრათო... ეს არასერიოზულია. ვილნიუსის სამიტზე საუბრისას განიხილება ფართომასშტაბიანი სავაჭრო ხელშეკრულება, სავიზო რეჟიმის გამარტივება. ეს შედის ყველას ინტერესში, მათ შორის საქართველოს ოპოზიციის ინტერესშიც. თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ ეს ყოფილი ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ საუბარია და მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, დამნაშავე თუ უდანაშაულო ვანო გარეთ იყოს, ვიდრე საქართველოს მოსახლეობის ინტერესი დაკმაყოფილდეს. ახალი მთავრობის პარლამენტში წარდგენის დროს ნაციონალების საქციელმა გვაჩვენა, რომ მათ ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერეს, რა აქვთ გაკეთებული ამ 9 წლის განმავლობაში. ეს ამძაფრებს ხელისუფლების სურვილს და აძლიერებს იმ ადამიანების პოზიციას, ვისაც გვინდა, რომ სწრაფად გავიაროთ წარსულის შეფასება. როდესაც გამოდის მოქალაქე ნიკა გვარამია და აცხადებს, რომ წლების წინათ სააკაშვილის მიერ მაშინდელი ოპოზიციის აგენტებად დასახელება სწორი იყო, ამის გახსენების გამო მე მას მადლობას გადავუხდი? არა, რა თქმა უნდა. თვითონ იციან მშვენივრად, რა უნდათ და რა – არა. საქართველოს ხელისუფლებასა და ხალხსაც სჭირდება პარაფირება და ამისთვის ყველაფერი გაკეთდება. კონკრეტულ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო ინტერესი იქნება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ერთი კაცის მიმართ თუნდაც სამართლიანი განაჩენის გამოტანა, ამ განაჩენის გამოტანაზე საქართველო დაფიქრდება. თუ სააკაშვილის დაპატიმრება საქართველოს წინსვლას ხელს შეუშლის, მაშინ მას არ დავაპატიმრებთ. რაც შეეხება მერაბიშვილს, შეიძლება ყველა ადამიანი უდანაშაულო აღმოჩნდეს საქართველოში, მაგრამ ვანო მერაბიშვილი, ჩემი აზრით, ციხეში იჯდება. ვერც ერთი სასამართლო ვერ გაამართლებს იმას, რაც მოხდა 26 მაისს, რაც მოხდა ნოემბერში... უპირველეს ყოვლისა, აქ სწორედ ვანოს პასუხისმგებლობაა. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა ეკისრება „ნაციონალურ მოძრაობას“, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ კონკრეტული ადამიანები აგებენ პასუხს და არა პარტიები. ასევე, დიახ, ვანოს პასუხისმგებლობა არის მკვლელობები, რომელიც ჩაიდინა პოლიციამ, ვანოს პასუხისმგებლობა არის გირგვლიანის საქმე.

– ამ ყველაფერზე მხოლოდ ვანო მერაბიშვილის პასუხისმგებლობა იკვეთება?

– თქვენ თუ სააკაშვილზე მეკითხებით, მაშინ გეტყვით, დიახ, სააკაშვილის პასუხისმგებლობა ფორმალურად არაფერია. სააკაშვილს არავინ მოუკლავს და ვანომ ფორმალურადაც და არაფორმალურადაც, თუ ბრალდებები დაუდასტურდა, გაირკვევა, რომ მოკლა.

– მერაბიშვილმა პირადად მოკლა ვინმე?

– დიახ, მან გასცა ბრძანებები, სააკაშვილს არ გაუცია ბრძანება. ასეა ფორმალურად და თუ საუბარია იმაზე, რომ მერაბიშვილი ბრძანების გაცემას სააკაშვილის გარეშე ვერ გაბედავდა, ეს არ არის იურიდიული საუბარი. ეს მხოლოდ პოლიტიკური შეფასებაა. შეფასება ქართველმა ხალხმა უკვე გააკეთა და სააკაშვილი სახლში გაუშვა. ის, რომ იქიდან ისევ პოლიტიკაში დაბრუნდება და მისი ცოლი რომ ისევ პირველი ლედი გახდება, ეს იყოს მათი ოცნება...

– ფიქრობთ, რომ ეს არარეალურია?

– რა თქმა უნდა, არარეალურია.

– თუმცა თავად აბსოლუტურად საწინააღმდეგოში არიან დარწმუნებულები....

– ასე ამბობენ, თორემ საერთოდ არ არიან დარწმუნებულები. თქვენ გგონიათ, დარწმუნებული ადამიანების ნიშანი იყო ის ისტერიკა, რაც პარლამენტში მოაწყვეს გასულ კვირას? ფიქრობთ, რომ დარწმუნებული ხალხი თავად წვავს იმ ხიდებს, რომელიც შექმნილია თანამშრომლობისთვის? მათ ხომ უნდა ითანამშრომლონ? თანამშრომლობა არის მათი ერთადერთი გადარჩენის შანსი. თუ ნაციონალებს თანამშრომლობა არ უნდათ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ დარწმუნებულები არიან საკუთარ დაბრუნებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ დარწმუნებულები არიან დამარცხებაში. პირდაპირ გეტყვით, სააკაშვილთან ერთად „ნაციონალური მოძრაობა“ გაქრება, დაინგრევა, სააკაშვილის გარეშე ის დარჩება, როგორც პოლიტიკური ძალა. ეს ჩემი, ერთი კაცის პროგნოზია და მათი გადასაწყვეტია, რომელ გზას აირჩევენ. სააკაშვილთან ერთად, მათ პერს-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



„სააკაშვილს ისტორია შეაფასებს, ეს შეფასება, ალბათ, უფრო ნაკლებად მკაცრი იქნება, ვიდრე ჩვენ ვართ, მაგრამ მკაცრი აუცილებლად იქნება“

„არ არის სააკაშვილი ის კაცი, ვისი ერთგულებაც მისი პრეზიდენტობის შემდეგ აუცილებელია“

პექტივა არ აქვთ, ბაქრაძესთან ერთად კი აქვთ. დიდი პერსპექტივა შეიძლება არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონდეთ და არც მეორე შემთხვევაში, მაგრამ, ჩემი აზრით, სააკაშვილის შემთხვევაში პერსპექტივა ნულია. ბაქრაძის შემთხვევაში პლუსებშია. ადრე თუ გვიან, ნებისმიერ პარტიას, რომელიც ცოცხალია, აქვს გამარჯვების შანსი. ბაქრაძესთან ერთად, ნაციონალები შეიძლება კიდევ მოვიდნენ ხელისუფლებაში დაახლოებით 100 წლის შემდეგ. მე არჩევნებამდე ვთქვი, ბაქრაძე, როგორც გონიერი ადამიანი, რომელმაც იცის ათამდე დათვლა, მიიღებდა ორჯერ მეტ ხმებს და ეს ხმები მან მიიღო. მე ვიცნობ ჩემს საზოგადოებას, ჩვენს საზოგადოებას ევროპისა და ამერიკის მომხრე თუნდაც ბაქრაძე ურჩევნიანთ, ვიდრე რუსეთის მომხრე ბურჯანაძე. სააკაშვილთან ერთად ხელისუფლებაში ვერასოდეს მოვლენ.

– ვერც მერაბიშვილთან ერთად?

– ვერც მერაბიშვილთან ერთად, რადგან ამ ადამიანების სახელთან დაკავშირებულია „ნაციონალური მოძრაობის“ არა მარტო საუკეთესო, არამედ ყველაზე უარესი მომენტები. ბაქრაძეს აქვს შანსი, დაიტოვოს საუკეთესო და ხელი დაიბანოს ყველაზე ცუდისგან. მართალია, ეს მთლად სამართლიანი არ არის, მაგრამ ასე ხდება ხოლმე პოლიტიკაში.

– თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილი უნდა გაწირონ?

– პოლიტიკაში ასე ხდება ხოლმე. მე ვარ პარტიაში, რომელსაც ჰყავს მეხუთე თავმჯდომარე. „ნაციონალურ მოძრაობას“ თუ მუდმივად ეყოლება ერთი ლიდერი, ის დაიღუპება.

– თქვენი თავმჯდომარეები შემდეგ პარტიაში რჩებიან და მათ არავინ რიცხავს პარტიიდან...

– ჩვენი თავმჯდომარეები პარტიაში რჩებიან, მართალია, მაგრამ მე არ მითქვამს, სააკაშვილი გარიცხონ პარტიიდან-მეთქი. მთავარია, სააკაშვილი არ იყოს ლიდერი, თორემ კი ბატონო, იყოს პარტიაში. ის არ უნდა იყოს პირველი, თორემ იყოს თუნდაც მეორე, მაგრამ სააკაშვილს არ შეუძლია, იყოს მეორე. ამაზე ერთი რუსი მომღერალი მღერის ძალიან საინტერესოდ, მე არ ვესწრაფვი პირველობას, მაგრამ მეორეობა არ შემიძლიაო...

– როგორც თავად ნაციონალები ამბობენ, პარტია გადაწყვეტილებას ერთიანად იღებს და არა რამდენიმე ლიდერი...

– მე ვერ ვხედავ ამას, თუნდაც მაშინ როდესაც ხალხს უნდოდა ინაუგურაციაზე დასწრება. ასეთები არც ისე ცოტა იყვნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, საკმაოდ მნიშვნელოვანმა და სერიოზულმა ნაციონალმა თქვა, მე მინდოდა დასწრება, მაგრამ პარტიამ სხვანაირად გადაწყვიტა და პარტიის უმრავლესობის გადაწყვეტილებას დავემორჩილეო. ასე ფიქრობდა ბევრი, მაგრამ გაიმარჯვა სააკაშვილის შემონათვალმა ევროპიდან, რომ არავინ არ უნდა მისულიყო ინაუგურაციაზე. საპარლამენტო უმცირესობაში ვინც არის, მათი უმრავლესობა მზადაა თანამშრომლობისთვის. ასეც უნდა იყოს, თუ მათ სურთ გადარჩენა. არიან ადამიანები, რომლებიც იყვნენ შევარდნაძის დროს, იყვნენ სააკაშვილის დროს და არიან ახლაც. ამ ადამიანებმა თანმიმდევრულად უარი თქვეს, არ ვიტყვი სიტყვა „ღალატს“, ჯერ შევარდნაძეზე, შემდეგ ჟვანიაზე, ბურჯანაძეზე და ახლა სააკაშვილზე და ასე გაგრძელდება. სანამ პარტია ვერ გამოცვლის პირველ პირს, მანამდე მას შანსი არ აქვს, ის აუცილებლად გაქრება. შემდეგ არჩევნებზე ვერ აიღებენ ვერც ერთ ხმას და დარჩებიან გარეთ. ნაციონალები, სააკაშვილთან ერთად, მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე ბარიერს ვერ გადალახავენ.

– და რა უნდა აკეთოს მიშამ პარტიის გარეშე? როგორ ფიქრობთ, რით დაკავდება ის იმ პერიოდში, სანამ პოლიტიკიდან შორს იქნება?

– ამაზე ადრე უნდა ეფიქრა, რამდენიმე წიგნი მაინც უნდა ჰქონდეს კაცს წაკითხული და მოთმინება გააჩნდეს, რომ ლექციები წაიკითხოს, ან რაიმე საქმე აკეთოს. ვინაიდან სააკაშვილს არ შეუძლია, ერთ ადგილას იმუშაოს, ვინაიდან მან ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო, შესაბამისად, ვერ წარმომიდგენია, რომ სააკაშვილი იყოს კლერკი ან სხვა საქმოსანი. ის უკვე იყო ოლიმპოზე და იქიდან ჩამოსვლა ძალიან რთული იქნება. ჩვენ შეგვეძლო, მისთვის შეგვექმნა ის პირობები, როგორი პირობებიც აქვთ სხვა ქვეყნებში ყოფილ პრეზიდენტებს. ჩვენ შეგვეძლო სააკაშვილი ჩვენთვის ყოფილიყო ექსპერტი, ყოფილ პრეზიდენტს ამერიკაში სიტყვა ყოფილსაც არ აკადრებენ.

– და რა გიშლით ხელს?

– ამის საშუალებას თავად სააკაშვილი არ გვაძლევს. ის დესტრუქციულად არის განწყობილი.

– თუმცა მათი მხრიდან სწორედ ის ბრალდებაა, რომ თქვენ არ მიდიხართ თანამშრომლობაზე ყოფილ ხელისუფლებასთან. მაგალითად მოჰყავთ პრეზიდენტის რეზიდენცია, რომელიც პირადად მიშასი არც არასოდეს ყოფილა და კიდევ ბევრი სხვა, სწორედ ამიტომაც თქვეს უარი ინაუგურაციაზე...

– არა მგონია, ასე იყოს. ეს მიზეზები ცოტა ხელოვნურია, მაშინ როცა აღიარებ არჩევნების შედეგებს, როდესაც მიულოცავ გამარჯვებულ პრეზიდენტს, ამის შემდეგ ინაუგურაციაზე არმისვლა არის არგუმენტების გარეშე... ან არ უნდა ელიარებინათ, ან არ უნდა მიელოცათ. ნაციონალებმა გიორგი მარგველაშვილს თან მიულოცეს, თან არ მიულოცეს. ის ნაციონალები, ვისაც მოსვლა უნდოდათ, თქვენ მოღალატეები გგონიათ? ყველაზე ძველი ნაციონალები სწორედ ისინი იყვნენ, სხვათა შორის, ვისაც მოსვლა უნდოდა. ახლა, როცა სააკაშვილი აღარ არის პრეზიდენტი, ნაციონალებში დაიწყება პროცესი-გარკვევა, ვინ არის უფროსი. ისევ მათი პროგრესისთვის ვიტყვი, რომ უმჯობესი იქნება, მოუსმინონ საპარლამენტო უმცირესობას და მათ შორის მყოფ ადამიანებს, ვისაც ჭკუა მოეკითხებათ, რადგან უმცირესობაშიც არიან ფანატები, რომლებსაც ევროკავშირში შესვლა კი არა, საქართველოც კი არ აინტერესებთ მიშას გარეშე. დასაფასებელია ასეთი ერთგულება, მაგრამ ფანატიზმი კარგს არაფერს მოიტანს. მაგალითად, ბათუმში ახლაც არის ერთი ქალბატონი, რომელიც დღემდე ელოდება, რომ ზვიად გამსახურდია 2014 წელს ჩამოვა ცოცხალი და მიხედავს თავის საქმეებს. იგივე ფანატიზმს ნაციონალებს არ ვურჩევ. არ არის სააკაშვილი ის კაცი, ვისი ერთგულებაც მისი პრეზიდენტობის შემდეგ აუცილებელია. მათ უნდა უერთგულონ იდეებს, დანაშაულს და მერაბიშვილს თუ ჩაყვებიან საფლავში, ესეც მათი გადასაწყვეტია. სააკაშვილს ისტორია შეაფასებს, ეს შეფასება, ალბათ, უფრო ნაკლებად მკაცრი იქნება, ვიდრე ჩვენ ვართ, მაგრამ მკაცრი აუცილებლად იქნება. ვინმემ არ იფიქროს, რომ კაცი, რომელმაც გაბედა და საქართველოს უთხრა, რომ გამოცვლის მის შინაარსს და ქართველებს გაზრდის, საქართველოს ისტორიას დაიწყებს 2003 წლიდან, ამას არ აპატიებენ მას არც ადამიანები და არც ისტორია. ბუნებრივია, მისი გაკეთებული კარგი ასეც დარჩება. მასე ჰიტლერზეც ამბობდნენ ეს გზა ჰიტლერმა გააკეთაო, მაგრამ საფლავში მას არავინ ჩაჰყოლია. ქართული პოლიტიკის მომავალი გადის არა სააკაშვილზე, არამედ სულ სხვა ხალხზე, მათ შორის მის პარტიაში მყოფ ადამიანებზეც. ოღონდ ხელები უნდა დაიბანონ აუცილებლად, ძალიან დაუბინძურდათ მკვლელობებში, სისხლში და ასე შემდეგ... პარტია უნდა გაწმინდონ. მე არ ვარ მომხრე, რომ პარტია გასამართლდეს, ეს შეუძლებელია. უნდა გასამართლდნენ ცალკეული პირები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერ

my View
თამარ
გორთამაშვილი

სასჯელაღსრულების სისტემაში სერიოზული ცვლილებები იგეგმება, – განცხადებას ამის შესახებ უწყების ხელმძღვანელი „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აკეთებს. რას და ვის შეცვლის სოზარ სუბარი, რა გამოწვევის წინაშე აყენებს ის კრიმინალურ ავტორიტეტებს და რა გეგმა აქვს წლის ბოლომდე შესასრულებელი მის გუნდს? „პრაიმტაიმის“ კითხვებს სასჯელაღსრულების მინისტრი პასუხობს.

სოზარ სუბარი: „საკადრო ცვლილებები იყო, არის და იქნება ნებისმიერ უწყებაში და აქედან რაიმე სენსაცია არ უნდა შევქმნათ. ჩვენს უწყებაში ცვლილებები, რა თქმა უნდა, იგეგმება, თანაც სერიოზული ცვლილებები... მაგალითად, უკვე მეორე თვეა, ჩვენთან ვაკანტურია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, იქნება სხვა ცვლილებებიც. ეს ბუნებრივი პროცესია... ნებისმიერ ქვეყანაში ასეა, ნებისმიერ სახელმწიფო უწყებაში საკადრო ცვლილებები ყოველთვის ხდება და ეს არ არის სენსაცია.

– რაც შეეხება მინისტრთა ახალ კაბინეტს, შეიცვალა პრემიერ-მინისტრი, შს მინისტრი და პროკურორი, რას ელოდებით ამ ცვლილებებით?

– ის, რომ მთავრობა პრაქტიკულად იმავე გუნდით განაგრძობს მუშაობას ნიშნავს იმას, რომ სტრატეგიული ხაზი უცვლელი დარჩება. უბრალოდ, ძალიან რთული ერთი ნელი იყო - გარდაქმნისა და გარდატეხის ერთი წელი... წლის ბოლოდან მუშაობა ბევრად უფრო ადვილი და ეფექტური იქნება. ბიძინა ივანიშვილის სიტყვებს გავიმეორებ – პირველი წელი იქნება კარგი და ყოველი მომდევნო წელი - ბევრად უკეთესი. ეს ტენდენცია სახეზეა, წლის ბოლოდან, ოქტომბრიდან, უკვე დაიწყო ეკომონიკის სწრაფი ზრდა. 5%-იანი ზრდა იყო ოქტომბერში და მოსალოდნელია კიდევ უფრო მაღალი ზრდა ნოემბერ-დეკემბერში. თავისთავად ეს უკვე ტენდენციის მაჩვენებელია.

რამ გამოიწვია წინა თვეებში ეკონომიკის ვარდნა? ამას თავისი ლოგიკური ახსნა აქვს – 2008 წლის შემდეგ, 5 წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკაში სასიკეთო არაფერი ხდებოდა. ბიუჯეტი სრულდებოდა იმის ხარჯზე, რომ მასზე პირდაპირ იყო მიერთებული ის ევროპული და ამერიკული დახმარება, რომელიც ომის შემდეგ გაგვიწიეს – თითქმის 5 მილიარდი დოლარი, რაც პრაქტიკულად ამოწურული იქნა ამ 4 წლის განმავლობაში. ამას დაუმატეთ ის ნახევარმილიარდიანი ევროობლიგაციები, უზარმაზარი სესხები... პრაქტიკულად საქართველოს ეკონომიკა არ არსებობდა. უბრალოდ, იყო დიდი დახმარება და დიდი ვალები იმ დახმარების ზემოთ, რომელსაც იღებდა მთავრობა. ამიტომ ასეთი დახმარების ფონზე 5-6-პროცენტიანი ზრდა დაგეფიქსირებინა წლიურად, პრაქტიკულად ეკონომიკის არმქონე ქვეყანაში, ძალიან ადვილი იყო. ნურც იმას დავივიწყებთ, რა ფასი გადავიხადეთ ამ დახმარებაში - ეს ფასი იყო წაგებული ომი, დაკარგული ტერიტორიები, ეთნოწმენდა, დაღვრილის სისხლი, დაღუპული მებრძოლები და მშვიდობიანი მოსახლეობა, შოკი, რომელიც მიიღო ქართველმა ხალხმა. ეს იყო ომი, რომლის თავიდან აცილება ვერ და არ შეძლო სააკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ.

წელს პირველად მოხდა, რომ ეკონომიკა დადგა გაჯანსაღების გზაზე. შესაბამისად, დღეს ეკონომიკურ უკუსვლაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, პირიქით, ეკონომიკის რეალური წინსვლა და გაჯანსაღება სწორედ ახლა დაიწყო. ამაში შეგიძლიათ თავადაც დარწმუნდეთ, გამოკითხეთ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტები, შარშანდელთან შედარებით გაეზარდათ თუ არა გაყიდვები. ყველა დაგიდასტურებთ, რომ გაეზარდათ და მინიმუმ 30-40 პროცენტით. იკითხეთ ლილოს ბაზრობაზე, რამდენით მეტი სავაჭრო ფართი ფართი გაქირავდა წელს... იკითხეთ, რამდენად გამოცოცხლდა სამშენებლო ბიზნესი წლის მეორე ნახევარში... ანუ, იზრდება რეალური ეკონომიკა. უბრალოდ, ეკონომიკის ზრდა წლის პირველ ნახევარში სასურველზე ნაკლები იყო, რასაც ობიექტური მიზეზები აქვს. ერთი მიზეზი ისაა, რომ ამოიწურა ის დახმარებები, რომელიც მოდიოდა ჩვენი მეგობარი ქვეყნებისგან. მეორე მიზეზი იყო ის, რომ პრაქტიკულად მსხვილი ბიზნესი მთლიანად იყო მონოპოლიზებული და როცა ეს მონოპოლიები რომ ჩანყდა, ვილაცები, უბრალოდ, სასწრაფოდ გაიქცნენ ქვეყნიდან. გაიქცნენ და თან ნაიღეს მოპარული ფული, რომელიც ეკონომიკას მოაკლდა.

მესამე - წინა წლებში ეკონომიკის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები იყო. ეს თავისთავად მიუთითებს, რომ ეკონომიკა არ იყო ჯანსაღი, თუმცა, ცხადია, რომ სახელმწიფო პროექტები მომავალშიც დარჩება ეკონომიკის ერთ-ერთ მასტიმულირებელ ძალად. უბრალოდ, წლის პირველ ნახევარში ბევრი პროექტი გარკვეული პერიოდით შეჩერდა, ზოგიერთი უახლო პროექტი კი სრულიად გაჩერდა. მაგალითად, ჩემს სამინისტროში - სააკაშვილი აშენებდა ახალ ციხეს გურიაში, ლაითურში 4300 პატიმრისთვის, რაც პატარა ევროპული ქალაქის ხელაა. ცხადია, რომ ეს არანორმალური პროექტია და ამხელა ციხეები ჩვენ არ გვჭირდება. ცხადია, ჩვენ შევაჩერეთ ეს მშენებლობა და მის გადაპროექტებას რამდენიმე თვე დასჭირდა, ამ ხნის განმავლობაში კი ეს მშენებლობა გაჩერებული იყო. იგივე ხდებოდა სხვა სფეროებშიც. მაგ. ზუგდიდში შენდებოდა იუსტიციის სახლი, რომლის კვადრატული მეტრი 1700 დოლარი უნდა დამჯდარიყო. ცხადი იყო, რომ თეა წულუკიანი იუსტიციის ასეთ სახლს არ აამენებდა და მოხდა მისი გადაპროექტებაც. ასე ხდებოდა ყველა სფეროში და როდესაც გადაპროექტებები დაიწყო, ბიუჯეტის უაზრო ხარჯებისგან გასათავისუფლებლად, ცხადია, რომ ამან წლის პირველ ნახევარში ინფრასტრუქტურული პროექტების ერთგვარი შეჩერება და ბიუჯეტის შემოსავლების კლება გამოიწვია.

იყო კიდევ ერთი მიზეზი – სააკაშვილი, რომელიც ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ხელს უშლიდა ქვეყნის განვითარებას და ქმნიდა არასტაბილური ქვეყნის იმიჯს. ეს ყველაფერი დამთავრდა და ქვეყანა დადგა სტაბილური განვითარების გზაზე. ამას დაემატა ისიც, რომ ეს ერთი წელი მოლოდინით უყურებდა მთელი მსოფლიო, როგორ განვითარდებოდა საქართველო. ახლა ხომ ყველამ დაინახა, რომ 27 ოქტომბრის არჩევნები იყო საქართველოში პირველი და ერთადერთი გაუყალბებელი, არაფალსიფიცირებული, სამართლიანი, თავისუფალი, ევროპული ტიპის არჩევნები მთელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. სამი ბალტიური ქვეყნის გამოკლებით, რომლებიც დიდი ხანია ევროპული სტანდარტებით ცხოვრობენ, მთელ დანარჩენ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასეთი არჩევნები არ ჩატარებულა. სახელმწიფოს ყველა უწყება - მთავრობა, პოლიცია, თვითმმართველობები მობილიზებული იყო მხოლოდ ერთი მიზნით, როგორ ჩატარებულიყო უკეთესად, რომ ვინმეს არ გაებედა, რომელიღაც უბანზე რაღაც დარღვევა მომხდარიყო. წელს პოლიციას არ გაუხსნია სპეცუბნები, ჯარშიც ანალოგიურად. პირველად მოხდა, რომ არ გამოცხადდა ყაზარმული მდგომარეობა არც პოლიციაში, არც სასჯელაღსრულების სისტემაში, არც ჯარში... ამან დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ ეს ქვეყანა მიდის სტაბილურობისკენ. იგივე მთავრობის წარდგენა და ორდღიანი დებატები. როდის გახსოვთ, რომ მსგავსი განხილვა მოწყობილიყო და ამდენი კითხვა-პასუხი ყოფილიყო. ამან დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ ეს არის სტაბილური ქვეყანა, რომელთან ურთიერთობაც შესაძლებელია, ამას ვილნიუსის სამიტი და მისგან გამომდინარე შედეგებიც დამატება და ჩათვალეთ, რომ ქვეყანა დადგება ძალიან სწრაფი განვითარების გზაზე და ამის ნიშნები უკვე არის.

– თქვენს უწყებაზე რა გავლენა მოახდინა ამ ცვლილებამ, ერთი წელი გავიდა, რა შედეგი გაქვთ?

– პირველად მოხდა საქართველოს ისტორიაში და პირველი პრეცედენტია, როდესაც ნათელი გახდა, რომ ციხის მართვა შესაძლებელია ძალადობის, ან ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ავტორიტეტის გამოყენების გარეშე. ადრე ან ერთი იყო, ან მეორე, ან ორივე ერთად. დღეს პირველად გაჩნდა პატიმრებში და მათი ოჯახის წევრებში განცდა, რომ პატიმარი არის ადამიანი და საზოგადოების წევრი, რომელიც იხდის სასჯელს გარკვეული დანაშაულისთვის, მაგრამ, რაც მას სასამართლომ მიუსაჯა, მხოლოდ ეს არის მისი სასჯელი და არა დამატებით ცემა, წამება, უჭმელობა, ე.წ. „ობშიაკისთვის“ ფულის გადახდის ვალდებულება, და ა.შ... დღეს რადიკალურადაა შეცვლილი სურათი და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს წელი იყო გარდატეხის, თანაც ისეთი გარდატეხის, რომ ის დრო, რაც ადრე იყო, უკან აღარასდროს დაბრუნდება.

უკმაყოფილებები ჩვენს სფეროში ყოველთვის იქნება. წარმოიდგინეთ, ამ წუთში არის 9000 ადამიანი, რომელიც იხდის სასჯელს და გამოკეტილია ციხეში. ზოგს შეიძლება შემთხვევითი დანაშაული აქვს ჩადენილი, ზოგს - მძიმე, ზოგიც რეციდივისტია... ამ სფეროში უკმაყოფილება და დაუმორჩილებლობის გარკვეული მცდელობები სულ იქნება, მაგრამ მთლიანობაში არის წესრიგი, არის სიმშვიდე და რაც მთავარია, პატიმრებში გაჩნდა ნდობა ადმინისტრაციისადმი - ასეთი რამ აქამდე არ ყოფილა. პერიოდულად გარკვეული ადამიანები, „ავტორიტეტები“ ცდილობენ სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვას. ახლაც, მაგალითად, რამდენიმე ადამიანი შიმშილობს 223-ე პრიმა მუხლის გაუქმების მოთხოვნით (ეს არის ქურდული სამყაროს წევრობა), მაგრამ დღეს რომ ისეთი ავტორიტეტი და ძალა ჰქონდეთ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს, როგორც ეს ადრე იყო, იშიმშილებდა არა 3-4, არამედ 5000 ადამიანი. პატიმრები მათ აღარ მიჰყვებიან, იმიტომ რომ გაჩნდა ნდობა ჩვენს მიმართ. ამავდროულად პატიმრები ხედავენ, რომ, ვინც კანონს არ არღვევს, მათი არა მხოლოდ უფლებებია დაცული, არამედ ისინი უკეთეს პირობებშიც არიან და აქვთ მეტი შანსი პირობით ვადამდე გათავისუფლების, შეწყალების და ა.შ. ხოლო ვინც კანონს არღვევს, ვინც ხელოვნურად ქმნის პრობლემებს, მათ ეს შანსები ნაკლებად აქვთ. სამართლიანობის განცდა გაჩნდა პატიმრებში და მათთვის დღეს ავტორიტეტი არის ადმინისტრაცია და არავინ სხვა...

„ის, რომ მთავრობა პრაქტიკულად იგივე გუნდით განაგრძობს მუშაობას, ნიშნავს იმას, რომ სტრატეგიული ხაზი უცვლელი დარჩება“

თუნდაც ის რეფორმა, რომელიც ერთი თვის წინ გავატარეთ, ასევე, გარღვევაა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში... გახსოვთ, ალბათ, საბჭოთა ტრადიცია, რომელიც საქართველოშიც დღემდე მუშაობდა – სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული პატიმრები, ე.წ. „აბსლუგა“ ფულს იღებდა სხვა პატიმრებისგან და ამ „აბსლუგის“ ბრიგადირებს ჰქონდათ უზარმაზარი შემოსავალი. წინა წლებში, როცა ზოგიერთ დანესებულებაში 3-4 ათასი პატიმარი იყო, თითო ბრიგადირის შემოსავალი 7-8 ათას ლარზე ადიოდა. ამავდროულად, ეს იყო შემოსავლის წყარო იმ კრიმინალური ავტორიტეტებისთვისაც, რომლებიც მათგან წილს იღებდნენ. დღეს ეს გაქრა, იმიტომ რომ სამეურნეო ნაწილში ჩარიცხულ პატიმრებს ჩვენ დავუნიშნეთ ხელფასი! შესაბამისად, ისინი ათასობით ლარს ვეღარ იღებენ, მაგრამ იღებენ 160-დან 200 ლარამდე. შედეგი ის არის, რომ გაჩნდა რიგები, ვისაც სურს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა. სადაც მანამდე 20 მსურველი იყო, დღეს 200 მსურველი გაჩნდა, რადგან ეს არის ლეგალური შემოსავალი, რადგან ეს პატიმრები თავს აღარ გრძნობენ უხერხულად და დამცირებულად. ადრე ისინი წურბელებივით იყვნენ სხვა პატიმრებისთვის და შემოსავალიც მათგან გადახდილი ფულით ჰქონდათ, ახლა კი, როცა ნახეს, რომ სხვა პატიმრების ხარჯზე კი არ იცხოვრობენ, არამედ სახელმწიფოსგან აიღებენ ხელფასს, უკვე გაჩნდა მრავალი მსურველი და უამრავ ადამიანს უნდა დასაქმდეს. მათ აქვთ ლეგალური შემოსავალი, რომელიც თუნდაც სიგარეტის ფულად ან სხვა საჭიროებისთვის ეყოფათ. ეს მნიშვნელოვანი სტიმულია. ამავდროულად ეს აღარ არის წყარო კრიმინალური ავტორიტეტებისთვის, რომლებმაც შეიძლება წილები მოითხოვონ. ეს არის რეალური გარღვევა და ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა.

– შემცირდა ის დანაშაული, რაც ადრე ციხეებში ხდებოდა? ანუ რა მოგცათ ამ ნდობამ, რომელზეც საუბრობთ?

– ის მოგვცა, რომ შემცირდა ისეთი მღელვარებები, რომელიც არყევდა ამ სისტემას. მოგეხსენებათ, შარშან 19 სექტემბერს გავიდა წამების საზარელი კადრები, რის მერეც მოხდა სრული დემორალიზაცია სასჯელაღსრულების სისტემაში. ვერც ერთი თანამშრომელი პატიმართან ვერ შედიოდა, თანაც იმ დროს სისტემაში 22000 პატიმარი იყო. შარშან 25 ოქტომბერს მოხდა მთავრობის არჩევა, ანუ ერთ თვეზე მეტ ხანს სისტემა სრულიად დემორალიზებული იყო. თანამშრომლების აბსოლუტური უმრავლესობა პატიმრებთან უბრალო კონტაქტსაც კი ვერ ბედავდა... დიდი ხანი დაგვჭირდა, რომ ეს დაგველაგებინა, ნაბიჯ-ნაბიჯ სვლა იყო საჭირო, რომ სიტუაცია დალაგებულიყო. მეორე ვარიანტით, ისევ ძველი მთავრობის მეთოდებით უნდა დაგვეწყო ვითარების დალაგება – ძალადობით, „სპეცნაზით“, მუქარით, ტყვიით - ამაზე, ცხადია, ჩვენი ხელისუფლება არ წავიდოდა, ამიტომაც მოვედით ჩვენ სათავეში. ჩვენმა თანმიმდევრულმა მიდგომამ ვითარება რამდენიმე თვეში დაალაგა და ახლა კიდევ უკეთესად მიდის პროცესი.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დანაშაული ნებისმიერ საზოგადოებაში ხდება, მონასტერშიც კი შეიძლება დანაშაული მოხდეს და ციხეში, სადაც რამდენიმე ათასი ადამიანი, რომლებსაც დანაშაული აქვთ ჩადენილი და რომელთა ნაწილი რეციდივისტია, ერთ მცირე სივრცეში ცხოვრობს, იმის გამორიცხვა, რომ დანაშაული არ მოხდება - არ იქნება ჩხუბი, ნარკოტიკისა და აკრძალული ნივთის შეტანის მცდელობა - შეუძლებელია. რამდენიმე ათეულ საქმეზე გვაქვს წელს ძიება დაწყებული. არაერთი ადამიანია დაკავებული ამ ბრალდებებით. მაგრამ მთლიანობაში ეს მცდელობებიც კი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ადრე იყო.

პრაქტიკულად შეწყდა საჩივრები კვებასთან დაკავშირებით, იმიტომ რომ დღეს პატიმრები გაცილებით უკეთეს საკვებს იღებენ. ჩვენ შევიმუშავეთ კვების ახალი სტანდარტი და მომავალ წელს ეს სტანდარტი კიდევ უფრო გაუმჯობესდება. კიდევ უფრო დაიხვეწება მენიუები. 11 სხვადასხვა რაციონი გვაქვს შემუშავებული სხვადასხვა ტიპისთვის. მაგალითად, გვყავს მეძუძური დედები და მათთვის განსხვავებულია კვების რაციონი, ასევეა ავადმყოფებისთვისაც. დახურულ ინსტიტუციაში სხვა რაციონია და ნახევრად ღიაში – სხვა...

„არის წესრიგი, არის სიმშვიდე და რაც მთავარია, პატიმრებში გაჩნდა ნდობა ადმინისტრაციისადმი, ასეთი რამ აქამდე არ ყოფილა“

„პატიმრებში საკმარისიანობის განცდა გაჩნდა და მათთვის დღეს ავტორიტეტი ადმინისტრაციაა და სხვა არავინ...“

თუ თავიდან ძალიან ბევრი საჩივარი იყო ჯანდაცვასთან დაკავშირებით, დღეს მაჩვენებელი აქაც ნულზეა დასული. რა თქმა უნდა, მოთხოვნები ყოველთვის იქნება, იქნებიან ისეთი პატიმრები, რომლებიც განსხვავებულ წამალს მოითხოვენ და არა იმას, რაც ექიმმა დაუნიშნა, მაგრამ ესეც რეგულირებულია. ჩვენ გავაკეთეთ ევროკავშირის წამლების ჩამონათვალი, ანუ რომელ დაავადებაზე რა წამალი უნდა იყოს, რასაც ჩვენი სისტემა უზრუნველყოფს. ამასთანავე, ეს ჩამონათვალი ევროკავშირთან შედარებით დაახლოებით 30%-ით კიდევ გავზარდეთ. იმის ზემოთ თუ ვინმეს რამე ჯადოსნური პრეპარატი უნდა, შეუძლია, თვითონ იყიდოს.

ახლა ვაკეთებთ ჩამონათვალს იმ დაავადებების, რომლებსაც სახელმწიფო დააფინანსებს. როცა პატიმარი მოგმართავს, რომ, მაგალითად, მოაცილონ ხალი, რომელიც მას დაბადებიდან აქვს და მაინცდამაინც ციხეში მოუნდა ოპერაციის გაკეთება, მას ეცოდინება, რომ ასეთ შემთხვევებს სახელმწიფო არ დააფინანსებს. იყო მუდმივი საჩივრები იმასთან დაკავშირებით, რომ, ვთქვათ, ვილაცას სურდა, სასწრაფოდ გაეყვანათ შემოწმებაზე და არ გაჰყავდათ... ახლა გაჩნდა ელექტრონული რიგი და ყველა პატიმა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲔᲡ წᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲠᲓᲐᲢᲔᲮᲘᲡ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲢᲔᲮᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲓᲠᲝ, ᲠᲐᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲘᲧᲝ, ᲣᲙᲐᲜ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ“

„ᲣᲜᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ...“

EXCLUSIVE

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲘᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ, ᲐᲜ Ე.Წ. „ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ“

რმა იცის, დღეს რომ ჩაეწერება, რამდენ ხანში მოუნევს შემოწმებაზე გასვლა. ის ვერ გადაახტება სხვა პატიმარს, რომელიც მასზე ადრე დგას რიგში, თუ ეს საჩქარო არ არის. თუ სასწრაფოა, მომენტალურად მოხდება რეაგირება. ამიტომ ამ მხრივაც მინიმუმამდეა დასული პატიმართა საჩივრები.

დიდი ხანია ვსაუბრობთ ცე-ჰეპატიტის მკურნალობაზე და უკვე გავედით კიდეც ბოლოში. სავარაუდოდ, მომდევნო კვირის ბოლოს ჩვენ უკვე გვექნება ახალი ფასი ცე-ჰეპატიტის წამალზე – პელიგირებულ ინტერფერონზე, რომელიც დაახლოებით 60-70%-ით ნაკლები ეღირება დღევანდელთან შედარებით. ამის პარალელურად ჩვენ დროს არ ვკარგავთ და უკვე დავიწყეთ კვლევა სხვადასხვა რისკის ჯგუფების, ვის სჭირდება მკურნალობა და ვის – არა. მაგალითად, ქალთა დაწესებულებაში, იმ ქალბატონებს შორის, ვინც გამოკვლევა ჩაიტარეს, 17%-ს აღმოაჩნდა ეს დაავადება. სხვა ჯგუფებში სხვა მაჩვენებელია და ყველას მკურნალობა დაიწყება.ზოგიერთ ჯგუფში მაჩვენებელი 50%-ზე მაღალი აღმოჩნდა. ეს კატასტროფაა. დეკემბერში გავხსნით სრულიად ახლად აღჭურვილ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს. ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესოდ აღჭურვილი საავადმყოფო მთელ საქართველოში.

ასევე, მომავალ წელს გაიხსნება ფსიქიკური რეაბილიტაციის სახლი, სადაც ცალკე იქნება სარეაბილიტაციო ცენტრი ნარკოდამოკიდებული პირებისთვის, ცალკე იქნება განყოფილება იმ ადამიანებისთვის, ვინც მუდმივად თვითდაზიანებებს მიმართავენ, ასევე, ერთი განყოფილება სხვადასხვა დონის ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა. აქ არიან ადამიანები, რომლებმაც ეს წლები ჯოჯოხეთში გამოიარეს, იყვნენ წამების მსხვერპლი. ამის გარეშეც, დახურული სივრცე ადამიანის ფსიქიკაზე ნეგატიურად მოქმედებს, ამიტომაც ბევრს შეიძლება სჭირდებოდეს მკურნალობა. ეს მათთვისაც აუცილებელია და იმისთვისაც, რომ სისტემაში იყოს სტაბილური გარემო. როდესაც რამდენიმე ასეული ადამიანია, რომელსაც სერიოზული ფსიქიკური პრობლემა აქვს, ისინი არყევენ ამ სისტემას, რადგან მათ ვერ მოექცევი ისე, როგორც ჩვეულებრივ წესრიგის დამრღვევს, რადგანაც მათი დარღვევები მისი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. მათ სჭირდებათ მკურნალობა. ყველას ახსოვს ძველი მეთოდი, როცა შევიდოდნენ ასეთ ადამიანთან და „სპეცნაზი“ უსწორდებოდა ხელკეტებით, ამის შემდეგ მინიმუმ სამი კვირა ის პრობლემას ვერ შექმნიდა, იმიტომ რომ, უბრალოდ, ვერ ადგებოდა ფეხზე... ცხადია, ეს დაუშვებელია და ამას არ გავიმეორებთ.

ზოგადად, ფსიქიკური პრობლემები სერიოზული გამოწვევაა სისტემისთვის, ისევე როგორც სუიციდები, რომლის მცდელობაც ყოველთვის იყო, დღესაც ბევრია და ასეა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის პენიტენციურ სისტემაში. ეს ერთ-ერთი წაყვანი პრობლემაა დახურულ ინსტიტუციებში. თვითონ ის გარემო ახდენს ზეგავლენას ადამიანზე. სიკვდილიანობის მიზეზებს შორისაც სუიციდი ერთ-ერთ წამყვან პრობლემად წამოვიდა მას შემდეგ, რაც ტუბერკულოზი, როგორც მთავარი მკვლელი, მეტ-ნაკლებად დავძლიეთ, იმიტომ რომ ძალიან კარგად მიდის მკურნალობა, რაც წამება აღარ არის პატიმართა სიკვდილის მიზეზი, რაც ცე-ჰეპატიტზე პროგრამები მუშავდება. დღეისთვის დარჩა ორი მთავარი მიზეზი – ეს არის გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, რომელმაც შეიძლება ძალიან მოულოდნელი და სწრაფი სიკვდილი გამოიწვიოს და მეორე, ეს არის სუიციდი.

სუიციდთან დაკავშირებით დავიწყეთ სპეციალური პრევენციული პროგრამის შემუშავება, რომელშიც ქვეყნის წამყვანი ექსპერტები არიან ჩართული და შემდეგ მათვე მივანდობთ ამ პროგრამის განხორციელებასაც. ევროპის ქვეყნებს რომ შევადაროთ, სუიციდის ფაქტები ჩვენს ქვეყანაში გაცილებით ნაკლებია, მაგრამ თითოეული ადამიანის სიცოცხლე უნიკალურია და ყველას სიცოცხლის გადარჩენაზე უნდა ვიზრუნოთ.

– რა შედეგზეა გათვლილი, რატომ გახდა საჭირო პატიმრების რისკ-ჯგუფებად დაყოფა?

– სწორედ იმიტომ, რასაც ჰქვია კრიმინალური ავტორიტეტები და მათთან ბრძოლა. ეს ყოველთვის იყო ციხეში და რაღაც პერიოდი ამას ჩქმალავდნენ, თითქოს არ არსებობდა. მაგალითად, ძველი ხელისუფლება უცხოელ ექსპერტებთან გამოაცხადებდა ხოლმე, რომ ციხეში ნარკოტიკი არ შედის. უცხოელები ამაზე, უბრალოდ, იბნეოდნენ, იმიტომ რომ მსოფლიოში ისეთი ციხე არ არსებობს, სადაც ნარკოტიკი არ შედის, ან ამის მცდელობა არ არის. თუ ნარკოტიკი არ შედიოდა, მაშინ რატომ ხდებოდა საქმეების აღძვრა ნარკოტიკების შეტანია ფაქტებზე? ყოველწლიურად ასამდე გამოძიება იწყებოდა ამ მუხლით. დღესაც ციხეში არაერთი ადამიანი იხდის სასჯელს, რომლებიც იმის გამო დაიჭირეს, რომ ციხეში ნარკოტიკი შეჰქონდათ. თუ მცდელობა არ იყო, ეს ხალხი სასჯელს რისთვის იხდის? ხოლო თუ მცდელობები იყო, რა გარანტია აქვთ, რომ რამდენიმე მცდელობა წარმატებით არ დასრულდა?

ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ პრობლემა არსებობს და ამაზე თვალს ვერ დავხუჭავთ. ჩვენ ვამბობთ და გამოფენაც კი მოვაწყვეთ, რომ ციხეში არის აკრძალული ნივთები. ძველი ხელისუფლება ამბობდა, ეს პრობლემაც არ არსებობდა, მაგრამ მაგრამ აბა მე მკითხეთ, დღესაც რამდენი ადამიანი ზის ციხეში უკანონო ნივთის აღმოჩენის გამო?! მათ შორის ყველაზე მკაცრ – მე-7 დაწესებულებაში. ადამიანებს დაუმატეს სასჯელები, იმიტომ რომ მათ აღმოაჩინეს მობილური ტელეფონი, ე.წ. „შტირი“, ანუ ხელნაკეთი ცივი იარაღი. მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ან ამ ადამიანებს არ ჰქონდათ ეს ნივთები და „ჩაუდეს“, რაც სერიოზული დანაშაულია, ან, თუ მეშვიდეში შედიოდა, ყველაზე მკაცრ დაწესებულებაში, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა ხდებოდა ქსანში, ღია ზონაში, სადაც 4000 პატიმარი იხდიდა სასჯელს. ჩვენ ამ ყველაფერზე ღიად ვლაპარაკობთ, ისევე როგორც „მაყურებლებზე“ და „ავტორიტეტებზე“.

შეგიძლიათ ჰკითხოთ ნებისმიერ ძველ პატიმარს და ისინი გეტყვიან, რას აკეთებდნენ ეს ავტორიტეტები, როგორ თანამშრომლობდნენ ისინი ადმინისტრაციასთან. დღეს ისინი ამას ვერ ბედავენ და ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება მათი გადაკეტვა დახურულ ინსტიტუციებში, რომ მათ ვერ მოახდინონ უარყოფითი გავლენა სხვებზე. როცა პატიმარი რეკავს ეთერში და ამბობს, რომ მასზე ზეწოლას ახდენს „მაყურებელი“, ეს ნიშნავს, რომ ან ეს პატიმარი იტყუება და „მაყურებელი“ არ ახდენს ზეწოლას და რაღაც სხვა მიზნის მისაღწევად აკეთებს ამას, ან, თუ ის „მაყურებელი“ მართლა არსებობს, ე.ი. მას არ აქვს რაიმე ძალა და არ აქვს მხარდაჭერა ადმინისტრაციის მხრიდან, თორემ ვინ გაბედავდა, გნებავთ შევარდნაძის, გნებავთ სააკაშვილის დროს, რომ ასეთი რამ ეთქვა. მას მარტო შიგნით კი არ შეექმნებოდა პრობლემა, მის ოჯახს გააქრობდნენ გარეთ.

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა რაც დაგვხვდა, ეს იყო ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენება. 2000-ზე მეტი პატიმარი დანიშნულებაზე ბევრად მეტ ფსიქოტროპულ ნივთიერებას მოიხმარდა, ხოლო მათგან დაახლოებით 700 პატიმარი წარმოუდგენელად მაღალ დოზებს იღებდა. 60%-ით შევამცირეთ დღეს ეს მოხმარება, ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი და წლის ბოლომდე კიდევ 20-30%-ით შემცირება გვაქვს ამოცანად დასახული. ეს პროგრამაც, ისევე როგორც ყველა სხვა პროგრამა, ჩვენ შევიმუშავეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან ერთად. მარტო არაფერს ვაკეთებთ.

გასულ კვირას სამოქალაქო სექტორთან ერთად განვიხილავდით იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც პატიმრებისა და დაწესებულებების კატეგორიებად დაყოფას ითვალისწინებს. ერთი მხრივ, ჩვენ ვაკეთებთ დაბალი რისკის დაწესებულებებს, სადაც მოთავსდებიან მხოლოდ ის მსჯავრდადებულები, რომლებიც წერილობით თანხმობას აცხადებენ მუშაობაზე ან სწავლაზე, რაც უკვე თავისთავად ნიშნავს, რომ ისინი არ არიან კრიმინალური სუბკულტურის მიმდევრები და ამით ისინი გამოეთიშებიან ამ სუბკულტურას და მეორე – განსაკუთრებით მაღალი რისკის დაწესებულება, სადაც სწორედ ამ კრიმინალური სუბკულტურის წევრები მოთავსდებიან, სადაც ყველა მათი უფლება იქნება დაცული, თუმცა ეს უფლებები იქნება შეზღუდული. ვთქვათ, თუ დაბალი რისკის დაწესებულებაში პატიმარს წელიწადში 9 გრძელვადიანი პაემნის უფლება აქვს, მაღალი რისკის დაწესებულების პატიმარს არ ექნება არც ერთხელ. თუ ერთგან კვირაში ერთხელ ექნება მოკლევადიანი პაემნის უფლება, გრძელვადიანში ექნება თვეში ერთხელ და ისიც პირისპირ შეხვედრის გარეშე, მხოლოდ შუშის მიღმა, ტელეფონით. ასე რომ, თვითონ უნდა გადაწყვიტონ ადამიანებმა – ურჩევნიათ, დარჩნენ კრიმინალური სუბკულტურის წევრებად თუ იცხოვრონ ნორმალურ საზოგადოებაში, სადაც მათ ექნებათ ხელფასი, მეტი თავისუფლება, უკეთესი პირობები. კვება და ჯანდაცვა კი ყველასთვის ერთნაირი იქნება.

– იქნებ იტყუება პატიმარი, როცა თანხმობას აცხადებს მუშაობაზე, რის შემდეგაც გადაგყავთ დაბალი რისკის ზონაში და ამავდროულად ის არ ამბობს უარს კრიმინალურ სუბკულტურაზე... მაშინ არ ხდება?

– ვერ მოგვატყუებს, იმიტომ რომ ამას განსაზღვრავს მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელშიც შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, უსაფრთხოების თანამშრომლები, საჭიროების შემთხვევაში ჯგუფში ფსიქიატრიც შეიძლება შევიდეს, შეიძლება სასულიერო პირმა გამოთქვას თავისი აზრი და მან მოგვცეს რეკომენდაცია. ამიტომ მოტყუება იქნება პრაქტიკულად შეუძლებელი. მათი არჩევანი არანაირად არ არის, მკაცრ დაწესებულებაში მოხვდებიან თუ არა, ეს არის პირდაპირ ადმინისტრაციის გადაწყვეტილება. მოხვდებიან თუ არა დაბალი რისკის დაწესებულებაში, ეს უკვე არის მისი პირადი არჩევანი, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ ამას შესაძლებლად მივიჩნევთ. სულ იქნება 4 სხვადასხვა დონე და პატიმრებიც ასეთ შემთხვევაში ისინი შესაბამისად გადანაწილდებიან.

– როგორ წარმოგიდგენიათ ლაითურის ციხეში ამდენი კრიმინალური ავტორიტეტის ყოფნა ერთად?

– ეს არის 600-კაციანი დაწესებულება. იქნება 1- და 2-კაციანი საკნები. ერთი საკანი არის 17 კვ.მ. როცა ევროსაბჭო ამბობს, რომ კაცზე მინიმუმ 4 კვ.მ უნდა იყოს, ჩვენ გვექნება ერთ კაცზე 17 ან 8 კვ.მ, რაც აკმაყოფილებს ყველა საერთაშორისო სტანდარტს. მათ არ ექნებათ ერთმანეთთან კომუნიკაცია, არც ტელეფონით, არც გადაძახილით, ხმა არ გავა არც კარიდან და არც ფანჯრიდან. ისეირნებენ ცალ-ცალკე. ასე რომ, მათ არ ექნებათ ვინმეზე გავლენის მოხდენის საშუალება. ეცოდინებათ, რომ მათი ტელეფონის ზარები მოისმინება და დარეკვის საშუალებაც მხოლოდ წინასწარ შეთანხმებულ ტელეფონებზე მიეცემათ, მაშინ როდესაც დაბალი რისკის დაწესებულებებში ტელეფონის ზარი არის ულიმიტო, რამდენჯერაც და ვისთანაც უნდა, იმდენჯერ დარეკავს, მათ შორის უცხოეთშიც. ეს არის განსხვავება და დანარჩენს თვითონ გადაწყვეტს ადამიანი, სად ურჩევნია – იქ, სადაც ბევრი უფლება აქვს შეზღუდული თუ იქ, სადაც ძალიან ბევრი უფლება აქვს.

გარდა ამისა, დასაქმება და მინიმუმ 300 ლარი ხელფასი, რომელსაც დაბალი რისკის დაწესებულებაში მიიღებს დასაქმებული პატიმარი, ცოტა არ არის, თუმცა აქ მარტო ფულზე არ არის აქ საუბარი, უფრო მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს მთელი დღის განმავლობაში აქვს საქმე, განცდა იმისა, რომ საჭიროა; განცდა იმისა, რომ ოჯახს კისერზე არ ანევს; განცდა იმისა, რომ შეიძლება იქით დაეხმაროს ოჯახს; განცდა იმისა, რომ იქ ნასწავლი პროფესიით, როცა გარეთ გამოვა, რაღაც საქმეში ჩაერთვება.

– რაც შეეხება არასრულწლოვნებს, კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები იქაც არიან და მათ შემთხვევაში როგორ იქნება?

– არასრულწლოვნებში მართვა გადვილებულია, რადგან თუ ადრე დაახლოებით 220 არასრულწლოვანი იხდიდა სასჯელს, დღეს მათი რიცხვი 50-ის ფარგლებში მერყეობს. არასრულწლოვანთა უმრავლესობა მხოლოდ რამდენიმე თვეს ატარებს დაწესებულებაში. სასამართლოებიც აღარ უსჯიან 15 ლარის ღირებულების კაკლის მოპარვაზე 4-წლიან სასჯელს, ასეთი რაღაცები აღარ ხდება... შესაბამისად, ისინი ძალიან მალე გადიან გარეთ და უფრო ძნელად ექცევიან კრიმინალური სუბკულტურის გავლენის ქვეშ, რადგან ხედავენ, რომ ამით თავის მდგომარეობას მხოლოდ გაიუარესებენ.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ ადრე იქ იყო ერთი შენობა, სადაც განთავსებული იყო სკოლაც, სასადილოც, სახელოსნოც და საცხოვრებელიც. დღეს ამ ტერიტორიას დავუმატეთ კიდევ 1/3. თუ მანამდე იყო დაახლოებით 1 ჰა, ახლა კიდევ 3500 კვ.მ დაემატა. სკოლის შენობაც ცალკე დგას და შესაბამისად, სივრცე მეტია, სადაც ბავშვებს შეუძლიათ ერთმანეთისგან განცალკევებული იყვნენ, თანაც ადმინისტრაციის მხრიდან 50 ბავშვის კონტროლი ბევრად ადვილია, ვიდრე 220 ბავშვის. მომავალი წლის ერთ-ერთ გეგმად გვაქვს, რომ განსასჯელი არასრულწლოვნებისთვის, რომლებიც ამჟამად გლდანში, მერვე დაწესებულებაში, სრულწლოვანებთან არიან განთავსებული, გავაკეთოთ ცალკე დაწესებულება, რომ ისინი უფროსებისგან გამოვყოთ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა მომავალი წლისთვის.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ვის წარადგენს „ნაციონალური მოძრაობა“ თბილისის მერის არჩევნებზე?

გუნდში გიგი უგულავასა და გიორგი გელაშვილის მსჯელობენ ვაშაძის კანდიდატურებზე

EXCLUSIVE

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ვახტანგ ბალავაძე: „პარტია შედგება კონკრეტული ადამიანებისგან და ცხადია, არსებობს სხვადასხვა შეხედულებები“

სანამ საზოგადოების რადიკალური ნაწილი ყოფილი პრეზიდენტის დაპატიმრებას ითხოვს, „ნაციონალური მოძრაობა“ გუნდის შიგნით უკვე თვითმმართველობის არჩევნებზე იწყებს მსჯელობას. ცნობილია, რომ მიხეილ სააკაშვილი ამ არჩევნებზე არ იქნება პოლიტიკურად აქტიური ფიგურა და ის, სავარაუდოდ, შიდაპარტიული რეფორმებით დაკავდება. რეფორმები და ცვლილებები კი, როგორც ჩანს, მთავარ ოპოზიციურ პარტიაში საკმაოდ უხვად იქნება. კულუარებში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ პარტიის შიგნით აღმასრულებელი მდივნის თანამდებობაზე სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა. რამდენად შეესაბამება ეს ხმები სიმართლეს და არსებობს თუ არა რეალურად დაპირისპირება გუნდის შიგნით? ამის გარკვევა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთან, ნაძალადევის რაიონის გამგებელ ვახტანგ ბალავაძესთან ვცადეთ:

– პარტიის გენერალური მდივანი არის და დარჩება ვანო მერაბიშვილი, რაც შეეხება აღმასრულებელ მდივანს, კანდიდატთან დაკავშირებით ამ შემთხვევაშიც არ არის განსხვავებული აზრი, მაგრამ პარტიის შიგნით გარკვეულ საკითხებზე არის განსხვავებული აზრი და ეს კარგია. პარტია შედგება კონკრეტული ადამიანებისგან და ცხადია, არსებობს სხვადასხვა შეხედულებები. როგორც იცით, ჩვენი პარტიის ახალი წესდებით პოლიტსაბჭო არის მთავარი ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს. ბუნებრივია, ეს არის ადგილი, სადაც არის დისკუსიაც, განსხვავებული აზრიც და ა.შ. ამის მიუხედავად, პარტია თავის გადაწყვეტილებებში არის ერთიანი, ხოლო გუნდის შიგნით ყველგან არსებობდა და იარსებებს გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები.

– მაგალითად, ამბობენ, რომ გუნდის შიგნით საკმაოდ სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა იყო იმასთან დაკავშირებით, დასწრებოდა თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ პრეზიდენტის ინაუგურაციას...

– ჩვენს გუნდში მსჯელობის საგანი ხდება ყველაფერი და ცხადია, ვიმსჯელეთ ამაზეც და გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება. თავისთავად მნიშვნელოვანი საკითხია, მიიღებს თუ არა მთავარი ოპოზიციური ძალა პრეზიდენტის ინაუგურაციაში მონაწილეობას. ამიტომ, რა თქმა უნდა, იყო დისკუსია. ინსტიტუციონალურად ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა საპარლამენტო ოპოზიციის დასწრება ამ ღონისძიებაზე, ამით ერთგვარად საფუძველი ჩაეყრებოდა განგრძობითობას, მემკვიდრეობითობას და ტრადიციას ამ მიმართულებით. ამისთვის მიხეილ სააკაშვილიც მზად იყო, მაგრამ მნიშვნელოვანია, რა ფონი იქმნება მეორე მხარის მიმართ. მაგალითად, ძალიან კარგი იქნებოდა, მისულიყო გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტის სასახლეში, რომელსაც ხელისუფლება რატომღაც სააკაშვილის სასახლეს უწოდებს, რა თქმა უნდა, დახვდებოდა მიხეილ სააკაშვილი და ისევე როგორც სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში, გადაულოცავდა სამუშაოს. ჩვენი მხრიდან იყო მზაობა და არჩევნების დღესვე გამოვიდა „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი და მიულოცა გამარჯვება თავის კონკურენტს. რაც შეეხება ინაუგურაციას, მოდით, გავყოთ ორ ნაწილად – ერთი არის ფიცის დადება, მეორე კი – ზეიმი. შენი ოპონენტის ზეიმში რომ არ მიიღო მონაწილეობა, მგონი, ამაში გაუგებარი არაფერია. რაც შეეხება დანარჩენს, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფორმას. კერძოდ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ახალი პრეზიდენტი უნდა მისულიყო პრეზიდენტის სასახლეში, მას უნდა დახვედროდა ყოფილი პრეზიდენტი, ესაუბრათ 10-15 წუთი, გადაებარებინა თანამდებობა და ეს იქნებოდა ძალიან ცივილიზებული ფორმა. გარდა ამისა, როდესაც მემკვიდრეობითობაზე ვსაუბრობთ, ეს ვერ იქნება ცალმხრივი. თუ ერთი მხარე არ მოდის ამაზე, ცხადია, საუბარი ზედმეტია. ჩვენი მილოცვის შემდეგ რა პასუხი მივიღეთ, თქვენმა მკითხველმაც და ზოგადად საზოგადოებამაც კარგად იცის. დღეს ჩვენ გვადანაშაულებენ იმაში, რომ თითქოს ვახდენდით სიმბოლიკის გამოყენებას, „ნაციონალური მოძრაობის“ ფერებში აღრევას და ა.შ. ის, რაც ინაუგურაციაზე ვნახეთ, სწორედ ეს გახლდათ სიმბოლიკის გამოყენება. ამის ნათელი მაგალითია გერბის ლურჯ ფერებში გამოსახვა. საბოლოოდ მივიჩნიეთ, რომ ამ ღონისძიებაში ჩვენი მონაწილეობა არ იყო გამართლებული, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი დაპატიმრებულია, ათასობით ადამიანს დაატარებენ პროკურატურაში...

– რაც შეეხება დაპატიმრებებს, ბოლო პერიოდში საზოგადოებაში კიდევ უფრო აქტიურად ისმის კითხვა – დააკავებენ თუ არა მიხეილ სააკაშვილს? იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება მიიღო, როგორი იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ რეაქცია?

– ჩვენ ვთვლით, რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანა ყალიბდებოდა, როგორც სახელმწიფო, და ამას მნიშვნელოვანი ფუნდამენტი სწორედ მიხეილ სააკაშვილმა ჩაუყარა. ახლა კარგად უნდა გავაცნობიეროთ, როგორ სახელმწიფოში გვინდა ცხოვრება – სადაც კანონია უზენაესი, თუ კონკრეტული ადამიანების ნება. დაპატიმრება-არდაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. ერთია, პროკურატურას რას სურს და მეორე – რამდენად წაადგება ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანას. უკვე არსებობს საკმაოდ ცუდი სიგნალები, იგივე ვანო მერაბიშვილის, ან ბაჩო ახალაიას ციხეში გამოკეტვის სახით. ეს საქმეებიც ადასტურებს, რამდენად უსუსურია ბრალდების მხარის პოზიციები, მოწმეებისთვის ხელზე „შპარგალკების“ დაწერით და სხვა მსგავსი ქმედებებით სამართალი ვერ აღსრულდება. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის შესაძლო დაკავებას და იმას, თუ რას იზამს „ნაციონალური მოძრაობა“, თავისთავად არსებობს რაღაც ხაზი, რის იქითაც, მგონი, არავინ არ უნდა გადავიდეს.

– არის საუბარი იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების შემთხვევაში შესაძლოა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უარი თქვას საპარლამენტო მუშაობაში მონაწილეობაზეც...

– ზოგადად, პროტესტის ძალიან ბევრი ფორმა არსებობს, რომელსაც კონსტიტუცია ანიჭებს საზოგადოებას და მით უმეტეს, პოლიტიკურ ორგანიზაციას. ჯერ პარტიის გენერალურ მდივანსა და ყოფილ პრემიერ-მინისტრს რომ დააკავებ, შემდეგ პარტიის თავმჯდომარესა და ყოფილ პრეზიდენტს, მე უკვე აღარ ვიცი, რა შეიძლება იყოს იმის იქით. ალბათ, შემდეგ დახურავენ „რუსთავი 2“-ს, მიადგებიან სხვა მედიასაშუალებებს. ანუ ეს იქნება პირდაპირი ნიშანი, რომ ჩვენ ვაშენებთ არა დემოკრატიულ, არამედ ტოტალიტარულ სახელმწიფოს, სადაც აპატიმრებენ, ყოფილ პრემიერს, პრეზიდენტსა და სხვა მაღალი რანგის პოლიტიკურ პირებს. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საზოგადოება საკმაოდ ბრძენია იმისთვის, რომ ვერავინ შეძლოს საქართველოში ტოტალიტალური სახელმწიფოს აშენება.

– მმართველ გუნდში მიიჩნევენ, რომ სასამართლო ჯერ კიდევ „ნაციონალების“ გავლენის ქვეშაა...

– სასამართლოში შეიძლება ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგრამ დღეს რომ ეს ინსტიტუტი ბევრად უფრო მდგრადი და დამოუკიდებელია, ამას არავინ უარყოფს. მაგალითად, ისეთ აბსურდულ ბრალდებაზე, როგორიც ვანო მერაბიშვილს აქვს წაყენებული, სასამართლომ დიდი ალბათობით გამამართლებელი განაჩენი უნდა გამოიტანოს. თუ ამას „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენას ეძახიან, არ ვიცი, მაგრამ არც ერთი ჭკუათმყოფელი იურისტი ადამიანების დასაქმებისთვის პრემიერ-მინისტრს სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მისცემს.

– რამდენად შესაძლებელია, რომ მიხეილ სააკაშვილი ვიხილოთ თბილისის მერობის კანდიდატად?

– რამდენადაც ვიცი, პირადად მასთან საუბრიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მიხეილ სააკაშვილი არ აპირებს აქტიურობას, მით უმეტეს, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას.

– რაც შეეხება გიგი უგულავას?

– გიგი უგულავაც განიხილება და სხვა კანდიდატურებიც. გუნდის შიგნით ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანია, ვისაც შეუძლია, ამ საქმეს გაუძღვეს.

– მაგალითად?

– მოქმედი მერი გიგი უგულავა უკვე გითხარით, გარდა ამისა, იგივე გიორგი ვაშაძე არის პიროვნება, ვინც შეიძლება იყოს განხილული თბილისის მერის კანდიდატურაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას გუნდი მიიღებს. შეიძლება აქაც პრაიმერისის გზით წავიდეთ, შეიძლება სხვა ფორმა შევარჩიოთ. ერთადერთი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ვერავინ მიიღებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვის და რატომ სჭირდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატის დაპატიმრება

მარიამ ნადირაძე

„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერის, სერგო ჯავახიძის სახელმა პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენამდე ორჯერ გაიჟღერა, თან საკმაოდ ხმაურიანად. პირველად ეს მაშინ მოხდა, როდესაც კობა ბექაურის საქმიანობით და კავშირებით საბაჟო ტერმინალ „ოპიზასთან“ პარლამენტის საგამოძიებო კომისია დაინტერესდა. ის 2006 წელს ქრთამის აღების ბრალდებით დააპატიმრეს და ციხეში დაახლოებით წელიწად-ნახევრის განმავლობაში მოუხდა ყოფნა.

სერგო ჯავახიძე 2004 წელს, ზურაბ ნოღაიდელის ფინანსთა მინისტრობის დროს, ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამმართველოს უფროსი იყო, შემდეგ ისან-სამგორის საგადასახადო სამსახურის უფროსი. „ვარდების რევოლუციამდე“ კი ამ საგადასახადო სამსახურში ინსპექტორის თანამდებობა ეკავა.

ამ ყველაფერს მკითხველს იმიტომ ვუამბობთ, რომ ჩვენს მიერ ქვემოთ შემოთავაზებული დოკუმენტი მისთვის უფრო გასაგები გახდეს. ამ დოკუმენტს კი აღიარებითი ჩვენება ჰქვია, რომელიც ერთმა ბიზნესმენმა საქართველოდან წასვლამდე დავით კეზერაშვილს დაუტოვა. ჩვენება ხელმოწერილია 2006 წლის 28 მაისს. ვაჟა ჟორჟოლიანი სერგო ჯავახიძის საქმეში ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო. იმისათვის, რომ გავიგოთ რა გადახდა მეწარმეს, რომელიც ფინანსური პოლიციის მაშინდელი მესვეურების ყურადღების ცენტრში იმიტომ მოექცა, რომ რამდენიმე ფირმის ზურგს ეფარებოდა, ამ ფირმებს კი სხვა პირების სახელით ხსნიდა, გთავაზობთ ამონარიდებს მისი ჩვენებიდან:

„2006 წლის 20 მაისს გამოძახებისთანავე მივედი ფინანსური პოლიციის მეცხრე სართულზე გამომძიებელ ზურა ციხიშვილთან. ჩვენი შეხვედრის პირველსავე გასაუბრებიდან ჩემთვის ნათელი შეიქნა, რომ აქედან არავინ გამიშვებდა. ჩემი ფიქრები და ეჭვიც დამიდასტურა გამომძიებელმა ზურა ციხიშვილმა და დაამატა, რომ მხოლოდ მე შემეძლო გადაწყვეტილება მიმეღო მის კითხვებზე:

ზურა ციხიშვილი: - თუ გინდა დღეს წახვიდე აქედან, აგერ ფურცელი, აგერ საწერი კალამი და მოგვეცი საგადასახადოს თანამშრომლები, ვისთან გქონდა კავშირები, რატომ ხსნიდი ყველა ფირმას დიდუბე-ჩუღურეთში და რომ არაყთან არავითარი კავშირი გქონდა და ა.შ.

პასუხი, მე: - 2004 წლის ბოლოდან და 2005 წელში მიტომ ვხსნიდი ფირმებს, რომ არაყზე გაიზარდა მოთხოვნილება და არ მინდოდა საგადასახადო ორგანოები დაინტერესებულიყვნენ, თან ტენდერებისთვის, რადგან ნასამართლეობის ცნობას ვერ ვიღებდი ჩემს სახელზე...

ზურა ციხიშვილი: - თუ არ დამიწერ საგადასახადოზე, არაფერი და ვერავინ გიშველის. ყველას მოგიჯენ გვერდით და იფიქრე ფეხმძიმე ქალზე (ჟორჟოლიანს მეუღლე მესამე ბავშვზე ჰყავდა ფეხმძიმედ - მ.ნ.)...

პასუხი, მე: - ვის და როგორ დავადო ხელი, როცა არავის ვუხდიდი...

ზურა ციხიშვილი: - ... თუ ჩვენებას არ მომცემ, ვინც არ უნდა ჩაერიოს, პირადად მივხედავ იმას, რომ მაქსიმუმი მოგცენ და იმ ფეხმძიმე ქალსაც პირველს მოგიჯენ გვერდით (ერთ-ერთი ფირმა ჟორჟოლიანის მეუღლეზე იყო გაფორმებული - მ.ნ.). მერე ვნახოთ, როგორ ალაპარაკდები...“

ამ საუბრის შემდეგ ჟორჟოლიანი იზოლატორში გადაიყვანეს...

ახლა კი, რა მოხდა 2006 წლის 23 მაისს, საპყრობილეში გამომძიებლის ვიზიტის დროს:

გიორგი ციხიშვილი: - ვაჟა, მე ახლა შემოგთავაზებ ყველაზე კარგ ვარიანტს. თქმით, ყველა ვარიანტში მოგიწევს თქმა და თუ გინდა გადაარჩინო ყველა, მათ შორის საგადასახადოს თანამშრომლებიც, მოდი, მიეცი ჩვენება სერგო ჯავახიძეზე. ჩვენ ყველაფერი ვიცით და გამაგრებული რომ იყოს, ვითომ თედოსგან გქონდა კავშირი, მის ძმასთან. თედო, ვიცით, შენი ახლობელია, სერგო მაინც ზის, ორჯერ ერთიდაიგივეზე არ უსჯიან. ვითომ გიწევდა ლობირებას „ჩერეზ“ თედოთი. შენ არაფერს კარგავ. მე კი ამისთვის დამაწინაურებენ კიდეც...

პასუხი, მე: - პირველი ის, რომ სერგოს საერთოდ არ ვიცნობ და არც მქონია რამე საქმე, მეორე კიდე, თედო არის ერთი უპატიოსნესი კაცი... რაც შეეხება ლობირებას, როგორ უნდა გაეწია-მეთქი?

ზურა ციხიშვილი: - თუ როგორ შეეძლო ლობირება, მაგი ჩვენი საქმეა, როგორ დავწერთ, ხოლო თედო გვჭირდება გასამაგრებლად, თუ არადა, ჩემი ასე და ისე... დაიგინა, თუ შენ ცოცხალი ნახო ბავშვი და ყველა არ ნახო ციხეში შენს გვერდით მომჯდარი...

ამის სემდეგ გავიდა დასარეკად, არ ვიცი ვისთან, რათა შეეთანხმებინა, რომ თედოზე არაფერი დაიწერებოდა. უკან დაბრუნებულმა მომმართა - კარგი, თედო არ გვინდა, რაც შეეხება სერგოს ლობირებას, უნდა დავწეროთ. მისი საქმე მაინც წასულია, მისი გამოსვლის 1% შანსიც არ არსებობს, ვინც არ უნდა ჩაერიოს საქმეში. შენ კიდე და პლუს შენი ფეხმძიმე ქალბატონი უშუალოდ ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იქნებით, სანამ მე არ დამაწინაურებენ.

ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ ამათ არ აინტერესებდათ არაფერი, გარდა სერგოსი და მეც მომეცემოდა შანსი ბრმად გამომეყენებინა მათი სიბრაზე და განცხრომა... ეს იყო შანსი დროებით გარეთ გამოსვლისა...“

მორიგი შეხვედრა მომდევნო დღეს შედგა, უკვე პროკურორთან, ვინაიდან წინა დღის ჩვენება დაიწუნეს. ვაჟა ჟორჟოლიანის თქმით ის და ციხიშვილი ცოტა ხნით მარტო დარჩნენ. ციხიშვილმა მას რაღაც ქაღალდი აჩვენა და უთხრა, რომ მისი მეუღლის დაპატიმრების ორდერი იყო. ციხიშვილის თანმხლები პირები მათთან ჯერ არ იყვნენ შესულები: „ჩემზე დიდი მტერი და გამამწარებელი შენ არ გყავს. ისინი რომ შემოვლენ, მე დავწერ და შენ ხელს მოაწერ მარტო. თან გახვალ გარეთ სვაბოდაზე, მაგრამ მერეც რომ შეცვალო, ჩათვალე ჭირი გაორმაგებულია. პლუს თუ ყველაფერი კარგად იქნება, ჯანმრთელობითაც გამოგაკეთებ... ერთ მომენტში საჭირო გახდა მისამართების და ტელეფონების მითითება, რომლებიც მე, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი და არც განაგონი მქონდა... მერე როგორ ჩაწერეს არ ვიცი. ჩქარობდნენ, რათა მალე დაემთავრებინათ და მიეტანათ ადგილზე. მეც შემპირდნენ მეორე დღეს გამოშვებას და 25 მაისს, 2006 წელს საღამოს ვიქენი გამოშვებული (სტილი დაცულია - მ.ნ.)... არ ვიცი, ვის და რის უბედურების ხარჯზე, რათა გაემწარებინათ პიროვნება, რომელთანაც შეხება მე საერთოდ არ მქონია, კერძოდ, სერგო ჯავახიძე. ისიც კი არ ვიცი, როდის სად მუშაობდა...“

ცხადია გაჩნდებოდა კითხვა ვინ და რას ერჩოდა სერგო ჯავახიძეს. ამის შესახებ ის წინასაარჩევნოდ, პრეზიდენტობის კანდიდატად ყოფნის პერიოდში აცხადებდა: „2006 წელს მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნები მათთვის ჩვეული მეთოდებით გამისწორდნენ. მართალია, საბაჟო ტერმინალ „ოპიზის“ დირექტორი ვიყავი, მაგრამ ბრალი ქრთამის აღების, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების გადამეტებისთვის წამიყენეს. არადა, ამ მუხლით მხოლოდ საჯარო პირებს... როგორც „ოპიზის“ დირექტორი საკმაოდ სერიოზულ ინფორმაციას ვფლობდი, რაც მაშინდელი ხელისუფლების ნაწილმა სახიფათოდ ჩათვალა.

... ჩემი დაკავების შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა - უმოკლეს ვადებში მეორე საბაჟო ტერმინალი გაიხსნა, რომლის უკან ფინანსური პოლიციის მაშინდელი უფროსი ვინმე ქარსელაძე და დავით კეზერაშვილი იდგნენ. სამწუხაროდ, კონკრეტულად ვერ ვამბობ, ვინ შეუკვეთა ჩემი დაკავება - კეზერაშვილმა თუ ვინმე სხვამ, მაგრამ ფაქტია, მაშინდელი მაღალჩინოსნების ინტერესებთან გადავიკვეთე და თავიდან მომიშორეს. დაკავებამდე „ოპიზის“ გადაფორმებასაც მთხოვდნენ, მაგრამ ბოლომდე ჩემს აზრზე დავრჩი და ვიდრე ციხეში ვიყავი, ჩემი წილი არავისთვის მიმიცია; მოგვიანებით, „ოპიზის“ სააქციო პაკეტი კოდუებმა და ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებულმა პირებმა იყიდეს“.

ახლა კი სურათი, ბუნებრივია, უფრო ცხადი გახდებოდა მკითხველისთვის.

სერგო ჯავახიძეს სამართლიანობის აღდგენისთვის პროკურატურისთვის არ მიუმართავს, ვინაიდან მიიჩნევს, რომ ასეთი რამ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია.

საქმის მთავარი მოწმის სკანდალური აღიარება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მსგავს გამოფენებში მონაწილეობის მიღება ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო მასშტაბით“

თორნიკე ყაჯრიშვილი

„HKTDC Hong Kong International Wine & Spirits Fair 2013“

„არ გაუვლია ქართულ მიწაზე უცხოელ მოგზაურს, რომ ქართული ღვინის სიკეთით განცვიფრებულს ქებითა და დიდებით არ მოეხსენებინოს იგი! ჩვენი ვაზი უძველესია მსოფლიოში! ალბათ, ჩვენიდან არის ვაზი საერთოდ წასული და „ღვინო“ ქართული სიტყვა უნდა იყოს გადასული სხვა ენებში. ქართველი ხალხის რწმენით, ღმერთმა ჯერ ვაზი გაჩინა უწინარეს ყოვლისა...

ჩვენი ვაზის ნაყოფიერებით ჯერ კიდევ ლეგენდარული არგონავტები გაჰკვირდნენ. სულ ახლა, გასულ საუკუნეში უნახავთ ჩვენში ძველი ვაზები, რომელსაც ორი კაცი ძლივს შემოაწვდენდა მკლავს. მე თვითონ მინახავს ერთი ვაზიდან გათლილი ვეება კარი!

ქართველი კაცი და ქართული ვაზი ერთმანეთის მოჭირნახულენი არიან. ქართულმა ვაზმა ქართველ კაცთან ერთად ზიდა ისტორიის სიმძიმე“. - ასე იწყებს გიორგი ლეონიძე 1962 წლის 13 სექტემბრის გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ სტატიას, სათაურით - „ქართული ვაზი, ქართული ღვინო“. მაშინ საქართველო „ვაზისა და ღვინის საერთაშორისო კონგრესს მასპინძლობდა...

მას შემდეგ ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების პოპულარიზაციის თვალსაზრისით, არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტსა და ვალდებულებას, სწორედ ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლება-პოპულარიზაცია და საექსპორტო ბაზრის მოძიება-გაფართოება წარმოადგენს. ასეთი მიდგომა კი ქართული ღვინის ექსპორტის სტაბილურობის გარანტიაა. 7-9 ნოემბერს, ჰონგ კონგში, ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენა-„HKTDC Hong Kong International Wine & Spirits Fair 2013“- ში, „ღვინის ეროვნული სააგენტოსა“ და ღვინის ასოციაციის ორგანიზებით, ქართულმა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელმა კომპანიებმაც მიიღეს მონაწილეობა.

„ბაგატიონი 1882“, „ბესინი“, „შატო მუხრანი“, „GWS“, „სარაჯიშვილი“, „შუხმან ვაინსი“, „თბილღვინო“ და „ხარება“- ეს სწორედ ის ქართული ბრენდებია, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ალკოჰოლურ სასმელებთან ერთად, ჰონგ კონგის ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდა. ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული კომპანიების მიერ წარმოებული ღვინო, როგორც ევროპული, ასევე ქართული ტრადიციული მეთოდით დაყენებული, შუშხუნა, ჭაჭა და კონიაკი. როგორც „ღვინის ეროვნულ სააგენტოში“ აცხადებენ, მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას და საექსპორტო ბაზრის გაზრდას. სააგენტოს მონაცემებით, ჩინეთის ბაზარზე იზრდება მოთხოვნა ქართულ პრდუქციაზე და ახლანდელი ინფორმაციით 781 108 ბოთლი ღვინო და კონიაკია ექსპორტირებული, აქედან ჰონგ კონგში -103 399 ბოთლი.

სალომე მაჭარაშვილი, „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის სპეციალისტი

- ამ გამოფენაზე შარშანაც ვიყავით. წელს მეორედ ჩავედით და მომავალ წელსაც აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას. კონკრეტული ღვინის გამოფენა ძალიან მნიშვნელოვანია ღვინის და ალკოჰოლური სასმელებ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მსოფლიო ბაზარზე

ის მწარმოებელი კომპანიისთვის, რადგან ამ გამოფენაში მონაწილეობენ ღვინის ყველა მწარმოებელი დიდი ქვეყნები. გამოფენაზე მოდიან ზოგადად ის ადამიანები, ვისაც კონკრეტულად ღვინო და ალკოჰოლური სასმელები აინტერესებთ. ასევე მოდიან ბაიერები, რომლებიც არიან დაინტერესებულები სხვადასხვა ბაზარზე გაიტანონ სხვადასხვა ქვეყნის წარმოებული პროდუქცია, ასევე მოდიან ჟურნალისტები, რომლებიც კონკრეტულად ღვინოზე წერენ სხვადასხვა საერთაშორისო გამოცემებისთვის სტატიებს. მინდა გითხრათ, რომ ამ გამოფენაზე წარმოდგენილმა ქართულმა კომპანიებმა მოახდინეს ბაიერებისა და იმპორტიორების დაინტერესება. შემდეგი წლისთვის დაიწყეს მოლაპარაკებები, რომ ქართული პროდუქცია გავიდეს ჰონგ კონგის ბაზარზე და გაიზარდოს ჩვენი პროდუქციის ექსპორტი. ამ გამოფენის მთავარი დატვირთვა ის არის, რომ დამყარდეს ახალი კონტაქტები, ავითვისოთ ახალი ბაზარი და არსებული განვავითაროთ.

- რამდენად დიდი იყო დაინტერესება?

- მინდა გითხრათ, რომ გამოფენაზე, ჩვენს სტენდთან დიდი ხალხმრავლობა იყო. შესაბამისად, დიდი იყო დაინტერესება იმპორტიორებისა და ბაიერების მხრიდან ჩვენს პროდუქტებზე.

ორი ოქრო, ორი ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო

ქართული ღვინის პრეზენტაცია პოლონეთში

12 ნოემბერს, პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში ჩატარებულ ქართული ღვინის პრეზენტაციას, მეღვინეობის თემაზე მომუშავე პოლონელი ჟურნალისტი და ენოექსპოს კონკურსის თავმჯდომარე მარიუშ კამპჩინსკი უძღვებოდა. პრეზენტაციაზე მოწვეულნი იყვნენ პოლონეთში მოღვაწე ცნობილი ჟურნალისტები, ბლოგერები და იმპორტიორები. სტუმრებს ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ ქართული ღვინის ისტორიას, მისი დაყენების კლასიკურ და ტრადიციულ მეთოდებსა და ექსპორტის მონაცემებს. ღვინის ეროვნული სააგენტოს მოწვევით დეგუსტაციასა და გამოფენის გახსნას პოლონეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი ილია დარჩიაშვილიც ესწრებოდა. პრეზენტაციის მსვლელობისას ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება მოწვეული სტუმრებისათვის მოკლედ მოეყოლათ თავიანთი კომპანიის, საექსპორტო ბაზრებისა და ზოგადად ქართული ღვინის შესახებ.

ელენე კიკნაძე, „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი: -13-დან 14 ნოემბრამდე, ქალაქ კრაკოვში ტარდებოდა გამოფენა „EnoExpo 2013“. ჩვენ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად, რომ გამოფენამდე ერთი დღით ადრე მოგვეწვია მეღვინეობის დარგში მოღვაწე ჟურნალისტები, ბლოგერები, იმპორტიორები და უფრო დეტალურად გაცნობოდნენ ქართული ღვინის კომპანიებს. პრეზენტაციის ფარგლებში ჩატარდა ქართული ღვინის

დეგუსტაცია, სადაც კლასიკური მეთოდით დამზადებულ ღვინოსთან ერთად სტუმრებმა დააგემოვნეს ქვევრის ღვინო, რამაც დიდი მოწონება და ინტერესი დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში. სიმართლე გითხრათ, ჩვენს სტენდთან მოსული უცხოელი სტუმრების ნაწილმა იცოდა ქართული ღვინის შესახებ, მაგრამ მათ იმ დღეს უფრო მეტი ინფორმაცია მიიღეს. გამოფენის გახსნის დღიდან, თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ ჩვენს სტენდთან ამ დარგით დაინტერესებული ჟურნალისტები, მოჰყავდათ თავიანთი კომპეტენტური კოლეგები და აგემოვნებდნენ ქართულ ღვინოს. მინდა გითხრათ, რომ მოლაპარაკების სამი მაგიდა, რომელიც ჩვენს სტენდთან იყო განთავსებული, მუდმივად დაკავებული იყო.

- პრეზენტაციაზე რამდენი სახეობის ღვინით იყო წარმოდგენილი ქართული მხარე?

- წარმოდგენილი იყო, სულ ექვსი კომპანია, ბესინი, ქიმერიონი, ბაგრატიონი, შუხმანი, თელავის ღვინის მარანი და ხარება. ამას დაამატეს ოთხი ქვევრის ღვინო, რომელიც თავიდან არ იყო გათვალისწინებული. სიმაღლით მინდა გითხრათ, რომ ამ გამოფენამდე ერთი თვით ადრე, ჩატარდა სადეგუსტაციო კონკურსი, რომლის შედეგებიც სწორედ 14 ნოემბერს, გამოფენაზე გამოცხადდა, შედეგები ასე გადანაწილდა: შუხმანი - ვინოტერა ქისი 2011-მა და შუხმანი - ვინოტერა საფერავი 2009-მ ოქროს მედლები მოიპოვა. თელავის ღვინის მარანის - ხვანჭკარა 2012-მა და ასევე თელავის ღვინის მარანის - კახეთი 2011-მა ვერცხლის მედლები. თელავის ღვინის მარანი - ნაფარეულმა, თელავის ღვინის მარანის - ცოლიკაური 2012-მა, შუხმანის - წინანდალი 2008-მ და შუხმანის - საფერავი 2011-მა ბრინჯაოს მედლები.

- რა პრინციპით შეარჩიეთ ღვინის ეს კომპანიები პრეზენტაციაზე წარსადგენად?

- როგორც წესი, ყველა კომპანიას „ღვინის ეროვნული სააგენტო“ ატყობინებს ხოლმე და დაინტერესებული კომპანიები გვაწვდიან ნიმუშებს. ჩვენ ამ ნიმუშებს ვაგზავნით ამა თუ იმ დეგუსტაციაზე. ამ შემთხვევაშიც შევატყობინეთ ღვინის კომპანიებს, რომელი კომპანიებიც დაინტერესდნენ და გამოგვეხმაურნენ. გამოფენაზე იმყოფებოდნენ ასევე იმ კომპანიის წარმომადგენლები, რომელთა პროდუქციაც იყო წარმოდგენილი. ქართული კომპანიების წარმომადგენლებს, მიეცათ საშუალება, თავიანთი კომპანიის შესახებ პრეზენტაციები გაეკეთებინათ. გაცვალეს საკონტაქტო ინფორმაციები და დასახეს სამომავლო გეგმები.

- რამდენად დიდი იყო ქართული პროდუქციისადმი ინტერესი?

- როგორც უკვე გითხარით, მოწვეული სტუმრების ნაწილს ჰქონდა ინფორმაცია ქართული ღვინის შესახებ. ვინც არ იცნობდა ქართულ ღვინოს, მათი ძალიან დიდი ინტერესი გამოვიწვიეთ. 14 ნოემბერს ღვინის იმპორტიორმა პაველ ვოჟნიაკმა „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლები და ექვსივე ღვინის კომპანიის წარმომადგენელი საკუთარი ღვინის კლუბის გახსნაზე მიგვიწვია. ღონისძიებაზე კომპანიის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ პოლონელ ჟურნალისტებს, ბლოგერებსა და იმპორტიორებს. ბატონმა პაველმა თავისი ახალი ღვინის ბარში ქართული ღვინისთვის გამოყო ერთი კედელი, სადაც მხოლოდ ნატურალური წესით დამზადებული ღვინო განთავსდება. 15 ნოემბერს, გამოფენის დახურვის დღეს, საქართველოს სტენდს ეწვია მაღაზიათა ქსელ ALMA-ს მრჩეველი ღვინის საკითხებში მიროსლავა მოი, მან გამოფენაზე წარმოდგენილ ექვსივე კომპანიის პროდუქციას ჩაუტარა დეგუსტაცია, რის შემდეგაც მიიწვია ALMA-ს ორი მაღაზიის დასათვალიერებლად. ქსელს აქვს ორი ხაზი, კერძოდ ახალგაზრდული და კლასიკური. ორივე მათგანში შესაძლებელია რამდენიმე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის პროდუქციის ყიდვა. მისი სიტყვებით, ქსელის მფლობელს სურვილი აქვს უფრო მეტი ადგილი დაეთმოს ქართულ ღვინოს, რადგან დიდი პოპულარობით სარგებლობს. დამატებით, მიროსლავამ გვაცნობა, რომ მას და სუპერმარკეტის მფლობელს, სურვილი აქვთ ესტუმრონ საქართველოს და მეტი კომპანიის ღვინოს ადგილზე გაეცნონ. პოლონეთი ჩვენთვის მზარდი საექსპორტო ბაზარია და ძალიან ბევრ ქართულ კომპანიას აინტერესებს ეს ბაზარი. მსგავს გამოფენებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო მასშტაბით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უკრაინული სკანდალი, მოლდავური სენსაცია, ქართული გაფრთხილება და სომხური გადაფიქრება

ქეთი ხატიაშვილი

თავის დროზე, სწორედ იმ საბჭოთა კავშირის დროს, რომლის რეანიმაციასაც ახლა პუტინი ცდილობს, ცეკას გენერალურმა მდივანმა ხრუშჩოვმა პირველივე რაც გააკეთა, უკრაინას ოდესა დაუბრუნა. ხრუშჩოვი უკრაინიდან იყო და ამბობდნენ, ტერიტორიების დაბრუნება მისი მხრიდან იმ პირობებში ნამდვილი გმირობა იყო და სასწაულია, რომ ეს ხურშოვსაც შერჩა და ჩვენცო. თუმცა, მოგვიანებით, როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა და ოდესა იმ აქილევსის ქუსლად იქცა, რითაც რუსეთს დღემდე უჭირავს უკრაინა, ევროპისკენ რომ არ გაექცეს, ხრუშჩოვისადმი დამოკიდებულებებიც შეიცვალა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ოდესის დაბრუნებით უკრაინა რეალურად ხაფანგში უფრო მოექცა, რომ რუსეთმა ეს შეგნებულად გააკეთა იმისთვის ზეწოლის მუდმივი ბერკეტი ჰქონოდა.

ამ ბერკეტს მოსკოვი დღემდე იყენებს.

– უკრაინამ ვერ გაუძლო ეკონომიკურ ზეწოლასა და შანტაჟს. მას დაემუქრნენ რუსეთში იმპორტის აკრძალვით, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთიდან, სადაც გაცილებით მეტი საწარმოა მობილიზებული, ათასობით ადამიანი კი დასაქმებული. მიიჩნევა, რომ უკრაინა მილიარდობით შემოსავალს დაკარგავდა. ეს მიზეზები დაასახელა სწორედ იანუკოვიჩმა პრეზიდენტთან სატელეფონო საუბარში, – აღნიშნა ლიტვის პრეზიდენტის მრჩეველმა რამდენიმე დღის წინ.

ასეთი განცხადება ვილნიუსში მას შემდეგ გაკეთდა, რაც გაირკვა, რომ უკრაინის კაბინეტმა შეაჩერა უკრაინასა და ევროკავშირს შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმება.

არადა, უკრაინა ვილნიუსის სამიტის ფავორიტი ქვეყანა იყო და ყველა ელოდა, რომ ხელშეკრულება მაინც გაფორმდებოდა. როგორც

იტყობინებიან, უკრაინის პრეზიდენტი სამიტზე მაინც გაემგზავრება, ვილნიუსში აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პარაფირება მოხდება მხოლოდ საქართველოსთან და მოლდოვასთან.

ვილნიუსის სამიტის მოახლოებასთან ერთად, უკრაინაში პოლიტიკური ვითარება დაიძაბა. ქუჩაში ხალხი გამოვიდა, უკრაინის პრემიერ-მინისტრმა გადადგომაზე განცხადება გააკეთა. ტიმოშენკომ განაცხადა, რომ მზად არის, იჯდეს ციხეში, ოღონდ უკრაინამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს. იანუკოვიჩს, პოლიტპატიმარ ტიმოშენკოს განთავისუფლებასაც სთხოვდნენ, რადამ ეს პროექტი არ მიიღო და პირველი ეჭვები ხელშეკრულების ჩაგდებასთან დაკავშირებით სწორედ მაშინ გაჩნდა.

რადაში ოპოზიციამ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას სახელმწიფო გადატრიალება უწოდა.

მანამდე, ევროკომისიის პრეზიდენტის ჟოზე მანუელ ბაროზოს განმარტებით, ვილნიუსის სამიტი ისტორიული შეიძლება გამხდარიყო. ის იმედოვნებდა, რომ უკრაინა ხელშეკრულებას – აღმოსავლეთ პარტნიორობა – ხელს მოაწერდა.

ამ პროგრამას ყოფილი საბჭოთა კავშირის ექვსი რესპუბლიკა აწერდა ხელს. უკრაინის გარდა, ბელორუსი, მოლდოვა და ასევე, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. უკრაინა ფავორიტი იყო. საერთოდ, ევროპა თითქოს საკუთარ მისიად მიიჩნევს უკრაინის ევროპაში დაბრუნებას.

ამიტომაც, ევროკავშირისგან უკრაინამ თავის დროზე საკმაოდ სოლიდური ფინანსური დახმარება მიიღო. ოფიციალური ინფორმაციით, 2007 წლიდან 2010 წლის ჩათვლით, კიევმა ნახევარი მილიარდი ევრო მიიღო. ეს ორჯერ მეტია, რაც მოლდოვას მისცეს და სამჯერ მეტი, რაც საქართველოს.

უკრაინამ ასოცირებულ წევრობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების რაუნდი პირველმა დაასრულა და თითქოს ყველაფერი მზად იყო, თუმცა, პოლიტიკურმა მოვლენებმა სერიოზული შეფერხებები გამოიწვია. ტიმოშენკოს დაკავება და სხვა ოპოზიციური ლიდერების დევნის ფაქტების გამო, კიევს ევროკავშირი ღიად აკრიტიკებდა. ამიტომაც, ბრიუსელმა პრინციპული ტონით მოითხოვა შერჩევითი სამართლის შეწყვეტა და ტიმოშენკოს განთავისუფლება.

მოლდოვამ რეფორმების შეუქცევადი კურსი აირჩია იმისთვის, რომ მოასწროს ევროკავშირთან 2014 წლისთვის დაახლოება. ანუ მანამ სანამ ევროკომისიას ჟოზე მანუელ ბაროზო ხელმძღვანელობს.

ბაროზომ, როგორც შეაფასეს, მოლდოვასთან დაკავშირებით სენსაციური განცხადებაც კი გააკეთა. მისი განმარტებით, ევროკომისია მზად არის, ევროკავშირს რეკომენდაცია მისცეს მოლოდვასთან სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მოლდოვას გაუჩნდა შანსი, ევროკავშირისგან უვიზო რეჟიმი მიიღოს.

რაც შეეხება საქართველოს, ბრიუსელმა შერჩევით სამართალთან და დაკავებულ პრემიერ-მინისტრთან დაკავშირებით გაფრთხილება ახალ ხელისუფლებასაც მისცა. როგორც ითქვა, მიხეილ სააკაშვილის დაკავება მთელ პროცესს ჩაშლიდა. ვილნიუსში საქართველოს ახალ პრეზიდენტს ელოდებიან, საქართველო კი ხელშეკრულების პარაფირებისთვის ემზადება.

მესამე ქვეყანა, ვისაც ხელშეკრულების პარაფირება უნდა მოეხდინა, საქართველოსა და მოლდოვას შემდეგ, სომხეთი იყო. ბრიუსელსა და ერევანს შორის მოლაპარაკებები ჯერ კიდევ ზაფხულში გაიმართა და თითქოს შეთანხმებასაც მიაღწიეს. თუმცა, უკვე სექტემბერში სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი მოსკოვში პუტინს ხვდება. კრემლიდან გამოსულმა სომხეთის პრეზიდენტმა ევროკავშირთან დაახლოება გადაიფიქრა, სამაგიეროდ საბაჟო კავშირში შესვლა გადაწყვიტა. ეს ის კავშირია, რომელიც ევრაზიულ გაერთიანებაში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

2007 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ 2010 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ, ᲙᲘᲔᲕᲛᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲔᲕᲠᲝ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲔᲡ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ...

ᲠᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲙᲠᲔᲛᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲨᲚᲔᲚᲐᲓ

უნდა გადაიზარდოს. ამ გზით პუტინს საბჭოთა კავშირის აღდგენა აქვს ჩაფიქრებული ევროკავშირის საპირწონედ.

აზერბაიჯანიც ვილნიუსში არაფრის გაფორმებასა და ხელმოწერას არ აპირებს. თუმცა, არც საბაჟო კავშირს უერთდება. ბრიუსელისა და ბაქოს ინტერესები ელექტრომატარებლებს ეხება და ამ სფეროში ისინი საერთო გეგმებს აწყობენ.

რაც შეეხება ბელორუსის პრეზიდენტს, მას პერსონა ნონ გრატას სტატუსი აქვს და ვილნიუსში ვერ გაემგზავრება. სამიტზე ქვეყანას საგარეო უწყება წარადგენს. ბელორუსიც ის ქვეყანაა, რომელიც, რუსეთთან და ყაზახეთთან ერთად, საბაჟო კავშირს აწყობს, მის პრეზიდენტზე კი ევროპის სანქციები ვრცელდება – მას ევროპაში, უბრალოდ, არ უშვებენ, რასაც ზოგიერთი პოლიტიკოსი არ ემხრობა და მიიჩნევს, რომ ბრიუსელში ამ სანქციის გადახედვა უნდა მოხდეს.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ „ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲡᲘᲠᲝᲑᲘᲡ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲓᲜᲔᲜ

ნინო დათაშვილი

ირაკლი ალასანიას ორიგინალური მეგობრები ჰყავს, თანაც მათ ყოველთვის ორიგინალურად ლობირებს ხოლმე. მაგალითად, თავდაცვის სამინისტროში ამბობენ, ჯარის კვება მეგობარს ჩააბარა და მას შემდეგ დიარეა ისე გახშირდა, ლამის ეს პრობლემა ეროვნულ საფრთხეში ჩაეწეროსო. ხუმრობა იქით იყოს და ალასანიამ რომ პრობლემას ადგილიდან ძვრაც ვერ უყო, საქმეს ხელი პროკურატურამ მოჰკიდა.

ახლა ქუთაისელები ამბობენ, მაგათ ხომ იცით, როგორი იუმორი აქვთ, ირაკლი ალასანია ჩვენებურს დაუმეგობრდაო. თავდაცვის მინისტრის ახალი მეგობარი სკანდალისტი ერეკლე დეისაძეა, „საიდუმლო სირობის“ ავტორი. დეისაძე ალასანიასთან მეგობრობას არ უარყოფს თუმცა, ამბობს, რომ ალასანია მის კარიერას არ ლობირებს. ქუთაისელები სხვა რამეს ყვებიან. ამაზე ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი დეისაძე და მისი „საიდუმლო სირობა“.

არ წამიკითხავს. არც ვაპირებ. ძალიან ბევრი საინტერესო ლიტერატურაა მსოფლიოში, ერეკლე დეისაძის 2013 წლის „ბესტსელერს“ ან თუნდაც მის ძალით გასკანდალებულ „საიდუმლო სირობას“ თუნდაც ერთი წუთი რომ არ დაუთმო. თუმცა ვისთვის როგორც... სწორედ ამიტომ ქართულ ვიკიპედიაში ერეკლე დეისაძე იძებნება. საიტზე მაქსიმალურზე მეტი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი ამ პიროვნების შესახებ. სამაგიეროდ იმავე ქართულ ვიკიპედიაში შეუძლებელია აღმოაჩინო პაატა ზაქარეიშვილი. ბოლოს და ბოლოს, ის რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ოპოზიციონერი და ყველაზე მთავარი – სახელმწიფო მინისტრია. ამავე საიტის მიერ აღიარებული მწერალი თუ ასეთივე „წარმატებით“ გააგრძელებს „მოღვაწეობას“, შესაძლოა, მის გრაფაში საინტერესო დეტალი გაჩნდეს – კულტურის ატაშე.

თავის დროზე „საიდუმლო სირობამ“ ეკლესიაში, საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრშიც კი სერიოზული სკანდალი გამოიწვია. აზრი ორად გაიყო და იყვნენ ადამიანები, ვინც დეისაძეს აღიარებდნენ და იყო მეორე მხარე, ვინც დეისაძეს თეა თუთბერიძეს ადარებდა. ასეა თუ ისე, დეისაძემ პოპულარობა ვერა, მაგრამ ცნობადობა მოიხვეჭა და საინტერესო მეგობრებიც გაიჩინა. გასკანდალებული მწერალი, როგორც ამბობენ, ჯერ ნათია ფანჯიკიძესა და შემდეგ მის მეუღლეს, ირაკლი ალასანიას დაუმეგობრდა. დღეს, როგორც ამბობენ, სწორედ ეს წყვილი ზრუნავს მის კარიერაზე.

პირველი შეთავაზება დეისაძის სახით ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო სამინისტრომ მიიღო. თუმცა „ევროპაში“ მან ადგილი ვერ „გამოძებნა. ამის შემდეგ მწერლის მოწყობაზე თავად თავდაცვის მინისტრმა „იზრუნა“, თანაც თავდაცვის სამინისტროში, თუმცა თავშეკავებულმა ალასანიამ აქაც გაუბედაობა გამოიჩინა და ბოლოს, როგორც ამბობენ, ჯერი მაია ფანჯიკიძეზეც მიდგა. საგარეო საქმეთა სამინისტროში სკანდალებით სავსე კანდიდატით მაინცდამაინც აღფრთოვანებულები არ არიან და ფანჯიკიძეც მაქსიმალურად ცდილობს, აზრი შეაცვლევინოს საკუთარ დასა და სიძეს.

ამასობაში დეისაძე „მდიდრდება“, ოღონდ არა წაკითხული წიგნებით. ის ყველაზე წარმატებით სკანდალებს აგროვებს. ერთ-ერთი ასეთი სკანდალი სრულიად „facebook“-მა იხილა ორიოდე თვის წინ როდესაც ერთმანეთს ორი „გმირი“ – დეისაძე და ბედუკაძე დაუპირისპირდნენ. ერთმა მეორის გმირობა ვერ აიტანა...

ერეკლე დეისაძე: „სანამ აწამებს, მანამდე კურთხევა უნდა აიღო, შენ რომ მორწმუნე ხარ... მე კიდევ არავის არ ვაწამებდი, უბრალოდ მეუხერხულება, შენ რომ უფლებადამცველი ხარ. რა უფრო სასაცილოა, ერეკლე დეისაძე რომ მწერალია თუ ლადო ბედუკაძე უფლებადამცველი გმირი?“

ლადო ბედუკაძე: „ისე, ჩემი ნება რომ იყოს, სიამოვნებით ვაწამებდი ასეთივე მეთოდებით მთელ ნაცხროვის ელიტას, თუნდაც იმიტომ, რომ თქვენნაირ ხალხს ამ ქვეყანაში „მწერლებად“ აღიარებენ“.

ეს მხოლოდ ფრაგმენტია... არც ამაზე ღირს ბევრი დროის დახარჯვა. თუმცა ფაქტია, რომ არ უნდა გავიკვირვოთ, თუ მალე დეისაძე ახალი ხელისუფლების სახედ მოგვევლინება რომელიმე უცხოურ ქვეყანაში, თანაც კულტურის ატაშეს თანამდებობაზე... ქუთაისში ახლა ამ თემას აქტიურად განიხილავენ. ქუთაისელები ამბობენ, რომ „საიდუმლო სირობის“ ს... ავტორს თავად ალასანიას ოჯახი ლობირებსო. ამ თემაზე ინტერესით ეკითხებიან ერთმანეთს.

თუმცა, დეისაძე ყველაფერს უარყოფს და აცხადებს, რომ მისთვის ასეთი სიტუაცია მხოლოდ საოცნებოა...

„პრაიმტაიმი“ ერეკლე დეისაძეს ესაუბრა:

– როგორც ვიცით, ირაკლი ალასანიასთან და მის მეუღლესთან მეგობრობ. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ისინი გლობირებენ, მართლა შეიძლება, სადმე კულტურის ატაშედ დაინიშნო?

– მსგავს თემაზე საუბარიც კი არ ყოფილა მათი მხრიდან, სისულელეა. ისე, კარგი კი იქნებოდა.

– სხვა შემოთავაზებებიც ხომ იყო შენს დასაქმებასთან დაკავშირებით?

– არა, არაფერი მსგავსი...

– როგორც ვიცი, წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გიწევს გაწვევა, აპირებ წასვლას?

– ახლა უნივერსიტეტში სადიპლომო ნაშრომზე ვმუშაობ. ჯერ კიდევ სტუდენტის სტატუსი მაქვს. თუ ვერ ჩავაბარებ მაგისტრატურის გამოცდებს, შემდეგ წავალ, ალბათ.

– სამხედრო სამსახურიდან მოსაწვევი უკვე მოგივიდა?

– არა, ჯერ არ მომსვლია...

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„არის თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ მთავარი ოპოზიციურ ძალა? სამწუხაროდ, არის“

„ფაქტია, რომ რუსეთი იყენებს ყველანაირ ძალას. ევროპისთვის მიუღებელია ის ზეწოლა, რომელსაც რუსეთი ახორციელებს. ბუნებრივია, ჩვენს შემთხვევაშიც აუცილებლად იქნება მსგავსი ზეწოლები“

EXCLUSIVE

„არა მგონია, რომ ირაკლი ალასანიას მუშაობა თავდაცვის სამინისტროში იმსახურებდეს იმას, რომ ვიღაცამ ის გაკიცხოს“

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

სოჭის ოლიმპიადა, „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა, რუსეთის „გონიერება“, ირაკლი ალასანიას წარმატებული მინისტრობა, ქვეყნის საგარეო კურსი – კოალიციაში ბევრი განსხვავებული მოსაზრებაა, რომელზეც შექმნის დღიდან ვერ თანხმდებიან. განსხვავებული მოსაზრებები ერთი წლის შემდეგაც უცვლელად რჩება. თუმცა ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილმა ერთობის შენარჩუნება შეძლო და ახლა იგივე პირობას დებს ახალი პრემიერიც. „თავისუფალი დემოკრატების“ საპარლამენტო ლიდერი, ირაკლი ჩიქოვანი აცხადებს, რომ ეს მხოლოდ ირაკლი ღარიბაშვილზე არ არის დამოკიდებული, მნიშვნელოვანია ამის სურვილი კოალიციის ცალკეულ სუბიექტს ჰქონდეს. როგორც შიგნით აცხადებენ, სურვილი ჯერჯერობით ყველას მხრიდან არსებობს. მით უფრო ახლა, როცა ქვეყანა დასავლეთს კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა და რუსეთიც ადეკვატურად ამოქმედდა. უმრავლესობაში დარწმუნებულები არიან, რომ პუტინი უკრაინის მსგავს თამაშს საქართველოსთან მიმართებაშიც წამოიწყებს, როცა საქმე ხელის მოწერამდე მივა. ამ დროს პოლიტიკური ერთობა კი ნომერ პირველი მნიშვნელობის გახდება...

ირაკლი ჩიქოვანი, „თავისუფალი დემოკრატების“ საპარლამენტო ლიდერი:

– ძალიან გულდასაწყვეტია უკრაინის გადაწყვეტილება, თუმცა მინდა ვთქვა, რომ უკრაინა არის სუვერენული სახელმწიფო და ის გადაწყვეტილებებს თავად იღებს. მე იმედით ვუყურებ იმ შესაძლებლობას, რომ აბსოლუტურად ყველა, ევროპის კავშირის წარმომადგენელი, პოლიტიკოსი და დიპლომატი აცხადებს, რომ უკრაინისთვის კარი ღიაა. დარწმუნებული ვარ, გამოსავალი მოიძებნება. რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულო იქნება, პროცესი უკრაინის ხელმოწერით დასრულდეს. იმედი მაქვს, რომ უკრაინაში კიდევ შეიცვლება რაღაცები. ბუნებრივია, ეს პროცესი საქართველოზე არ აისახება, ჩვენ აუცილებლად მოვახდენთ დოკუმენტის პარაფირებას. ეს არის საქართველოსთვის უსერიოზულესი ეტაპი. ვილნიუსის სამიტი არის დასაწყისი, რომელმაც საფუძველი უნდა დაუდოს ინტენსიურ მუშაობას. ეს მუშაობა აბსოლუტურად ყველა დონეზე უნდა მოხდეს. საჭიროა ბევრი რეფორმა, ბევრი საკანონმდებლო ცვლილება და ბევრი დოკუმენტის მიღება, რომ დავაჩქაროთ ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესი. გვინდა, ეს პროცესი ზაფხულამდე დავასრულოთ.

– უკრაინაში აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება რუსეთის ზეწოლამ განაპირობა. რამდენად მოსალოდნელია, რომ საქართველოს შემთხვევაშიც ასეთივე როლი შეასრულოს რუსეთმა და ზეწოლა მოახდინოს, როდესაც საქმე ხელის მოწერამდე მივა?

– რა თქმა უნდა, უკრაინის შემთხვევაში ეს არ იყო მხოლოდ და მხოლოდ უკრაინის გადაწყვეტილება. უკრაინის ვიცე-პრემიერი გამოვიდა და პირდაპირ თქვა, რომ რუსეთის მხრიდან იყო ძლიერი ეკონომიკური ზეწოლა. მან ასევე მიუთითა იმაზეც, რომ ქვეყანაში ვერ დაინახეს ის შესაძლებლობა, რაც უკრაინულ ბაზარს რეაბილიტაციას მისცემდა, უკრაინული ეკონომიკის ევროკავშირთან დაახლოების პერსპექტივით. ფაქტია, რომ რუსეთი ყველანაირ ძალას იყენებს. ევროპისთვის მიუღებელია ის ზეწოლა, რომელსაც რუსეთი ახორციელებს. ბუნებრივია, ჩვენს შემთხვევაშიც აუცილებლად იქნება მსგავსი ზეწოლები. თუმცა ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში მტკიცე გადაწყვეტილება არსებობს, რომ საქართველო აუცილებლად უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი. წნეხის მიუხედავად, ჩვენ შევძლებთ სწორი გზით სიარულს და გამოვრიცხავ გზიდან გადახვევას... ისინი, ალბათ, კიდევ ჩაკეტავენ რუსულ ბაზას, ეს საფრთხე ნამდვილად არის. ჩვენთან ამ საკითხს ბიზნესსპექტრში განიხილავენ, ამიტომ იქაური ბაზარი არ არის მთავარი განმაპირობებელი ჩვენი ბიზნესმენებისთვის.

– მიგაჩნიათ, რომ საქართველო უფრო მეტს მიიღებდა, რომ არა ყოფილი პრემიერის დაპატიმრება?

– მინდა, „ნაციონალურ მოძრაობას“ მოვუწონო პიარკამპანია, რომელსაც ისინი საზღვარგარეთ აწარმოებენ. თუმცა მინდა ვთქვა, რომ ეს არის უსაფუძვლო, ხშირ შემთხვევაში სიცრუეზე დაყრდნობილი ინფორმაცია, რომელსაც ისინი ჩვენს ევროპელ კოლეგებს აწვდიან და შეცდომაში შეჰყავთ. ჩვენ ჩვენს ევროპელ კოლეგებს ვესაუბრებით, ჩაგვაქვს მასალები და პრაქტიკულად უკვე ნულს უტოლდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვანო მერაბიშვილი პოლიტიკური დევნის მსხვერპლია. აბსოლუტურად ვერც ერთი პოლიტიკოსი, ვერც ჩვენთან და ვერც ევროპაში, ვერ იტყვის, რომ, თუ ადამიანს დანაშაული აქვს ჩადენილი, ის არ უნდა დაისაჯოს.

– თავის მართლება მაინც გიწევთ?

– რა თქმა უნდა. თუმცა გაიმართება სასამართლო პროცესი და იქ მას საშუალება ექნება, საკუთარი არგუმენტები წარმოადგინოს და დადგება ის შედეგი, რა შედეგსაც მივიღებთ. შეიძლება მე ჩემი პირადი პოლიტიკური შეხედულებები მქონდეს ვანო მერაბიშვილზე, იმ საქმეებზე, რასაც ის და მისი გუნდი, მისი სამინისტრო აკეთებდა, მაგრამ ეს ცალკე საკითხია. რაც შეეხება სისხლის სამართლის კონკრეტულ დანაშაულს, ამას სასამართლო გადაწყვეტს. ერთი რამ, რაც მერაბიშვილმა გააკეთა, არის ის, რომ მან მოახდინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზება. რა თქმა უნდა, მე არ ვეხები იმ პოლიციელებს, რომლებიც საკუთარ მუნდირსა და ქვეყანას ემსახურებოდნენ, თუმცა მერაბიშვილმა სამინისტრო გადააქცია ორგანიზებული დევნის მანქანად. ეს იყო პრობლემა, რომელსაც თითოეული ჩვენგანი გრძნობდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ სჯობს, დაველოდოთ სასამართლოს, რომელიც ყველაზე უკეთ გაარჩევს მტყუან-მართალს.

– როგორია „თავისუფალი დემოკრატების“ პოზიცია სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით? როგორ ფიქრობთ, სწორი იქნება ხელისუფლების წარმომადგენლების იქ ჩასვლა?

– სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, რადგან ოლიმპიადა არის მშვიდობის დემონსტრირება. ამავდროულად არ გამოვრიცხავ იქ ცალკეულ ელემენტებს, რომელიც შეიძლება ჩვენთვის გამაღიზიანებელი და შეურაცხმყოფელი იყოს.

– უფრო კონკრეტულად, რა შეიძლება მოხდეს?

– არ ვიცი, პროგნოზირება ძალიან ძნელია. სადღაც ტრიბუნაზე ვიღაცამ შეიძლება ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის დროშა ააფრიალოს...

– ბუნებრივია, რუსეთის მხრიდან?

– არ ვიცი, მე ვამბობ, რომ ამის შესაძლებლობა არსებობს, შეიძლება ეს წაქეზებულიც იყოს მათი მხრიდან. თითს ვერავის დავადებ... მაგრამ ვთვლი, რომ ჩვენ ძალიან ღირსეულად უნდა წარმოვადგინოთ ჩვენი ქვეყანა და ყველას უნდა დავანახოთ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია, ქვეყანა არავის წინაშე მუხლს არ იდრეკს და აგრძელებს ცხოვრებასა და განვითარებას. რაც შეეხება პოლიტიკურ წარმომადგენლობას, ჩემი აზრით, ამაზე ჩვენში, შიგნით, უნდა გაიმართოს ფართო დისკუსია და უნდა ვისაუბროთ, რამდენად მიზანშეწონილი იქნება მაღალი რანგის პოლიტიკური დელეგაციის გამგზავრება. ეს იქნება შიდა დისკუსიის საკითხი და ამაზე აუცილებლად ვილაპარაკებთ. ყველა აქტუალური საკითხი და თემა კოალიციაში პოლიტსაბჭოზე განიხილება. აქედან გამომდინარე, როგორც კი სოჭის ოლიმპიადის საკითხი დღის წესრიგში დადგება, ჩვენ ამას აუცილებლად განვიხილავთ.

– არ ფიქრობთ, რომ უკვე დროა ამაზე ისაუბროთ?

– ამაზე საუბარი ჯერ ადრეა, როგორც კი ოლიმპიადა მოახლოვდება, ჩვენთანაც დადგება საკითხი დღის წესრიგში.

– მიგაჩნიათ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური ძალაა?

– არის თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური ძალა? სამწუხაროდ, არის. იმიტომ რომ სხვა ძალას, რომელიც პოლიტიკურად აქტიური, სამოქალაქო მხარდაჭერის თვალსაზრისით ძლიერი იქნება, ვერ ვხედავთ. ვთვლი, რომ ცოტა ხანს ასე გაგრძელდება. მე მართლა ვუსურვებ ნაციონალებს პარტიულ განვითარებას, თუმცა ეს ეჭვქვეშ დავსვი, რაც გავიგე, რომ საკუთარ ლიდერად კვლავ მიხეილ სააკაშვილი აირჩიეს. ნაციონალები კარგად ხვდებიან, რომ სააკაშვილი მათი ლიდერი კი არა, უკვე პასუხისმგებლობაა. ამიტომაც კარგად ჩანს, როგორ ცდილობენ ახალი ნაციონალები, იმ სიბინძურეებს გაემიჯნონ, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი, ზოგიერთ თანაგუნდელთან ერთად, აკეთებდა. თუმცა ასევე კარგად ჩანს, რომ მიხეილ სააკაშვილი მათ ებღაუჭება და განვითარების საშუალებას არ აძლევს. ეს სამწუხაროა, რადგან, ზოგადად, ქვეყნისთვის კარგი იქნებოდა, როცა ჯანსაღი ძალა ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადავიდოდა და კვლავაც გააგრძელებდა არსებობას. ასეთი პარტია საქართველოს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, ამიტომ დიდი იმედი მაქვს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია, განვითარდება. იმედი მაქვს, რომ ისინი შეძლებენ, აღიარონ საკუთარი შეცდომები, ბოდიში მოუხადონ საზოგადოებას და თუ ამას შეძლებენ, თუ საზოგადოება მათ კოლექტიურ ბოდიშს მიიღებს, მაშინ, ბუნებრივია, განვითარებასაც შეძლებენ.

– ოპოზიციაში ვარაუდობენ, რომ მაქსიმუმ გაზაფხულამდე გაძლებს ირაკლი ალასანია კოალიციაში... მაგალითად, თარგამაძე აცხადებს, რომ „ოცნების“ ლიდერებს სწორედ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ აღარ დასჭირდებათ თავისუფალი დემოკრატების ლიდერი...

– მე არ ვიცი, რას უქადის კონკრეტულად გივი თარგამაძე ირაკლი ალასანიას, მაგრამ თვითონ სად იქნება გაზაფხულზე თარგამაძე, იცის? გეტყვით, რომ დღეს კოალიცია არის ისეთი ძლიერი, როგორც არასდროს. ამ ერთმა წელიწადმა, ბევრმა გამოცდამ, ბევრმა დაბრკოლებამ რეალურად ჩამოაყალიბა ძალიან ძლიერი ერთობა, კოალიციის სახით. ასევე ვიტყვი, რომ უახლოეს მომავალში არ ველოდები ცვლილებებს მინისტრთა კაბინეტში. არა მგონია, ირაკლი ალასანიას მუშაობა თავდაცვის სამინისტროში იმსახურებდეს იმას, რომ ვიღაცამ ის გაკიცხოს. მგონი, შედეგები ისედაც ნათელია, კიდევ უფრო კარგი შედეგები დადგება ნოემბრის ბოლოს, დეკემბერში. ის კიდევ უფრო კარგად დაგვანახვებს, რა რეფორმები გატარდა თავდაცვის სამინისტროში. საერთოდ, კოალიციაში არანაირი წინაპირობა არ არსებობს იმისა, რომ რაიმე ფორმით კოალიციის ლიდერები არ მონაწილეობდნენ მთავრობის ფუნქციონირებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გოგლა ჟვანია იმედოვნებს, რომ პროკურორის შეცვლა ექსპრემიერის საქმის გამოძიებაზე არ აისახება

მირიან ბოქოლიშვილი

გოგლა ჟვანია იმედოვნებს, რომ მთავარი პროკურორის შეცვლა მისი ძმის საქმის გამოძიებაზე გავლენას არ იქონიებს. ამის შესახებ დეპუტატმა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, ის ოთარ ფარცხალაძეს ჯერჯერობით არ შეხვედრია, თუმცა სჯერა, რომ ის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებაზე დაწყებულ გამოძიებას ობიექტურად გააგრძელებს და ბოლომდე მიიყვანს.

„ახალ პროკურორთან შეხვედრა არ მქონია, მაგრამ არა მგონია, საკადრო გადაადგილებამ რაიმე ცვლილება გამოიწვიოს ზურას საქმეში. ხელისუფლების ნებაა, ეს საქმე გამოიძიოს და ვიმედოვნებ, პროკურორის შეცვლა რაიმე გავლენას არ მოახდენს ამ მიმართულებით. უახლოეს თვეებში მოსალოდნელია ამ საქმის გახსნა, თუმცა არა მგონია, ეს ახალ წლამდე მოხდეს. ალბათ, 2014 წლის დასაწყისისთვის გადაიწევს“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ გოგლა ჟვანიამ.

რაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც, სავარაუდოდ, დასაკითხ პირთა წრეში მოიაზრებიან, გოგლა ჟვანიას თქმით, ამ ეტაპზე ამ სიის დასახელებისგან ის თავს შეიკავებს. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ ექსპრემიერის ძმა ყოფილი ხელისუფლების რამდენიმე მაღალჩინოსანზე მიანიშნებს, მათ შორის მისი ამჟამინდელი კოლეგისა და ზურაბ ჟვანიას მეგობრის, გია ბარამიძის გვარმაც გაიჟღერა.

„გიორგი ბარამიძე, იმ ავბედით დილას, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის გაფორმებაში მონაწილეობდა“, – ამბობს გოგლა ჟვანია.

გიორგი ბარამიძემ გოგლა ჟვანიას ბრალდებებს „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში უპასუხა. მისი თქმით, ის პროკურატურას თავად სთხოვს, ერთხელ და სამუდამოდ გამოიძიოს, რაიმე თუ დარჩა გამოუძიებელი და „დასრულდეს სპეკულაციები ამ თემაზე“.

გიორგი ბარამიძე, დეპუტატი:

„ზურაბ ჟვანიას ძმა ლაპარაკობს, რომ ჩვენ ვიცით რაღაც ისეთი, რაც არ იცის გამოძიებამ. ვიღაც ხომ უნდა მოვიდეს და მკითხოს, რა ვიცი? ვფიქრობ, ძალიან კარგად იცის პროკურატურამ, რა ინფორმაციას ვფლობ და ისიც იციან, რომ ეს არ არის ისეთი ინფორმაცია, რაც გამოძიებისთვის უცნობია. სწორედ ამიტომაც არ მომხდარა, ალბათ, ჩემი დაკითხვა, მაგრამ მაინც ხომ უნდა ეკითხათ ჩემთვის? მე ჩემს პირველივე ინტერვიუში, როგორც კი ახალი პარლამენტი შეიკრიბა, ვთქვი, რომ მზად ვარ, გამოძიებასთან ვითანამშრომლო. თუ ვინმე მოვა და მკითხავს, ბუნებრივია, ჩემი მოვალეობა იქნება, პასუხები გავცე. პროკურატურამ კარგად იცის, რომ ჩვენ არაფერი ისეთი არ ვიცით, რაც გამოძიებისთვის უცნობია. ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ ის ადგილი ვნახე, რომელიც ნახსენებია. არის ჭორი, რომ შემთხვევა იმ მისამართზე არ მომხდარა და იქ გვამები მიიტანეს. ამასთან დაკავშირებით გამოძიებას ვერანაირ ინფორმაციას ვერ მივაწვდი, რადგან, ელემენტარულად, მე მივედი იქ, სადაც ფაქტია დაფიქსირებული. გამოძიებამ სწორედ ის უნდა გამოიძიოს, ჩადენილ იქნა თუ არა მკვლელობა და მოხდა თუ არა ის ნამდვილად იმ მისამართზე... ამ შეკითხვებს, ბუნებრივია, მე ვერ გავცემ პასუხს. პროფესიონალმა პროკურორმა ძალიან კარგად იცის, ვისთან რა კითხვით უნდა მივიდეს. ვსაუბრობ იმაზე, რომ პოლიტიკური სპეკულაციები არ წყდება. როგორც კი გავრცელდა ჭორი, რომ შეიძლებოდა ჟვანიას საქმე წინა ხელისუფლებასთან ყოფილიყო დაკავშირებული, გამოძიებას აზრი დაეკარგა, ნდობის ფაქტორის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის მხრიდან ჩატარდა გამოძიება და მათი დასკვნა დაიდო. ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ცუდი რამ მოხდა, როცა პირველი ოქტომბრის არჩევნებში დავმარცხდით, მაგრამ არის მეორე მხარეც – ახლა მაინც შეწყდება ბრალდებების ტალღა და ახლა მაინც ჩატარდება ისეთი გამოძიება, რომლის შედეგსაც ხალხი დაუჯერებს“.

ვის დაემუქრა დავით უსუფაშვილი ვადამდელი არჩევნებით

საპარლამენტო უმრავლესობა საკუთარ ძალებში ნაადრევად დარწმუნდა. სწორედ ამიტომ მათ თბილისის პარლამენტის რემონტი რამდენიმე თვის წინ დაიწყეს და პრინციპში, უკვე სრულდება კიდეც. მთელი ეს პერიოდი უმრავლესობა ცდილობდა, საზოგადოებისთვის დაემტკიცებინა, რომ ხარჯი უფრო მეტია, ვიდრე სარგებელი, თუმცა ეს არ გამოუვიდა. უმრავლესობას ზუსტად ორი ხმა დააკლდა გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც ამბობენ, უსუფაშვილმა ყველაფერი გააკეთა ნაციონალების ხმების მოსაპოვებლად, შედეგი აქაც ნული აღმოჩნდა და ბოლოს, როგორც ამბობენ, პარლამენტის თავმჯდომარე ვადამდელი არჩევნებით დაემუქრა, საზოგადოება მაინც ითხოვს და ავდგებით და ჩავატარებთო... შანტაჟი უკურეაქციით დასრულდა და თავად უმრავლესობა აღმოჩნდა შეშინებული, როცა ნაციონალების გეგმა გაირკვა: ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში ნაციონალებს პირობა დაუდიათ, რომ სიას სათავეში უკვე ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ჩაუყენებდნენ. იდეამ „ოცნებას“ ხასიათი გაუფუჭა და ასე დასრულდა ვადამდელი არჩევნებით ვაჭრობა.

სხვათა შორის, სააკაშვილის გადეპუტატების იდეა მხოლოდ ვადამდელ არჩევნებს არ უკავშირდება. იყო ვერსიაც, რომ ის პარლამენტში როლანდ ახალაიას ნაცვლად შევიდოდა. მამა ახალაია შვილების დევნის შემდეგ იშვიათად ჩნდება საკანონმდებლო ორგანოში. სწორედ აქედან გამომდინარე, გაჩნდა მოსაზრება, რომ შეიძლებოდა, მას სულაც უარი ეთქვა მანდატზე და ზუგდიდში ხელახალი არჩევნები ჩატარებულიყო, სადაც სწორედ სააკაშვილი იქნებოდა კანდიდატი. თავის დროზე სამეგრელო ირაკლი ალასანიამ წააგო და საპრეზიდენტო არჩევნებზეც ადგილობრივებმა სწორედ ნაციონალებს დაუჭირეს მხარი. შესაბამისად, სააკაშვილის გამარჯვებისა და დეპუტატის საავარძელში აღმოჩენის შანსი კიდევ უფრო დიდი იყო... თუმცა საბოლოოდ არც ეს გზა აღმოჩნდა უმცირესობისთვის მისაღები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამინელი ავიაკატ

არაკვალიფიციური მფრინავები

ნინო დათაშვილი

რამდენიმე დღის წინ ყაზანში მომხდარმა ავიაკატასტროფამ მსოფლიო საზოგადოება შოკში ჩააგდო. სამგზავრო „ბოინგ 737“-ის აფეთქების შედეგად 50 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის თათარსტანის პრეზიდენტის შვილი ირეკ მინიხანოვი. ბოინგის ჩამოვარდნის მიზეზად რამდენიმე ვერსია განიხილებოდა. „აირზენას“ დირექტორი თამაზ გაიაშვილი კატასტროფის გამომწვევ მიზეზად მფრინავების არაკვალიფიციურობას მიიჩნევს. როგორც ჩანს, ავიაბაზარზე კვალიფიციური კადრის პრობლემა გლობალური ხასიათისაა. გამონაკლისი არც საქართველოა. არადა ეს ის სფერაა, სადაც ექსპერიმენტების ჩატარება შეიძლება ადამიანის სიცოცხლის ფასად დაჯდეს.

დღესდღეობით საქართველოში ათობით ავიაკომპანიაა დარეგისტრირებული ქაღალდზე. ბევრი ავანტიურისტი და თაღლითი ცდილობს ავიაკომპანიის ჩამოყალიბებას. არადა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში მსგავსი მომსახურება მხოლოდ ერთ კომპანიას აქვს ჩაბარებული. როგორც ჩანს, ქართულ ავიაბაზარზე ავიაკომპანიის დარეგისტრირება არც ისე რთულია. დარეგისტრირებისა და ფრენების შესრულების სერთიფიკიტებს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო „ცხელ-ცხელი პერაშკებივით“არიგებს. თუმცა ამას თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს. ეს სერტიფიკატები უმეტესად არაპროფესიონალებისა და ავანტიურისტების ხელში ხვდება. გაიაშვილი მიიჩნევს, რომ უნდა გამკაცრდეს კანონი და მოთხოვნები იმ ადამიანების მიმართ, ვინც ავიაბაზარზე შემოსვლას დააპირებენ.

„აირზენას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ამ პრობლემების მოგვარების გზებზე საუბრობს, რომელიც საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს.

– პირველ რიგში, ყაზანში მომხდარ ავიაკატასტროფასთან დაკავშირებით გკითხავთ. თქვენი აზრით, რა იყო ამ კატასტროფის გამომწვევი მიზეზი?

– ჯერჯერობით ზუსტი დასკვნა, რა მოხდა ყაზანში, მაგიდაზე არ დევს, მაგრამ 100%-ით დარწმუნებული ვარ, რომ კატასტროფის გამომწვევი მიზეზი ადამიანური ფაქტორია. ეს ადამიანები არაკვალიფიციური მფრინავების გამო დაიღუპნენ. რატომ ხვდებიან ასეთი დაბალკვალიფიციური ხალხი ასეთ მაღალ სფეროში, ეს მეორე საკითხია. დღესდღეობით, მასშტაბურად თუ განვიხილავთ, ავიაკომპანიების ზრდის ტემპი ყველგან სწრაფია, ვერ ესწრება მფრინავების მომზადება. ბოლო წლებში ავიაკომპანიების ხელმძღვანელებად დილეტანტები მოგვევლინნენ. საბჭოთა კავშირის შემდეგ დაიშალა ერთიანი სისტემა, სადაც მკაცრ კონტროლზე იყო აყვანილი უსაფრთხოების თემა. სამოქალაქო ავიაცია პროფესიონალების ხელიდან დილეტანტების ხელში გადავიდა. ავიაკომპანიების ხელმძღვანელებად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მოგვევლინნენ. მათი მთავარი მიზანია, რომ მიიღონ მეტი შემოსავალი, ისინი ორიენტირებული არიან მხოლოდ მოგებაზე. ცდილობენ, ყველაფერში ეკონომია გააკეთონ, მაგრამ ამ დარგში ეკონომიის გაკეთება შეუძლებელია. ავიაციაში საბჭოთა კავშირის დროს ავიაკომპანიის ხელმძღვანელი პირები პროფესიონალები იყვნენ. აქედან გამომდინარე, უბედური შემთხვევები იშვიათად ხდებოდა. რაც შეეხება ყაზანში მომხდარ კატასტროფას, საინტერესოა, ფრენის რა ეტაპზე მოხდა უბედური შემთხვევა? ეს მოხდა თვითმფრინავის დაჯდომის დროს. გამოვრიცხავ, რომ ტექნიკური გაუმართაობის ბრალი ყოფილიყო. ეს იყო მფრინავების შეცდომა. იქ იმაზეც საუბრობდნენ, რომ თვითმფრინავი მოძველებული იყო. ეს გახლდათ1992 წელს გამოშვებული თვითმფრინავი, მაგრამ იყო გამართული. თქვენ თუ გახსოვთ 3 წლის წინათ „თურქიშ ეარლაინსის“ თვითმფრინავი ამსტერდამის აეროპორტიდან 3 კილომეტრის დაცილებით ჩამოვარდა. ეს თვითმფრინავი 9 თვის გამოშვებული იყო. აქ მთავარია მფრინავის კვალიფიკაცია. წინასწარ შემიძლია გითხრათ, რა ეწერება დასკვნაში, რომელიც ყაზანში მომხდარ კატასტროფას ეხება. ეს მფრინავების არაკვალიფიციურობის ბრალი იყო. კაჩინსკის შემთხვევაშიც იგივე მოხდა. ეს მასშტაბური პრობლემაა ყველგან, მათ შორის საქართველოშიც. ჩვენთან აეროპორტში უსაფრთხოების ძალიან ცუდი ხარისხია, ასევე, აეროდრომის პრობლემაცაა. იქმნება ერთდღიანი ავიაკომპანიები, რომლებიც შექმნისთანავე კოტრდება. მაგალითად, კოდუებმა ამ წლების მანძილზე ცხრა კომპანია დააარსეს და ცხრავე გააკოტრეს. ისინი ორიენტირებული არ იყვნენ უსაფრთხოებაზე.

– ახალი ხელისუფლებისგან თუ არის მცდელობა, რომ პრობლემა, რომელზეც თქვენ საუბრობთ, მოგვარდეს?

– რაც ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, ანუ ნგრევა, ამ ერთი წლის მანძილზე აღარ არის. ახალი ხელისუფლება რაღაც ნაბიჯების გადადგმას იწყებს, მაგრამ მე მკაცრად ვარ წინააღმდეგი, რომ ავიაკომპანიები დილეტანტების ხელში მოხვდეს. სავსებით დაუშვებელია ხალხის სიცოცხლეზე თამაში. ეს ვალდებულება ხელისუფლებამ უნდა აიღოს, რომ ავიაკომპანიებში თამაშები მორჩეს. გამკაცრდეს კონტროლი და მექანიზმები, რომ შემთხვევით ადამიანს, ხალხის სიცოცხლის ფასად, ავიაკომპანიის ჩამოყალიბება არ შეეძლოს. აეროდრომის პრობლემასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გარკვეული მსჯელობები, თუმცა პრობლემა კვლავაც მოუგვარებელია. ალბათ, მომავალში ახალი მთავრობა და კერძოდ, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ამ პრობლემებს გადაწყვეტენ.

– რა არის საჭირო ამ პრობლემების მოსაგვარებლად?

– პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა მოთხოვნებისა და კანონმდებლობის გამკაცრება. ზოგადად, პრობლემები ავიაციაში მასშტაბურია. სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს ვერ გაუთავისებიათ, რომ ეს არ არის იოლი საქმე. ეს არის მაღალი ტექნოლოგიების სფერო, რომელსაც სჭირდება კვალიფიციური კადრები. აქედან გამომდინარე ეს სფერო მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებმა შეიძლება მართონ და არა ბიზნესმენებმა, რომლებიც ავიაციას თვითმფრინავის ილუმინატორიდან იცნობენ. თუ ჩვენ პროფესიონალიზმს დავეყრდნობით, მაშინ ყველანაირ კატასტროფას გამოვრიცხავთ.

– ამ პრობლემების მიუხედავად, თქვენ რჩებით ქართულ ავიაბაზარზე?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ასტროფა ყაზანში

- გლობალური პრობლემა

თამაზ გაიაშვილი:

„წინასწარ შემიძლია გითხრათ, რა ეწერება დასკვნაში, რომელიც ყაზანში მომხდარ კატასტროფას ეხება – ეს კატასტროფა არაკვალიფიციური მფრინავების ბრალი იყო“

– 17 წლიდან დავიწყე ავიაციაში მოღვაწეობა. გავიარე ის დიდი გზა, რასაც ავიაციაში დიდი გამოცდილების მოპოვება ჰქვია. ყველა ჩემს მფრინავს მკაცრად ვაკონტროლებ. ყველამ იცის, რომ ჩვენი მფრინავები სანდონი და მაღალკვალიფიციურნი არიან. ტექნიკურად თვითმფრინავი ყოველთვის გამართულია. ბევრ ქვეყანაში არსებობს შეზღუდვა, რომ თვითმფრინავმა 20 წლის შემდეგ ავიარეისები აღარ უნდა შეასრულოს. მე ვარ მომხრე, რომ ეს შეზღუდვა არსებობდეს. თვითმფრინავების წლების რაოდენობას მნიშვნელობა იმ შემთხვევაში არ აქვს, თუ ის რეგულარულად გადის ყველა იმ შემოწმებას, რაც თვითმფრინავმა უნდა გაიაროს და რაც მისი ტექნიკური მომსახურების პროგრამაშია. ბიზნესმენები, რომლებიც ავიაკომპანიებს ხელმძღვანელობენ, ცდილობენ, ტექნიკური მომსახურება შეღავათიან ფასებში გააკეთონ. ამ დარგს ეკონომია არ უხდება. წინა ხელისუფლება მუდმივად საუბრობდა იმაზეც, რომ ბილეთები იაფი ყოფილიყო. გამორიცხულია ამ სფეროში ბილეთის გაიაფება. ბევრჯერ მივმართე ეკონომიკის სამინისტროს, რომ დაეთვალათ თვითღირებულება და შემდეგ ესაუბრათ ბილეთების გაიაფებაზე. ამიტომ ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხისადმი გონივრული მიდგომაა საჭირო. ქვეყანამ უნდა გააკეთოს ანალიზი და ისე მივუდგეთ ამ სფეროს. ზოგადად, საქართველოში ტრანსპორტის სფერო ცუდ მდგომარეობაშია. ჩვენ ჩვენს მფრინავებზე თავად ვზრუნავთ. ჩვენი კომპანია ყველა ახალმოსულ მფრინავს დიდ ყურადღებას აქცევს, ადგილზე ხდება მათი გადამზადება. მე ყველა მფრინავზე პასუხისმგებელი ვარ. ეს არამარტო ქართველ, უცხოელ მგზავრებსაც უთქვამთ. ბევრი მადლობის წერილი მოგვდის. დღეს რომ ვლაპარაკობთ, რომ შეიქმნას სხვა ავიაკომპანიები, ვსვამ კითხვას, მფრინავებსა და ტექნიკოსებს ვინმე ამზადებს? 3-მილიონიან ქვეყანაში შეიძლება 10 ავიაკომპანია მოქმედებდეს? ამით უსაფრთხოების დაბალი ხარისხი მიიღწევა. ევროპის ქვეყნებში – ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ჩეხეთსა და ყველა ნორმალურ ქვეყანაში თითო სერიოზული გადამზიდავია.

– როგორც ჩანს, არაკვალიფიციური კადრები გლობალური პრობლემაა. რომელი ქვეყნები გამოირჩევა ამ პრობლემით?

– აფრიკის ქვეყნები. ჩვენ თუ კანონმდებლობა არ შევცვალეთ, დღეს ბევრი ავანტიურისტი ცდილობს შექმნას ავიაკომპანია. თუ მოთხოვნები არ გამკაცრდა. მაშინ ავიაციას მომავალი არა აქვს. ყველა მთავრობა. რაც კი დღემდე იყო წარმოდგენილი, ხელს გვიშლიდა განვითარებაში. უნდა აღვნიშნო, რომ ამ ხელისუფლებისგან არ არის წნეხი. ერთადერთი, რაც ახალ მთავრობას აქვს გასაკეთებელი, ეს არის საავიაციო ადმინისტრაციის სერიოზული კადრებით დაკომპლექტება, რომელმაც ზედამხედველობა უნდა გაუწიოს საავიაციო საწარმოებს. ამით ისინი შეძლებენ ჩვენი მოქალაქეების დაცვას. კოდუასა და ხახუტაიშვილის მსგავსი ადამიანები მთავრობამ ავიაციასთან ახლოს არ უნდა მოუშვას. არ შეიძლება ამ დარგთან ექსპერიმენტებით თამაშები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პირველი არხი“ - საბავშვო ევროვიზია უკრაინაში

საბავშვო ევროვიზიამდე სულ რამდენიმე დღე რჩება. წელს საბავშვო ევროვიზიას უკრაინა მასპინძლობს. სწორედ 30 ნოემბერს დიდი ევროპული კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირი ეთერით გადაიცემა. პროექტის წესების თანახმად ქართველი შემსრულებლების გამარჯვება უცხოეთში მცხოვრებ ქართველებსა და მოქალაქეებზე იქნება დამოკიდებული.

წელს საქართველოს ევროვიზიაზე წარადგენს 6 ბავშვისგან შემდგარი ჯგუფი „The smile shop“. ჯგუფი უკვე კიევში იმყოფება და ბოლო მოსამზადებელ ეტაპს გადის. როგორც გვითხრეს, დღის გრაფიკი საკმაოდ დატვირთული აქვთ.

როგორ ემზადებიან ბავშვები ევროპული კონკურსისთვის და რა სიმღერას იმღერებენ ისინი, ასევე, როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი რეპეტიციები, ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ ნათია უზნაძე (საზოგადოებრივი მაუწყებლის საერთაშორისო პროექტების პროდიუსერი) ესაუბრა:



- დღეს ბავშვები, სხვა მონაწილეებთან ერთად, რეპეტიციას გაივლიან, ამავე დღეს ჩაწერენ ჰიმნს, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის მონაწილეებთან ერთად იმღერებენ. დღესვე მიმდინარეობს გადაღებები სპეციალურად გახსნის ცერემონიალისთვის. სადაც ყველა ჯგუფი თავის ქვეყანას წარმოადგენს. ბავშვებს საკმაოდ რთული გრაფიკი აქვთ. სამშაბათს გვაქვს პირველი კოსტიუმირებული რეპეტიცია. სწორედ სამშაბათს გაირკვევა, საქართველო საბავშვო ევროვიზიაზე 30 ნოემბერს მერამდენე ნომრად გამოვა. 30 ნოემბერს 21:00 საათზეა პირდაპირი ეთერი „პირველ არხზე“. ნელს ასეთი სპეციფიკა შეიმუშავეს, რომ ბავშვები თავად ამოიღებენ იმ რიცხვს თუ რომელ ნომრად მოუწევთ სიმღერა. საბავშვო ევროვიზიის მონაწილე ბავშვები ოთხშაბათს ისვენებენ და ექსკურსია აქვთ კიევში. ხუთშაბათს კიდევ ერთი რეპეტიციას გაივლიან, ხოლო პარასკევს აქვთ ორი გენერალური კოსტიუმირებული რეპეტიცია, რომელსაც სპეციალურად ესწრება მაყურებელი. შაბათს აქვთ ერთი რეპეტიცია ჟიურისთვის და როგორც დიდების შემთხვევაში, პატარებთანაც ხმას აძლევს ჟიური. ხოლო უკვე 21:00 საათზე საბავშვო ევროვიზიის პირდაპირი ტრანსლირება დაიწყება.

- ამ ჯგუფზე რას გვეტყვით?

- ჯგუფი „The smile shop“ სპეციალურად საბავშვო ევროვიზიისთვს შეიქმნა. უკვე რამდენიმე წელია „პირველი არხი“ ამ პროექტზე გიგა კუხიანიძის სტუდიასთან ერთად მუშაობს. ეს პროექტიც, რომელსაც წელს წარვადგენთ, საერთო პროექტია.

- რა სიმღერას წარადგენთ?

- რეტრო სტილის სიმღერაა და ამ სიმღერაზე კლიპიც გვაქვს გადაღებული. ეს არის შავ-თეთრი ტიპის კლიპი, რომელიც თერთმეტ ქვეყანაში ტრიალებს. სპეციალურად ამ პროექტისთვის ექვსი ბავშვი იქნა შერჩეული. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაცხადა შიდა შესარჩევი კონკურსი. დაახლოებით 50-მდე ბავშვიდან ეს ექვსი ბავშვი შეირჩა. სიმღერა ბავშვებმა თვითონ შეარჩიეს და სიმღერას ჰქვია „Give me your smile“. დიდი მადლობა ნანა ცინცაძეს ტექსტისთვის. სიმღერა და არანჟირება სწორედ გიგა კუხიანიძეს ეკუთვნის.

- რა დრო დაგჭირდათ ბავშვების მოსამზადებლად?

- სექტემბრიდან დავიწყეთ ყოველდღიური რეპეტიციები. ძალიან რთული გრაფიკი ჰქონდათ ბავშვებს. ქორეოგრაფიას ცვლიდა, ვოკალის გაკვეთილი. ძალიან დიდი დრო მიჰქონდა იმიჯზე ზრუნვას. ძალიან რთულია, როდესაც ექვსი ბავშვი დგას სცენაზე. ექვს ხმაში უნდა გაშალონ სიმღერა. საკმაოდ რთული სიმღერაა და იმედი მაქვს, რომ ბავშვები თავს გაართმევენ. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ საბავშვო ევროვიზიაზე პირველად დაწესდა პირველი სამეულისთვის სპეციალური ჯილდოები. საბავშვო ევროვიზიას ესწრება ასევე დიდების ევროვიზიის წლევანდელი გამარჯვებული. ბავშვებთან ერთად იმღერებს რუსლანა, რომელმაც 2005 წელს დიდების ევროვიზიაზე უკრაინას გამარჯვება მოუტანა.

- რას გვეტყვით ჯგუფ „The smile shop“-ის ბავშვების შესახებ და რა მოლოდინები გაქვთ?

- ბავშვები არიან 11 დან 15 წლამდე. ჯგუფში გვყავს მარიამ სამუშია, ანა კვანტალიანი, საბა ჩაჩუა, ლუკა გოგიბერიძე, თამთა დიასამიძე და მარი შავლაძე. ევროვიზიაზე, როგორც დიდების შემთხვევაში ისე პატარებთან ვერ იწინასწარმეტყველებ რა მოხდება. მთავარია, რომ მხარდაჭერა გვქონდეს. ყველას, ვისაც ახლობელი გყავთ უცხოეთში, გთხოვთ, რომ დაუმესიჯოთ საქართველოს წარმომადგენლებს“. Ⓐ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩვენ მზად ვიყავით, გვეთანამშრომლა ახალ ხელისუფლებასთან, ახალ მთავრობასთან, ახალ პრემიერთან, მაგრამ უარი მივიღეთ“

ხათუნა მგალობლიშვილი

პროგნოზი „ქართულ ოცნებას“ გივი თარგამაძემ დაუდო და პარალელურად პირობაც დაურთო, რომ ნაციონალები არსებობის შენარჩუნებასაც შეძლებენ და მეტსაც გააკეთებენ საქართველოს დასავლეთში ინტეგრაციისთვის.

საპარლამენტო უმცირესობა საკუთარ გეგმებს არც ახალ პროკურორზე გათვლით ადგენს და მით უფრო არც ახალი ხელისუფლების პროგნოზებზე. სამაგიეროდ ფიქრობენ, რომ გუნდის ერთ-ერთი მთავარი მინისტრი, ირაკლი ალასანია გაზაფხულამდე გაძლებს ივანიშვილის გუნდში და ამის შემდეგ კოალიციის დაშლაც დაიწყება.

გივი თარგამაძე, საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი:

– ძნელია იმის პროგნოზირება, რას გააკეთებს ახალი ხელისუფლება და როგორ მოიქცევა. ჩვენ ამ მოლოდინით არ განვსაზღვრავთ ჩვენს გეგმას. იქნება კითხვები და პასუხებიც გაეცემა.

– ეთანხმებით მოსაზრებას, რომ არჩილ კბილაშვილი ჩაანაცვლეს იმისთვის, რომ ახალმა პროკურორმა გააკეთოს ის, რის გაკეთებაც ვერ შეძლო ყოფილმა?

– ვფიქრობ, აქ უფრო ჩვეულებრივი პროცესია, როდესაც ადამიანი გამოიყენეს და შემდეგ გადააგდეს. იმიტომ რომ თან გააყოლონ ის მრავალი შეცდომა, რომელიც დაშვებული იყო ამ პერიოდში.

– გაუხსნელ საქმეებს გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა, არის ჩიხური საქმეები, რომლებიც ვერ გამოიძიეს, ასევე საქმეები, სადაც პროკურატურამ გამოავლინა არა მარტო სისუსტე, არამედ იდიოტიზმი.

– შეგიძლიათ დააკონკრეტოთ?

– საქმეები, სადაც თამასა იმხელაზე იყო აწეული, რომ ვერც კი ასწვდნენ. ჟვანიას საქმე ვფიქრობ, არის ერთ-ერთი ჩიხური საქმე და არის, ასევე, საქმეები, სადაც სასამართლოში პროკურატურამ საერთოდ ვერანაირი მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა. აქედან გამომდინარე, ვიღაცას უნდა დაჰბრალებოდა. მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამ საქმეების გამოძიების ინიციატორი თავად კბილაშვილი იყო. მას დაავალეს საქმეები, ბუნებრივია, არ გამოუვიდა და შედეგიც მას დაჰბრალდა. თუმცა მინდა ვთქვა, რომ ეს ჩემს თვალში სულაც არ ათეთრებს კბილაშვილს. მიმაჩნია, რომ მთელი მისი ვითომ ფილოსოფიური, სექსუალურად მომწიფებულ ტონალობაში საუბარი არ გამორიცხავს იმას, რომ ის ბინძური მთავარი პროკურორი იყო. რაც შეეხება ახალ კადრებს, ეს ეხება ახალ მთავარ პროკურორს, შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს. მათ პასუხის არავინ მოსთხოვს, როგორც ეს არჩილ კბილაშვილის შემთხვევაში მოხდა. აქ უფრო ოჯახური დამოკიდებულება იქნება.

– თუ არის უკვე გადაწყვეტილი, როგორ გააგრძელებს ან რა როლი ექნება მიხეილ სააკაშვილს პარტიაში, ან დარჩება თუ არა ის საერთოდ გუნდში? უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სააკაშვილის გარეშე პარტიას სერიოზული მომავალი აქვს...

– უმრავლესობის გადასაწყვეტი ეს ნამდვილად არ არის. წესით, ისინი დაკავებულები არ უნდა იყვნენ ჩვენი მომავლის განჭვრეტით, მათ ურჩევნიათ, საკუთარ საქმეებს მიხედონ და ჩამოყალიბდნენ – ისევ ბიძინა ივანიშვილთან ერთად არიან თუ მის გარეშე. როგორ არის ეს გასვლა-გამოსვლის საკითხები სხვადასხვა სექტორებში, ვერ გავერკვიეთ. რაც შეეხება სააკაშვილს, მან განაცხადა, რომ ყოველდღიურ შიდა პოლიტიკაში მონაწილეობას არ მიიღებს, თუმცა, ზოგადად, ქვეყნის იმიჯის ფორმირებაში, ქვეყნის წინ წაყვანაში, საერთაშორისო არენაზე საქართველოს სახელის გაძლიერებაში, რა თქმა უნდა, მიიღებს მონაწილეობას, რადგან არის ფიგურა, რომელსაც შესწევს ამ ყველაფრის გაკეთების ძალა, უნდა თუ არა ეს ახალ ხელისუფლებას. სააკაშვილი ყოველდღიურად იმუშავებს იმაზე, რომ ქვეყნის იმიჯი დასავლეთში კიდევ უფრო წარმატებულად წარმოაჩინოს. ეს არა კონკრეტულად ჩვენი პარტიისთვის, არამედ ქვეყნისთვის იქნება საშური საქმე.

– ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, შეიცვლება რამე ბოკერიას ჩანაცვლებით? ელოდებით, რომ რუსეთი შეიძლება საფრთხის შემცველ ნომერ პირველ ქვეყნად აღარ დასახელდეს?

„ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამ საქმეების გამოძიების ინიციატორი თავად კბილაშვილი იყო. მას დაავალეს საქმეები, ბუნებრივია, არ გამოუვიდა და შედეგიც მას დაჰბრალდა“

– იმდენად იცვლება თავად სტრუქტურა, რომ ძნელია ამაზე საუბარი. ჩვენ დროს პირველი რაც მოხერხდა – იდეალურად დალაგდა კოორდინაცია იმ სტრუქტურებს შორის, რომლებიც ქმნიდნენ ფუნდამენტულ დოკუმენტებს, უსაფრთხოების კონცეფციას, საფრთხეების შეფასების დოკუმენტებს, რომლებიც ყოველწლიურად განახლდებოდა. ჩვენ დროს კოორდინაციას წერდა უშიშროების საბჭო და კოორდინირებულად მონაწილეობდა ყველა დანარჩენ სტრუქტურასთან, ვისაც ეს ეხებოდა. როგორც ვხვდები, ახლა კომპეტენცია უმცირდება უშიშროების საბჭოს. ჯერ არ ვიცი, რა დონეზე მოხდება შემცირება, თუმცა ფაქტია, რომ უფლებები ბევრად შეეკვეცება. ალბათ, ასეთი ტიპის კოორდინაციას ვეღარ შეძლებს სხვა უწყებებთან. აქედან გამომდინარე, ვის გადაეცემა საფრთხეების განსაზღვრის ფუნქცია, საერთოდ თუ გადაეცა ვინმეს, ალბათ, უფრო იმ კონკრეტულ უწყებასა თუ პიროვნებაზე იქნება დამოკიდებული... რეალური სურათის შეფასება, ბუნებრივია, ყოველთვის მოგვცემს სურათს, რომ რუსეთი არის სერიოზული საფრთხე. რამდენად აისახება ეს უკვე დოკუმენტში, უფრო პოლიტიკური ნების საკითხია. აქედან გამომდინარე, ამასაც, ვფიქრობ, მაინც საზოგადოებრივ სექტორში გადასული და გასული ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტს.

– როგორ ფიქრობთ, ამ გუნდში ჯდება ირაკლი ალასანია?

– ალასანიასთვის რამდენიმე გარდამტეხი თარიღი იქნება. ეს შეიძლება იყოს ვილნიუსის სამიტის, ან ადგილობრივი არჩევნების შემდეგი პერიოდი, ისე ყველაზე ზღვრული პერიოდი სწორედ ადგილობრივი არჩევნები იქნება.

– ფიქრობთ, რომ გაუშვებენ?

– ვფიქრობ, „ქართულ ოცნებას“ კოალიციაში ალასანიას ყოფნა არჩევნების შემდეგ აღარაფერში დასჭირდება.

– შეიძლება ალასანია ნაციონალებთან რამე ტიპის კოალიციაში ვიხილოთ?

– ახლა ამაზე საუბარი ვფიქრობ, უბრალოდ, უსაფუძვლო იქნებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ალასანია დღეს არის „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრი. ზოგადად, „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, ჩვენი პოლიტიკა არ არის დაპირისპირების, სიძულვილის ენისა და კონფრონტაციული, აქედან გამომდინარე, ჩვენ მზად ვიყავით, გვეთანამშრომლა ახალ ხელისუფლებასთან, ახალ მთავრობასთან, ახალ პრემიერთან, მაგრამ უარი მივიღეთ.

EXCLUSIVE

გივი თარგამაძე: „ვფიქრობ, „ქართულ ოცნებას“ კოალიციაში ალასანიას ყოფნა არჩევნების შემდეგ აღარაფერში დასჭირდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კომპანია RMG უკანონოდ გაფიცულ თანამშრომლებს

კომპანიის თანამშრომელთა ნაწილი გაფიცვას კატეგორიულად ეწინააღმდეგება...

„თუ გაფიცული თანამშრომლები სამუშაო ადგილებს არ დაუბრუნდებიან, იძულებული ვიქნებით ისინი სხვა ადამიანებით ჩავანაცვლოთ“

ნანა შონია

კომპანია **RMG**-მ გაფიცულ თანამშრომლებს სამსახურში დასაბრუნებლად რამდენიმედღიანი ვადა მისცა და მათ სწორი გადაწყვეტილებისკენ მოუწოდა. ყველაფერი კი **13** ნოემბერს დაიწყო, მაშინ, როდესაც კომპანია **RMG Copper**-ის საბურღი დაზგის ოპერატორების ნაწილმა, პროტესტის ნიშნად, სამსახურში გამოცხადებაზე უარი განაცხადა. გაფიცულებმა იმავე დღეს ადმინისტრაციის მისამართით ოთხი მოთხოვნა გააჟღერეს: ხელფასის **100%**-ით გაზრდა, ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის მომსახურების გაფართოება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება და უკანონო გაფიცვაში მონაწილე თანამშრომლების სამსახურში დაბრუნება. თანამშრომელთა ამგვარმა ქმედებამ მნიშვნელოვანი სანარმოს უბნის პარალიზება გამოიწვია. კომპანიის წარმომადგენლებმა სწრაფად დაიწყეს მათთან მოლაპარაკების პროცესი, მიუხედავად ადმინისტრაციის შეთავაზებისა - მოლაპარაკების გზით გადაეწყვიტა წარმოქმნილი პრობლემა, ამავე ჯგუფმა, დესტრუქციული გზით, დაიყოლია ექსკავატორის ოპერატორები, რათა ისინიც არ გამოცხადებულიყვნენ სამუშაო უბანზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბურღვის ოპერატორების ხელფასი შეადგენს **937** ლარს, ხოლო ექსკავატორების ოპერატორებისა - **1063** ლარს. ასევე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კომპანიაში არასოდეს ყოფილა ხელფასის დაგვიანების ან შემცირების არც ერთი შემთხვევა. აღნიშნული კატეგორიის თანამშრომლები თვეში მუშაობენ მხოლოდ **16** დღე და სარგებლობენ **40**-დღიანი ანაზღაურებული შვებულებით. თითოეულ მათგანს აქვს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი. ხშირად კომპანიაში ერთი ოჯახიდან დასაქმებულია რამდენიმე ადამიანი, რაც ოჯახის შემოსავალს მნიშვნელოვნად ზრდის. გაფიცულთა ნანილის მოთხოვნები რამდენიმე დღეში უფრო მასშტაბური გახდა და მათ ადამინისტრაციის შეცვლის მოთხოვნაც გააჟღერეს. კომპანია **RMG**-ის გენერალური დირექტორი დიმიტრი კალანდაძე არ გამორიცხავს, რომ გაფიცვა კომპანიის მისამართით მიზანმიმართულად იყოს დაგეგმილი. თუმცა **RMG**-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი კანონის სრული დაცვით იმოქმედებენ და თუ კი გაფიცული თანამშრომლები დროულად არ დაუბრუნდებიან სამსახურს, იძულებული იქნებიან ისინი სხვა ადამიანებით ჩაანაცვლონ. რა პროცესები ვითარდება კომპანია **RMG**-ის ირგვლივ? ვინ დგას ამ ყველაფრის უკან და რამდენად რეალური მოტივაცია აქვს გაფიცულ მუშათა ჯგუფს, რომელთა ყოველთვიური ხელფასი ქართული რეალობისთვის არც ისე დაბალია; ამის გარკვევა „პრაიმტაიმმა“ სცადა.

მანუჩარ ახალაია, RMG Gopper-ის ადმინისტრაციული დირექტორი: -რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთმა უბანმა, კერძოდ კი ბურღვის უბანმა, მოგვმართა წერილობით, სადაც გარკვეული მოთხოვნები ჰქონდათ ჩამოყალიბებული. მომართვისთანავე მათთან შეხვედრა შედგა. ამ შეხვედრაზე გაირკვა, რომ მათი მოთხოვნები შრომითი პირობების გაუმჯობესებას, ხელფასების 100%-ით ზრდას და სადაზღვევო პაკეტების გაუმჯობესებას ეხებოდა. პირველივე შეხვედრაზე ჩვენ მათ ვუთხარით, რომ მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ხელფასის 100%-ით ზრდას, არაშესრულებადი იყო და ფაქტობრივად არაადეკვატური. შეხვედრაზევე განვმარტეთ, რომ ეს არ არის მენეჯმენტის გადასაწყვეტი საკითხი. მთელ მსოფლიოში ასეა, მსგავს საკითხს წყვეტს არა მენეჯმენტი, არამედ აქციონერთა ჯგუფი. ამის საპასუხოდ კი ისინი მეორე დღიდან არ გამოცხადდნენ სამსახურში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს აქცია გაფიცვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩაჩოების ფარგლებში არ განხორციელებულა (ვგულისმობ გაფიცვის პროცედურებს, რომელსაც შრომის კოდექსი ითვალისწინებს). შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად უმიზეზოდ გააცდინეს სამსახური. ცოტა ხანში კი აიყოლიეს ექსკავაციის უბანი, სამსხვრევი და საბოლოო ჯამში მივედით იმ მდგომარეობამდე, რომ ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით ადამიანების ნანილი უკვე არ ცხადდება სამსახურში. მიუხედავად დიალოგისათვის ჩვენი მზაობისა, მიუხედავად პროფკავშირების მოლაპარაკებებში ჩართვისა, ამ ადამიანებს არანაირი კანონიერების დაცვის სურვილი არ გააჩნიათ. ჩვენისთანა ტიპის კომპანიისათვის სანადაზღვეო და სამუშაო პირობების გაუმჯობესებასთან. ასევე ვდებთ პირობას, რომ გაფიცვაში მონაწილე თანამშრომლებს სამსახურში არავითარი პრობლემები არ შეეხებათ. ხოლო რაც შეეხება ხელფასების 100%-ით ზრდას, ეს არარეალურია, მაგრამ მიუხედავად ამისა, აქციონერებთან განვიხილავთ ყველა საკითხს, თუ რა შესაძლებლობები არსებობს და ამ კუთხითაც მივიღებთ გადაწყვეტილებას. ამ ყველაფრის საპასუხოდ, ისევ იგივე სიტუაციაა. სამწუხაროდ, ისინი ცდილობენ ხალხის აყოლიებას, რომ სხვებმაც გამოაცხადონ ბოიკოტი. ამიტომაც კომპანია კანონიერების ფარგლებში აპირებს მოქმედების გაგრძელებას. ჩვენ მუშაობას ვერ შევაჩერებთ და იძულებული გავხდებით ისინი ჩავანაცვლოთ სხვა ადამიანებით. მუშაობის მსურველთა რაოდენობა დიდია, ამიტომაც არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ სამუშაოს შესრულებას შეძლებენ. ჩვენი მიზანია, რომ ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საწარმო არ გაჩერდეს და მის მუშაობას და განვითარებას შევუწყოთ ხელი“.

„ჩვენი მიზანია, ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საწარმო არ გაჩერდეს და მის მუშაობას და განვითარებას შევუწყოთ ხელი“



- ბატონო მანუჩარ, გამორიცხავთ, რომ საქმე შესაძლოა გვქონდეს მიზანმიმართულ ქმედებასთან, თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რაზეა საუბარი და რასთან გვაქვს საქმე?

- მე არ მინდა ჩამოვთვალო საწარმოები, სადაც პრობლემები ბევრი მიმართულებით არსებობს, ეს ჩემი მხრიდან არაკოლეგიალური იქნებოდა. საუბარი რომ იყოს იმაზე, რომ ჩვენი კომპანია მისგან ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებს, ან თვეობით არ იხდიდეს ხელფასებს, ჩვენ მორალური უფლებაც კი არ გვექნებოდა ასე გვესაუბრა უკანონოდ გაფიცულ ადამიანებთან. რადგან არ არსებობს გაფიცვის რეალური საფუძველი, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ პროცესი შესაძლოა მართულია. ხელფასები, რომელიც დღეს არის კომპანიაში, ქვეყნის მაჩვენებლებიდან გამომდინარე, სავსებით ნორმალურია, მაგრამ ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს იდეალურია. ჩვენ ვამბობთ, როგორც კი სანარმო განვითარდება, როგორც კი ის პროგნოზი გამართლდება, რაზეც ორიენტირი გვაქვს, ეს საკითხებიც აუცი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამუშაო ადგილებზე დაბრუნებისკენ მოუწოდებს

რეალური პრობლემები თუ კომპანიის წინააღმდეგ დაგეგმილი მიზანმიმართული ქმედება...

მანუჩარ ახალაია: „არავის აქვს უფლება, ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საწარმოს ფუნქციონირება შეაფერხოს“

ლებლად გადაიხედება. შეიძლება ეს არ იყოს ხელფასის 100%-იანი ზრდა, მაგრამ ეს იქნება ის, რაც ჩვენ შეგვიძლია ამ ხალხს შევთავაზოთ. ნებისმიერ კომპანიაში და ბიზნესში საჭიროა ბიზნესის განვითარება. ჩვენ რომ დღეს ხელფასები გავზარდოთ, ტექნიკას ვერ შევიძენთ, ამას კი შესაძლოა სხვა სახის პრობლემები მოჰყვეს. სიტუაციის გასაუმჯობესებლად ყველაფერს ვაკეთებთ. მათ თუ არ ჰყოფნით მოთმინება, იძულებული ვიქნებით მოხდეს მათი ჩანაცვლება და ეს იქნება მათი და არა ჩვენი არჩევანი. არავის არ აქვს უფლება ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საწარმოს ფუნქციონირება შეაფერხოს. კიდევ რამდენიმე დღე დაველოდებით ამ ადამიანებს, კიდევ გვჯერა, რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ. წინაალმდეგ შემთხვევაში, სხვა გზა არ დაგვრჩება, ჩვენ უკვე მივმართეთ სასამართლოს, რომ უკანონოდ ცნოს პროცესები, რომელიც მიმდინარეობს, რადგანაც ჩვენი წარმოება ერთი გადაბმული ჯაჭვია. ამ დროისთვის ვერ ვიტყვით, რომ სრულად ვართ გაჩერებული, თუმცა, რა თქმა უნდა, პრობლემები არსებობს.

კომპანიის მენეჯერებთან საუბრის შემდეგ ჩვენ გაფიცულებს დავუკავშრდით. ბურღვის ერთ-ერთი გაფიცული ოპერატორი, თამაზ ჯაყელი ჩვენთან საუბარში ადასტურებს, რომ კომპანიის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე პრობლემა არასდროს ყოფილა. კერძოდ, არასდროს არ ახსოვს, რომ ხელფასი დაგვიანებით მიეღოთ. ადასტურებს იმასაც, რომ მას თვეში მხოლოდ 16 დღე უწევს მუშაობა და 40-დღიანი ანაზღაურებადი შვებულებითაც სარგებლობს.

თამაზ ჯაყელი, ბურღვის გაფიცული თანამშრომელი: - კომპანიაში ამდენი ხნის მუშაობის მანძილზე არც ერთი შემთხვევა არ გვქონია იმის, რომ ხელფასი დაგვიანებით მიგვეღო, ან რაიმე სახის პრობლემები შექმნილიყო. ყოველთვიურად 8-დან მაქისმუმ 15-მდე გვერიცხება ხელფასი და ამაზე შენიშვნები არ არსებობს. ჩვენ ყოველთვის დროულად ვიღებთ იმ ანაზღაურებას, რაც გვაქვს. 13 ნოემბერს გავაჩერეთ მუშაობა და კონკრეტული 4 მოთხოვნა წავუყენეთ კომპანიას, მათ შორის ერთი შეეხებოდა ხელფასების 100%-იან ზრდას. ჯერჯერობით გაჩერებული თანამშრომლები ისევ ძველ აზრზე ვართ და არსად არ ვაპირებთ გასვლას.

- ბატონო თამაზ, თქვენ ოთხი მოთხოვნა გქონდათ, აქედან სამის დაკმაყოფილებაზე თანახმა იყო კომპანია. უბრალოდ, 100%-ით ხელფასის გაზრდა მათ წარმოუდგენლად მიაჩნიათ.

- ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია. მათი გადასაწყვეტია რას გააკეთებენ. ჩვენ საწარმოს გაჩერებას არ ვითხოვთ. გვეუბნებიან, რომ ხელფასის მომატების, ლარის საშუალებაც არ არსებობს.

- კომპანიაში აცხადებენ, რომ დასაქმების მსურველები ძალიან ბევრია, და თუ კი სწრაფად არ მიიღებთ გადაწყვეტილებას, იძულებული იქნებიან თქვენ ჩაგანაცვლონ...

- კი, შეიძლება ჩვენს ადგილზე მუშაობის მსურველები მართლაც ძალიან ბევრი იყოს, ამას არ გამოვრიცხავთ. მაგრამ ჩვენ ჩვენი მოთხოვნები გვაქვს და იმედია, რომ რაღაც პროგრესს მივაღწევთ.

- ბატონო თამაზ, საუბარია იმაზეც, რომ თქვენი მოთხოვნების უკან გარკვეული ინტერესები არსებობს, ზოგიერთები თვლიან, რომ ახლა სწორედ მათი დრო მოვიდა, ამაზე რას იტყვით?

- არა, მე ნამდვილად არავის ინტერესი არ მაქვს, არავისგან არ ვარ მართული. ვიღაცებმა ერთი-ორმა მთვრალმა კაცმა ადმინისტრაციის გათავისუფლების მოთხოვნა გააჟღერა, მაგრამ ეს ხალხი ჩვენს შემადგენლობაში არ არის. ჩვენთან არ მუშაობენ. ჩვენ მენეჯმენტთან ურთიერთობის პრობლემა არ გვაქვს.

- საუბარი იყო იმაზეც, რომ დირექცია და მმართველი გუნდი შეგეცვალათ?

- იცით რა, აქ ხალხია, ბევრი ხალხი და ზოგმა ისეთმა ადამიანმა გააჟღერა ეს მოთხოვნა, რომელიც აქ საერთოდ არ მუშაობს, ვიღაცამ დალია, დათვრა, გამოვიდა და ყვირის ახლა. ეს რომ მე მეთქვა, ან იმ ხალხს, ვინც გაჩერებული ვართ, სხვა იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ არის.

კომპანიასა და გაფიცულ თანამშრომლებს შორის მოლაპარაკების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული „კარიერის პროფკავშირების“ წარმომადგენლები. როგორც ჩვენთან საუბარში პროფკავშირების წარმომადგენელი ცირა მენთეშაშვილი ამბობს, გაფიცვა, კანონის ფარგლებში არ არის მოქცეული და მათ გარკვეული შუამავლის ფუნქციის შესრულება უნევთ გაფიცულებსა და კომპანიას შორის. პროფკავშირები მიიჩნევენ, რომ კომპანია მუშების მიერ გაჟღერებული ოთხი მოთხოვნიდან სამის დაკმაყოფილებას გეგმავს, ამიტომაც გაფიცულებს სამუშაოზე დაბრუნებისკენ მოუწოდებს.

ცირა მენთეშაშვილი, კარიერის პროფკავშირების წარმომადგენელი: - ეს იყო მუშების თვითორგანიზებული პროტესტი და მასთან პროფკავშირებს კავშირი არ ჰქონია. თუმცა ამ ადამიანების უმრავლესობა პროფკავშირის ნევრი იყო, ამიტომაც გადავწყვიტეთ გარკვეული მედიატორის როლის შესრულება და დავიწყეთ მოლაპარაკებები დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის. სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გაფიცვა სამართლებრივ ჭრილში არ მიმდინარეობს. პროცესი დაიწყო თავიდან, დიალოგი შედგა, მაგრამ ეს პროცესი აღარ გაგრძელდა. პირდაპირ ბოიკოტი გამოაცხადეს დასაქმებულებმა და გააჩერეს ერთ-ერთი უნაბი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომპანიის თანამშრომელთა ნაწილი ამ ბოიკოტს კატეგორიულად ეწინააღმდეგება. გუშინ კიდევ ერთი დიალოგი შედგა, მაგრამ ეს პროცესი ველარ გაგრძელდა, რადგანაც ვერ მოხერხდა შეთანხმება. დღეს, ძირითადად გაფიცულნი არიან კარიერის მაღაროსა და კვარციტის თანამშრომლები.

- კომპანიამ რამდენიმედღიანი ვადა მისცა გაფიცულებს, რათა ისინი დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილებს, წინააღმდეგ შემთვევაში იძულებული იქნებიან ისინი ჩაანაცვლონ...

- კი, კომპანია ოთხი მოთხოვნიდან სამის დაკმაყოფილებაზე აცხადებს მზაობას. საუბარია სადაზღვეო და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე, იმ ადამიანების ხელშეუხებლობაზე, ვინც წამყვან პოზიციებს იკავებდა ამ გაფიცვების დროს. რაც შეეება ხელფასების ზრდას, ისინი ამბობენ, რომ საწარმო, ამ ეტაპზე წამგებიანია და არ შეუძლიათ თანხის გამოყოფა, სახელფასო ფონდის ზრდა, თუმცა მომავალში ეს პერსპექტივა არსებობს.

- შექმნილ სიტუაციაში რა გამოსავალს ხედავთ, რა უნდა გაკეთდეს?

- პროფკავშირული კუთხით თუ ვიმსჯელებთ, ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი იქნება ის, რომ ისინი დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილებს. იმ შემთვევაში თუ კი ადმინისტრაცია არ შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს და მიცემულ დაპირებებს, მერე შეუძლიათ პროცესი სამართლებრივი კუთით დაიწყონ და განავითარონ. ჩვენ, ამ შემთხვევაში, კანონს გვერდს ვერანაირად ვერ ავუვლით, ამიტომაც რაღაცნაირად ჩიხშია შესული სიტუაცია და იმედი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი დღეს ან ხვალ დარეგულირდება.

ავტორი: - უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კომპანიის ხელძღვანელობა შეხვდა ბოლნისის გამგებელს, რომელიც თავის მხრივ მანამდე შეხვდა ეგრეთ წოდებულ გაფიცულ მუშებს და მოუწოდა სამსახურში დაბრუნება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ის ადამიანები, რომლებიც უკვე რამდენიმე დღეა ქუჩაში დგანან, არ აპირებენ საწარმოში დაბრუნებას და კანონიერი გზით პრობლემის მოგვარებას.

ამ ყველაფერს ემატება ის გარემოებაც, რომ ორი დღის წინ გაფიცულ მუშებთან შესახვედრად არ დაიზარა და კაზრეთს ეწვია უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი. საგულისხმოა, რომ ამ ბოლო დროს ბატონი ლაშა საზოგადოებას თავს წარუდგენს, როგორც ექსპერტი გარემოს დაცვით საკითხებში. იბადება კითხვა, რა მისიით ბრძანდებოდა იგი უკანონოდ გაფიცულ მუშებთან, ან რა ინტერესი აქვს მას კაზრეთში განვითარებულ მოვლენებთან. მით უმეტეს, რომ იგი ხმამაღლა მოუწოდებდა მათ არ დაეთმოთ საკუთარი პოზიციები, არ დაბრუნებოდნენ სამუშაო ადგილებს. ფაქტობრივად, მან წაქეზა მუშები გაგრძელონ უკანონო ქმედება და შეიძლება ითქვას, რომ ამ ქმედებით კოორდინატორის როლიც კი იკისრა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ გაფიცვა, რომელიც მუშებმა მოაწყვეს, არავითარ სამართლებრივ ჭრილში არ ჯდება. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციამ გაითვალისწინა მოთხოვნების უდიდესი ნაწილი შრომისა და დაზღვევის პირობების გაუმჯობესების თაობაზე, ხოლო ანაზღაურების გაზრდის კუთხით მოლაპარაკების გაგრძელება შესთავაზა, დასაქმებულთა ჯგუფის მხრიდან საპროტესტო ღონისძიებები მაინც გრძელდება, რის შედეგადაც კომპანია განიცდის მნიშვნელოვან ზარალს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომპანიაში დასაქმებულთა გარკვეული ნაწილი არ იზიარებს საპროტესტო ღონისძიების ორგანიზატორთა პოზიციას და შესაბამისად, კომპანიის პარალიზებით, მათ ინტერესებსაც ადგება მნიშვნელოვანი ზიანი. ყველაფრის მიუხედავად კომპანია მზად არის მოლაპარაკების გზით პროცესი გადავიდეს საკანონმდებლო ჩარჩოში, რათა არ დაზარალდეს საწარმო და დაცული იქნას კომპანიაში მომუშავე თითოეული ადამიანის ინტერესი.

იმედი გვინდა გამოვთქვათ, რომ უკანონოდ გაფიცულები რეალურად გააცნობიერებენ სიტუაციას, არ აყვებიან გარედან მართულ სხვადასხვა ძალებს, დაუბრუნდებიან სამუშაო ადგილებს და კომპანია RMG-ის არ მოუწევს მათი ჩანაცვლება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ორი წლის კავკასიური ნაგაზის

ორი წლის კავკასიური ნაგაზის „ბიბის“ შემზარავმა ისტორიამ მთელი საზოგადეობა შეძრა. მისი სიკვდილის რეალური მიზეზი კი ინტერნეტ სივრცეში განხილვის მთავარ თემად იქცა. საზოგადეობის ნაწილი და ცხოველთა უფლებების დამცველები, ძაღლისადმი განსაკუთრებული სისასტიკით მოპრყობის გამო, ზესტაფონის რაიონ სოფელ არგვეთაში მცხოვრები თამაზ ხუსკივაძის განსაკუთრებულად დასჯას ითხოვენ. ადგილობრივთა ნაწილი კი ამის მომხრე არ არის. რა მოხდა სინამდვილეში და რას ემსხვერპლა კავკასიური ნაგაზის სიცოცხლე, ამის გარკვევა „პრაიმტაიმმა“ სცადა.

ლელა კიკნაველიძე: „სადღაც ივნისის დასაწყისში აღმოვაჩინეთ ბიბი, სოფელში დადიოდა, მაწანწალა იყო და ერთ-ერთ მიტოვებულ შენობაში იმალებოდა. ძალიან შეგვეცოდა მე და ჩემს შვილებს და ნელ-ნელა დავიწყეთ მისი მიჩვევა. იმ დროისთვის რომ გენახათ ბიბი, მიხვდებოდით, რომ აშკარად ეტყობოდა მოვლილი იყო, აშკარად სახლში ჰყავდა ვიღაცას. მე და ჩემმა ოჯახმა შევიჩვიეთ, შევიფარეთ და ვუვლიდით. აღმოჩნდა, რომ ძალიან გაწვრთნილი იყო. ბევრი რამ ესმოდა, მაგრამ ძალიან მოწყენილი იყო, როგორც სჩანს, თავის პატრონს ძალიან ელოდებოდა და ამიტომაც ყოველთვის იჯდა და გზისკენ იყურებოდა. ბავშვები გარეთ ხშირად ასეირნებდნენ. ჩვენს მეზობლად ცხოვრობს ერთი ბიჭი, რომელსაც დიდი ზომის ძაღლები არ უყვარს. ამ ბიჭმა ადრეც ესროლა ბიბის დიდი ზომის ქვა, რომელიც ძაღლს თავში მოხვდა. ბავშვი სახლში ატირებული და ანერვიულებული მოვიდა, რომ ვიკითხე რაში იყო საქმე, მითხრა, რაც მოდა. ძაღლი ტრავმირებული იყო. ოჯახში მისვლა გადავწვიტე, რომ მივედი მასთან ოჯახში, ვთხოვე, ასეთი რაღაცები არ გაეკეთებინა, მცირე შეკამათებაც მოგვივიდა. ეს ბიჭი ხშირად არის ნასვამი და როდესაც დალევს, არადეკვატური ხდება, ეს ყველამ იცის სოფელში. მაშინ დამემუქრა, როგორც კი მომეცემა პატარა მიზეზი და საშუალება, მე მაგას აუცილებლად მოგიკლავო, სახლში მყავდა და რას წარმოვიდგენდი თუ კი ასე გადაეკიდებოდა. ჩვენ ამ ძაღლს ვუმკურნალეთ ფეხი, რომელიც ტრავმირებული ჰქონდა, მაგრამ ის მაინც კოჭლობდა და ვერავის გაეკიდებოდა, კარგად არ შეუხორცდა ჭრილობა. მართლა არავის არ ერჩოდა, არავის ფრინველი არ შეუჭამია და არც არავინ დაუკბენია. უბრალოდ, უფრო აგრესულად ყეფდა, როცა ამ ბიჭს დაინახავდა, რადგან დამახსოვრებული ჰყავდა; მე დღეს ვთვლი, რომ სწორედ ამ ყეფას ემსხვერპლა ჩემი ბიბი. მთელი ზაფხული მე და ჩემმა შვილებმა სოფელში გავატარეთ. სექტემბრის შუა რიცვებში დავრუნდით თბილისში, 11 ნოემბერს გავიგეთ ამ შემზარავი ისტორიის შესახებ.**

- რა გითხრეს, რა მოხდა სინამდვილეში, თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?

- მე მაქვს ასეთი ინფორმაცია, რომელიც მარტო ერთი ადამიანის მიერ არ არის დადასტურებული, ძალიან ბევრმა დამირეკა იმ დღეს და ძალიან ბევრი იყო შეწუხებული ამ ამბით. ყველა შოკში იყო, ყველა, ვინც კი დღეს გამოდის და იმ პიროვნების პოზიცია უჭირავს. მე ასეთი რაღაც ვიცი, იმ დღეს ეს პიროვნება იყო ნასვამი და არაადეკვატურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დადიოდა თოფით, ჩემი ძაღლი კი ამ დროს გარეთ გასულა, რადგან ზოგჯერ ვუშვებდით ხოლმე. ბიბიმ დაიწყო ყეფა, ამას მიეცა მიზეზი, ნახა ეს ძაღლი, ესროლა თოფი, მერე თავი ნაჯახით მოაჭრა, აიღო ეს თავი და მთელი სოფელი მოიარა. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს ინფორმაცია მე ძალიან ბევრმა ადამიანმა დამიდასტურა. მისი ფოტო კი, როგორც სჩანს, ვიღაც მეზობელმა გადაიღო, მაგრამ მე ნამდვილად არ მაქვს ინფორმაცია ვინ არის ეს ადამიანი. შეიძლება იქ რამდენიმე ადამიანი იდგა და იღებდა, თანაც ფოტო გადაღებულია სოფლის მეორე მხარეს და ის ლიანდაგები შორს არის.

- თქვენ აბსოლუტურად გამორიცხავთ იმ ვერსიას, რომ მან ესროლა და შემდეგ ლიანდაგზე ძაღლს მატარებელმა გადაუარა?

- რა სისულელეა, ისე როგორ დაწვა ჩემი ძაღლი ლიანდაგებზე, რომ მატარებელმა მარტო თავი მოაჭრა? მერე დანაწევრებული ძაღლი პარკში ჩაყარა და გადააგდო? ეს არის სრული აბსურდი და სისულელე. ეს არის ლიანდაგი სადაც ჩქაროსნული მატარებლები დადიან და არც ანელებენ იმ ტერიტორიაზე. ექსპერტები ადგილზე ნახავენ სიტუაციას, მათ ჩემზე კარგად იციან რა ხდება და როგორ. იყო ჩვენთან ფაქტები, როდესაც ძროხებს დაჯახებია მატარებელი და იქ რაც ხდებოდა ენით ვერ აგიწერთ...

- ეს ხალხი, რომელზეც თქვენ ახლა ამბობთ, რომ გირეკავდნენ და შეშფოთებას გამოთქვამდნენ ამ ყველაფერზე ახლა სოფელში სხვანაირად საუბრობენ?

„ყველაზე დიდი უბედურება და სირცხვილი ის არის, რომ დღევანდელ დღეს, ადამიანი, რომელმაც უნდა დაიცვას სიმართლე, ემსახურება უსამართლობას. ხელს აფარებს ამ მანიაკს და ამ ყველაფრის თანამონაწილე ხდება“...

„ხვალ ეს ბიჭი უარესს გააკეთებს, თუ ეს ფაქტი შერჩა, ადამიანს მოკლავს და თავს მოაჭრის“...

„კაცი, რომელმაც უმნეო ცხოველი თოფით მოკლა, თავი მოაჭრა, სურათი გადაიღო და ამ სურათით „მარიაჟობდა“, ნამდვილად საშიშია საზოგადოებისთვის“...

„იმ დღეს, ეს პიროვნება ნასვამი, არაადეკვატურ მდგომარეობაში იყო. დადიოდა თოფით, ჩემი ძაღლი ამ დროს გარეთ იყო გამოსული, ბიბიმ დაიწყო ყეფა, მას მიეცა მიზეზი, ესროლა, მოაჭრა თავი და ამ თავით მოიარა მთელი სოფელი“...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბიბის“ შემზარავი ისტორია...

„ადრე ეს ბიჭი დამემუქრა, როგორც კი მომეცემა პატარა მიზეზი და საშუალება, ამ ძაღლს მაინც მოგიკლავო“...

„მე დღეს ვთვლი, რომ ჩემი ბიბი ყეფას ემსხვერპლა“...

- სხვანაირად საუბრობენ, იმიტომ რომ არ იცით იქ რამდენად მიუღებელია ძაღლის გამო ასეთი ამბის ატეხვა. ეს საჯარო რომ გახდა, სხვანაირად დაიწყეს საუბარი. მაგრამ ეს არ არის პირველი შემთხვევა, ბევრი შემთხვევები იყო, უბრალოდ, არ გამოაშკარავებულა და საჯარო არ გამხდარა. ძაღლებისადმი ასეთი მოპყრობა მიუღებულია, ბევრი მოკლული ძაღლი ყრია ხომლე იქ. ახლა მიმდინარეობს გამოძიება, იკითხებიან მოწმეები და მე მჯერა, რომ სიმართლე გამოაშკარავდება და ნამდვილად არ ვიგონებ არაფერს. ბიბი რომ აგრესიული ყოფილიყო, ჩემი ოჯახი მას არ გააჩერებდა. მე ადრე, დიდი ხნის წინათ, მყავდა ძაღლი, მაშინ პატარები იყვნენ ჩემი შვილები, ის დაავადდა და ჩვენ ჩვეულებრივად გამოვიძახეთ ვეტერინარი, გავუკეთეთ ნემსი და დავაძინეთ. დღეს იმაზეც დაუწყიათ საუბარი, თითქოს მამაჩემმა სთხოვა ამ ძაღლის მოკვლა ვინმეს, რაც არის სრული აფსურდი და სისულელე.

ძაღლი თამაზ ხუსკივაძემ ორლულიანი თოფით მოკლა, მოგვიანებით კი მის მიერ მოკლული ცხოველის თავთან ფოტო გადაიღო. ხუსკივაძე ცხოველის მოკვლის ფაქტს ადასტურებს, თავის მოკვეთაზე კი ამბობს, რომ ეს მისგან დამოუკიდებლად მოხდა და ამტკიცევს, რომ ძაღლს მატარებელმა გადაუარა.

თამაზ ხუსკივაძე: „სანადიროდ მივდიოდი, ლიანდაგების პირას ვიყავი, როცა ამ ძაღლმა ყეფა დამიწყო, შემომიტია და ვესროლე. ძაღლი გაიქცა და მე ჩემი გზა გავაგრძელე, დაჭრილი იყო. უკან დაბრუნებულზე ვნახე მისი თავი, როგორც ჩანს, ლიანდაგებზე მოკვდა და მატარებელმა გადაუარა. ეს თავი ავიღე, ტანი უნდა გამეთრია, იქ ხალხი იდგა და როგორც სჩანს, ეს ფოტოც გადაიღეს“.

მას შემდეგ, რაც 20 წლის თამაზ ხუსკივაძემ ძაღლი მოკლა და მისი ფოტო სოციალურ ქსელში გავრცელდა, ზესტაფონის პროკურატურაში საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით აღიძრა, რაც ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობას გულისხმობს და სასჯელის სახით ორ წლამდე პატიმრობას ან ჯარიმას ითვალისწინებს. სისხლის სამართლის კოდექსის 259 მუხლთ, ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა. 1. ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, აგრეთვე ცხოველის წვალება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე. 2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) მცირეწლოვანის თანდასწრებით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. საქართველოს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ხათუნა პაიჭაძე ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ ფაქტზე აქტიურად მიმდინარეობს მოკვლევა.

ხათუნა პაიჭაძე, პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი: „გამოძიება ამ საქმეზე დაწყებულია 258-მუხლით, რაც ცხოველისადმი სასტიკად მოპყრობას გულისხმობს. ის ითვალისწინებს ჯარიმას ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. იკითხებიან მოწმეები, პროცედურებზე საუბარი ახლა არ შემიძლია, რადგან კანონში პირდაპირ არის ამის აკრძალვა. როგორც კი დასრულდება პროცედურები გაცნობებთ ამ ყველაფრის შესახებ“.

ცხოველთა დამცველები და საზოგადოების ნაწილი ბიბის მკვლელის სამაგალითოდ დასჯას ითხოვს. როგორც ჩვენთან საუბარში თამაზ თამაზაშვილი ამბობს, 20 წლის ახალგაზრდა უნდა დაისაჯოს, რათა ვერასდროს, ვერავინ გაბედოს უსუსურ ცხოველზე ხელის აღმართვა. ელიზბარაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ დღევანდელი პროკურატურისა და პოლიციის პირობებში ასეთი ხალხი სათანადოდ იქნება დასჯილი.

თამაზ ელიზბარაშვილი: „ეს ახალგაზრდა, როგორც ვიცი, ჩემი სეხნია და ხუსკივაძეა გვარად. ის არის ახალი მოვლენა საქართველოსთვის. ყველაზე დასანანი და გულსატკენი კი არის, გარემოება, რომ ყველა კაცს და მათ შორის ქალბატონებს ზესტაფონის ამ სოფელში, არ აღმოაჩნდათ იმის ვაჟკაცობა, რომ თავისი სახელი დაერქმიათ ამ ყველაფრისთვის. კაცი, რომელმაც ეს გააკეთა, უმწეო ცხოველი თოფით მოკლა, თავი მოაჭრა, სურათი გადაიღო და მერე ამ სურათით „მარიაჟობდა“, საშიშია საზოგადოებისთვის. ხვალ ეს ბიჭი უარესს გააკეთებს, თუ ეს შერჩა, ადამიანს მოკლავს და თავს მოაჭრის.

- ადგილობრივების ნაწილი და თვითონ ეს ადამიანი ამბობს, რომ ლიანდაგებზე გადაუარა ძაღლს მატარებელმა...

- ეს არის მშიშარა ადამიანის ფსიქოლოგია. მან ძაღლს თავი მოაჭრა, რათა სოფლელებისთვის ეჩვენებინა რა მაგარი ბიჭია. საქმე საქმეზე რომ მივიდა, ნახა, საშიშროება დაემუქრა, ამიტომაც დაიწყო თავის მართლება. სად აქვს მას ვაჟკაცობა, ის არის ნაძირალა და მისი საქციელიდან ჩანს ეს ყველაფერი.

- ძაღლის მეპატრონე ამბობს, რომ ადამიანები, რომლებიც მას ეუბნებოდნენ როგორ მოაჭრა ამ ბიჭმა ძაღლს თავი, ამბობენ რომ მათ არაფერი არ უნახავთ...

- ეს არის ყველაზე დიდი უბედურება და სირცხვილი, რომ დღევანდელ დღეს ადამიანი, რომელმაც უნდა დაიცვას სიმართლე, ემსახურება უსამართლობას. ხელს აფარებს ამ მანიაკს და ამ ყველაფრის თანამონაწილე ხდება. ყველა ადამიანი, ვინც ახლა ხელს აფარებს ხუსკივაძეს, არის ხუსკივაძისნაირი სადისტი და მანიაკი. ამიტომ არ ვცემ ამ სოფელს პატივს. მე ვთქვი, კიდევ გავიმეორებ, „პამპერსი“ უნდა გაუგზავნო იმ სოფლის კაცებს. ისინი კაცები არ არიან, იმდენი ვაჟკაცობა არ ჰყოფნინთ, რომ სიმართლე თქვან. თვალებში ჩახედონ ამ ნაძირალას და უთხრან, ეს რა გააკეთე, ბიჭო!

- ძაღლის მეპატრონე ამბობს, რომ იქ ასეთი ფაქტები ჩვეულებრივი მოვლენაა და ადგილობრივებს აქვთ განწყობა, რომ ძაღლის გამო ადამიანი არ უნდა დაისაჯოს, თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

- სამწუხაროდ, კანონი (სისხლის სამართლის კოდექსში 259-ე მუხლი), რომელიც ცხოველს იცავს სასტიკი მოპყრობისაგან არ მოქმედებს. ეს კანონი არ მოქმედებდა სააკაშვილის დროს, არ მოქმედებდა შევარდნაძის დროს და მე დიდი იმედი მაქვს, რომ დღევანდელი პოლიციის პირობებში, დღევანდელი პროკურატურის პირობებში, ეს მუხლი ამოქმედდება და მთელი სიმკაცრით დაისჯებიან ასეთი ნაძირალა სადისტები. მე ჩემი სამართალი მაქვს, რომელსაც ჰქვია მუშტი და ამ მუშტით გამაქვს ეს სამართალი. ეს ადამიანი უნდა იყოს აუცილებლად დასჯილი, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ვიღაც-ვიღაცები, რომლებიც ცხოველის ყეფის გამო თოფს გამოიყენებენ, იქნენ შესაბამისად დასჯილი. ეს ფაქტები რომ არ განმეორდეს, ამისთვის საჭიროა, რომ ისინი დაისაჯონ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაკა ჩიჩუამ ქართველ დიზაინერზე ...



my View
თამარ გონგაძე

„ანუკა არეშიძესაც ელეგანტურად ეცვა, ნაცრისფერი კაბა და შეხსნილი შავი პალტო. ლამაზი ფორმის სათვალე ეკეთა“

„გამოვარჩევდი ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ შავი პალტო ეცვა, საინტერესო, ლამაზი საყელო და თეთრი სარჩული აცოცხლებდა. ელეგანტური და ინაუგურაციისთვის ზუსტი მიგნება იყო. არ არსებობს ეს პალტო არ მოგიხდეს“

ერთი კვირის წინ სოციალური ქსელები ინაუგურაციის გარდერობზე მადიანად ბჭობდა. უფრო კონკრეტულად კი მინისტრების მეორე ნახევრების ჩაცმულობის განხილვით იყო გადაჭრელებული. მიზანში ძირითადად ეკა ხვედელიძის კრისტიან დიორის პალტო და ნუნუკა თამაზაშვილის ოსკარ დელარეტას კაბა ამოიღეს. საგენტოები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სამოსების ფასების „მოსერჩვითა“ და ქართული პოლიტელიტის უცხოელ მოდელებთან შედარებით. კადრს მიღმა არც წელწინდის უხერხული ფორმით გასწორება და არც ჯანდაცვის მინისტრის ჟღალთმიანი მეუღლის არაორდინარული ვარცხნილობა დარჩენილა. ამ ყველაფრის მიღმა იყო ერთი დიდი ინტერესიც - პრეზიდენტის მეწყვილე ქალბატონი. ბუნებრივია, „უყურადღებოდ“ არც მაკა ჩიჩუას ჩაცმულობა დაუტოვებიათ და წუნი დასაშვებზე უფრო ღრმა დეკოლტეზე დასდეს. სამაგიეროდ, ერთხმად აღიარეს, რომ პრეზიდენტის რჩეული საკმაოდ ლამაზად გამოიყურებოდა, როგორც რუსთაველის თეატრში - „ერისიონის“ კონცერტზე, ასევე „შერატონ მეტეხი პალასში“ - მიღებაზე. ამაში თავისი წვლილი ქართველმა დიზაინერმა დათუნა სულიკაშვილმა შეიტანა. ორი „პრიმერკით“ ხუთ დღეში შეკერილი ღია მწვანე კაბა და შავი კაბა მას ეკუთვნის. ინაუგურაციაზე კი პრეზიდენტის რჩეულს თავისი გემოვნებით შექმნილი სამოსი ეცვა. სულიკაშვილმა პრეზიდენტის ქალიშვილის ჩაცმულობაზეც იზრუნა და „გიპიურით“ გაფორმებული შავი კაბა შეუკერა.

სწორი არჩევანი

დათუნა სულიკაშვილი: „მე ვფიქრობ, მაკამ ყველაზე სწორი არჩევანი გააკეთა ქართველი დიზაინერის შექმნილი სამოსი რომ ეცვა. ინაუგურაციის დღეს ქვეყნის წარდგენა ხდება, დღესასწაულია. ეტიკეტიც ასეთია - პრეზიდენტი ხარ, პირველი ლედი თუ მინისტრის მეუღლე, ამ ცერემონიალზე შენივე ქვეყნის წარმოებულ სამოსში უნდა იყო. მაგალითად მოვიყვან ბარაკ ობამას ინაუგურაციის დღეს, სადაც მიშელ ობამას სულ უცნობი ამერიკელი დიზაინერების კაბები ემოსა. ასევე იყო სარკოზის ცოლის შემთხვევაშიც, რომელიც მხოლოდ ფრანგი დიზაინერების სამოსით იყო წარდგენილი. მაკა ჩიჩუას გარდა მიღებაზე ქართული სამოსით იყო ანუკი არეშიძეც. მას თავისივე შექმნილი კაბა ეცვა და არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა“.

- მაკას ინაუგურაციაზე ვისი კაბა ეცვა?

- მე როგორც ვიცი, მაკას ჰქონია კაბის სურათი და დიდი ხანია სურდა მისი შეკერვა. ინაუგურაციისთვის ერთ-ერთ ხელოსანს შეაკერინა. პატარა დეტალების შეცვლით ეს მისი გემოვნებით შექმნილი კაბაა.

- ითქვა, რომ ამ დღისთვის ზედმეტად დეკოლტირებული კაბა ეცვაო...

- იმდენად ლამაზი კისერი და დეკოლტე აქვს, ვერ ვიტყოდი, რომ ეს გადაჭარბებული იყო. შეიძლება კაბას ოდნავ ამოღებული გულისპირი ჰქონდა, მაგრამ ყურადღება მისაქცევი არ ყოფილა. ეს ჩასაფრებული ადამიანების შეფასებაა, რომლებიც ნაკლს ეძებდნენ. მე ვთვლი, რომ მას ჩაცმულობაში ნაკლი არ ჰქონია. ეცვა სადად, ელეგანტურად და ფერი უხდებოდა. სხვათა შორის, მიშელ ობამაც გააკრიტიკეს ინაუგურაციის ჩაცმულობის გამო. მას ყვითელი კაბა ეცვა და ფერი დაუწუნეს. ყვითელი ამომავალი მზის სხივის ფერია და იმედის სიმბოლოა. ინაუგურაციაზე კი სამოსი ერთგვარი მესიჯია. ამიტომ გასათვალისწინებელია ასეთი დეტალები.

- შენი კაბებით რა მესიჯი გაიგზავნა?

„დავით სერგეენკოს ცოლის ვარცხნილობა არ შეესაბამებოდა იმ გარემოს“

- ამ შემთხვევაში ასეთი დიდი მნიშვნელობა არ მიგვინიჭებია. ჩემი მთავარი მიზანი იყო, რომ მაკა ძალიან ლამაზი ყოფილიყო. ეს ადვილად გამომივიდა, რადგან მაკამ თვითონ მომცა ამის საშუალება. ზღვისფერი კაბა მაინც რომ გავშიფროთ - ზღვა სიძლიერესთან და სიღრმესთან ასოცირდება. შავი კაბა ელეგანტურობასა და იდუმალებას გამოხატავს, რაც მაკაში არ არის. მაკა აკვარიუმივით ღია და გამჭვირვალე ადამიანია. არსებობენ ადამიანები, რომლებშიც რალაცას ეძებ. ჩემი ხედვით კი მაკა იმდენად გამჭვირვალეა, რომ ზედმეტი ფიქრი იმაზე, თუ როგორია, არ გჭირდება. ამიტომაც გამიადვილდა მასთან ამ კოსტიუმებზე მუშაობა.

რეკომენდაცია ბასასგან

დიზაინერი პარიზში გასაყიდად გასაგზავნ ფრანგულ კოლექციაზე მუშაობდა, მოულოდნელად ზარი რომ გაისმა და საინტერესო შეკვეთის მისაცემად შეუთანხმდნენ. „დამირეკა - გამარჯობა, მაკა ვარ, თუ შეგიძლია დამეხმაროო? სიამოვნებით მივიღე. შორიდან ვიცნობდი. ვიცოდი, რომ ხატავს, გადაღებული აქვს მუსიკალური კლიპი, ლამაზი ქალია... ბავშვობიდან ასე მახსოვდა. ჩემთან რომ მოსულიყო ბასა ფოცხიშვილს გაუწევია რეკომენდაცია. მას ჩემი ბევრი სამოსი აქვს. ბასასთან მუშაობა ძალიან მიყვარს - სუფთად შემოქმედებით წვაში ვარ. თვითონაც სხვანაირად უდგება და

„ირაკლი ღარიბაშვილის ცოლს სადად და ზომიერად ეცვა. თუმცა მე ცვლილებას შევიტანდი. კაბაც და პიჯაკიც ერთი ფერის ლურჯი იყო. მე კონტრასტული ფერით, ან ღია ტონის ლურჯით გავაცოცხლებდი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არჩევანი ეტიკეტის დაცვით გააკეთა

„იმდენად ლამაზი კისერი და დეკოლტე აქვს, ვერ ვიტყოდი, რომ ეს გადაჭარბებული იყო. შეიძლება კაბას ოდნავ ამოღებული გულისპირი ჰქონდა, მაგრამ ეს არ იყო ყურადღება მისაქცევი. ეს ჩასაფრებული ადამიანების შეფასებაა, რომლებიც ნაკლს ეძებდნენ“

EXCLUSIVE

„ძალიან ადვილი და სასიამოვნოა მასთან მუშაობა. მაგრამ ამავდროულად ფრთხილად უნდა იმუშაო. კაბის სიგრძე იქნება თუ ფორმა, მაკას თავისი საზღვარი აქვს, რომლის იქით შეიძლება ან აღარ მოსწონს, ან მისი არ არის. არაჩვეულებრივი სხეული აქვს, ყველაფერი შეგიძლია მოარგო, თუკი მისგან თავისუფლება გექნება. მას კი ბევრი თავისუფლება აღარ აქვს, პრეზიდენტის გვერდით არის“

სრულ თავისუფლებას მაძლევს. მაკას არ მოჰყოლია. ის თავის პროტოკოლთან ერთად მოვიდა“.

როგორ შეიქმნა კაბები

დიზაინერმა არაორდინარულ შემკვეთს პარიზის კოლექციიდან თავისი საყვარელი შავი კაბა აჩვენა. ქსოვილი, რომლისგანაც ეს მოხდენილი კაბა შეკერა, პარიზში ქსოვილების გამოფენაზე აქვს შეძენილი. ქსოვილი აბრეშუმის, შალისა და ბამბის ნაზავია. „საოცარი დამუშავება აქვს. ასევე შალისა და აბრეშუმის ნარევია მწვანე კაბის ქსოვილიც. პიჯაკი ახალი ტექნოლოგიით გაკეთებული „ფარფლებია“. ჩემი საყვარელი შავი კაბა რომ მივაწოდე, დარწმუნებული არ ვიყავი მოეწონებოდა თუ არა. ჩაიცვა თუ არა - ზუსტად ეს მინდოდაო, თქვა. თითქოს მისთვის, მის ტანზე იყო შექმნილი. მერე პატარა კორექტივები შეიტანა. სიგრძე მომამატებინა და ბროლის თვლები დავამატეთ, რომ სადღესასწაულო იერი მისცემოდა. ეტიკეტის ნაწილია - პრეზიდენტის მეუღლის ფეხსაცმლის ქუსლი 8 სანტიმეტრს არ უნდა აღემატებოდეს. ვფიქრობ, არაფერი დაგვირღვევია. სამკაული არ ეკეთა. მინდოდა მიღებაზე მისი სხეულის ლამაზი ნაწილები გამოჩენილიყო და შავ მოკლე კაბაზე შევაჩერეთ არჩევანი. სხვათა შორის, ეს კაბა რომ ჩაიცვა, თქვა, გამანებეთ თავი, გამოცვლა არ მინდაო. ამ მხრივ, უბრალო ქალბატონია. თუმცა ეტიკეტით ერთ კაბაში ყოფნა არ შეიძლებოდა. მერე, მეორე კაბაზე ფიქრი რომ დავიწყეთ, ჯერ ქსოვილებს ვარჩევდი. მწვანე ქსოვილთან და იმ მეტალნარევ ქსოვილთან მივედი, რომლისგანაც მერე პიჯაკი შევუკერე. ორივემ ერთხმად ვთქვით, რომ ეს იქნება მეორე კაბა. რადგან რუსთაველის თეატრში მიდიოდა, გარემოსთვის შესაფერისი სიგრძის და სტილის კაბა შევკერე. მხოლოდ პრეზიდენტის რჩეულ ქალბატონს არ ეხება, ყველას ეხება, რომ თეატრში უნდა ეცვას სადღესასწაულოდ. ეს ეტიკეტი რომ დავიცვათ, თეატრში წასვლაც სიხარულთან იქნება დაკავშირებული. რომ ხედავ ყველას ასე საზეიმოდ აცვია, ძალიან სასიამოვნოა“.

ДАТУНА СУЛИКАШВИЛИ: „მე ვფიქრობ, მაკამ ყველაზე სწორი არჩევანი გააკეთა, რომ ქართველი დიზაინერის შექმნილი სამოსი ეცვა. ინაუგურაციის დღეს ქვეყნის წარდგენა ხდება. ეტიკეტიც ასეთია - პრეზიდენტი ხარ, პირველი ლედი თუ მინისტრის მეუღლე, ამ ცერემონიალზე შენივე ქვეყნის წარმოებულ სამოსში უნდა იყო“

საზღვარი

„ძალიან თბილი ქალია. ისე შემოვიდა და დავიწყეთ ურთიერთობა, გამიჩნდა განცდა, რომ თითქოს დიდი ხანია ვიცნობდი. ძალიან ადვილი და სასიამოვნოა მასთან მუშაობა. მაგრამ ამავდროულად ფრთხილად უნდა იმუშაო. კაბის სიგრძე იქნება თუ ფორმა, მაკას თავისი საზღვარი აქვს, რომლის იქით შეიძლება ან აღარ მოსწონს, ან მისი არ არის. თუ სხვა დიზაინერს ექნება მასთან შეხება, გაითვალისწინოს, რომ, ამ მხრივ, ფრთხილად იყოს. არაჩვეულებრივი სხეული აქვს, ყველაფერი შეგიძლია მოარგო, თუკი მისგან გექნება თავისუფლება. მას კი ბევრი თავისუფლება აღარ აქვს, პრეზიდენტის გვერდით არის. თუმცა შეიძლება ეცვას მოდურად, როგორც მისი რანგის ქალბატონს. ყოველდღიურ ცხოვრებაში როგორც აცვია, მიმწონს, თუმცა მოუწევს სტილის შეცვლა. თითქმის ყველაფერი უხდება და მისთვის ეს პრობლემა არ იქნება“.

შეფასება

- დათუნა, როგორც დიზაინერმა, ზოგადად შეაფასე ინაუგურაციის დღეს მინისტრთა და მათი მეორე ნახევრების ჩაცმულობა.

- ძალიან მუქ ფერებში ეცვა ყველას. ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, აუცილებლად გავაფერადებდი. შეიძლება შავი ფერიც გამომეყენებინა და ლურჯიც, მაგრამ კონტრასტულად. სხვა ფერს შევიტანდი. ვისაც შავი ეცვა, კარგად ვერ დავინახე, კონკრეტულად რა ეცვა. გამოვარჩევდი ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ შავი პალტო ეცვა, საინტერესო, ლამაზი საყელო და თეთრი სარჩული აცოცხლებდა. ელეგანტური იყო და ინაუგურაციისთვის ზუსტი მიგნება. არ არსებობს ეს პალტო არ მოგიხდეს. ანუკა არეშიძესაც ელეგანტურად ეცვა, ნაცრისფერი კაბა და შეხსნილი შავი პალტო. ლამაზი ფორმის სათვალე ეკეთა. ირაკლი ღარიბაშვილის ცოლს სადად და ზომიერად ეცვა. თუმცა მე ცვლილებას შევიტანდი. კაბაც და პიჯაკიც ერთი ფერის ლურჯი იყო. მე კონტრასტული ფერით, ან ღია ტონის ლურჯით გავაცოცხლებდი. გამოვარჩევდი საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელსაც მუქი წითელი პიჯაკი და ქვედაბოლო ეცვა. პიჯაკს ლამაზი ფორმა ჰქონდა. განსხვავებული იყო. ყველაზე დასამახსოვრებელი კი მაინც მაკა ჩიჩუა და ეკა ხვედელიძე იყვნენ. რაც შეეხება მამაკაცებს, სწორად ეცვათ. გამოვყოფდი კახი კალაძეს, რომელსაც ტანზე მოყვანილი პიჯაკი ეცვა. ინაუგურაციის ტიპის განსხვავებულ ღონისძიებებზე მამაკაცები სხვა გამოკვეთილი ფერის ჰალსტუხს იკეთებენ. ამ დღეს პრიორიტეტული იყო პრეზიდენტი, რომელიც საინტერესოდ გამოიყურებოდა.

- თვალში მოგხვდა ვინმე?

- დავით სერგეენკოს ცოლი. სულ სხვანაირ ვარცხნილობას გავუკეთებდი. მისი ვარცხნილობა არ შეესაბამებოდა იმ გარემოს. ძალიან მწყინს, რომ შლაპები არ ეხურათ. ინაუგურაციას და ელეგანტურ ჩაცმულობას შლაპა ამშვენებს.

„ჩემი საყვარელი შავი კაბა რომ მივაწოდე, დარწმუნებული არ ვიყავი მოეწონებოდა თუ არა. ჩაიცვა თუ არა - ზუსტად ეს მინდოდაო, თქვა. თითქოს მისთვის, მის ტანზე იყო შექმნილი. სიგრძე მომამატებინა და ბროლის თვლები დავამატეთ, რომ სადღესასწაულო იერი მისცემოდა“

„ისევ გვექნება შეხვედრა“

- მაკა შენ ჩვენებებს დასწრებია?

- მითხრა, რომ ერთი ჩვენება აქვს ნანახი და ჩემი შავ-თეთრი კოლექცია დამახსოვრება. ორი შავ-თეთრი კოლექცია მქონდა და არ ვიცი კონკრეტულად რომელს გულისხმობდა. თვის ბოლოს მუსკომედიის თეატრში მაქვს ჩვენება და აუცილებლად დავპატიჟებ.

- როგორ გგონია, გააგრძელებს შენთან თანამშრომლობას?

- მგონია, რომ ისევ გვექნება შეხვედრა. მასთან მუშაობა სასიამოვნო იყო ჩემთვის.

- გეამაყება, რომ პრეზიდენტის რჩეულ ქალბატონს ასეთ მნიშვნელოვან დღეს შენი კაბები ეცვა?

- მნიშვნელოვანი ფაქტია და საამაყოა ის, რომ ინაუგურაციის დღეს პრეზიდენტის მეუღლეს შენი სამოსი აცვია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეკონომიკური ძალადობის მსხვერპ

my View
დეა თავგერიძე

დათო ტურაშვილი: „კაცებს გვიჭირს ამის აღიარება, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, საქართველოს შენარჩუნებაში, სწორედ ასეთმა ქალებმა შეასრულეს განსაკუთრებული როლი“

„ვახო ბერიძეს კი მინდა მადლობა ვუთხრა, იმის გამო, რომ არასოდეს ჩერდება და ყოველთვის ცდილობს შემოქმედებითი პროცესისგან მიიღოს მთავარი სიამოვნება და ამიტომაც ყოველთვის სიამოვნებით ვითანამშრომლებ მასთან, როგორც რეჟისორთან“

ვახტანგ ბერიძე: „აქ ძალიან საინტერესო აურა დამხვდა, შემოქმედებითად დამუხტული. ძალიან მობილიზებულია მთელი თეატრი იმისათვის, რომ სპექტაკლი წარმატებული გამოვიდეს“

my View **დეა თავგერიძე**

უცხოეთში ლუკმა-პურისთვის გადახვეწილი ქართველი ქალები, აქ დარჩენილი ქმრები, შვილები, გაუსაძლის შრომის საზღაურს რომ თავიანთი ნება-სურვილისამებრ „ანიავებენ“... მწარე რეალობაა და ერთი ოჯახის ისტორიაში ასახული მთელი ქვეყნის ტკივილი. ეს ყოველივე დრამატურგმა დათო ტურაშვილმა ჯერ თავის პიესაში ასახა, მერე კი ახალგაზრდა რეჟისორმა ვახტანგ ბერიძემ მოქმედება სცენაზე გადაიტანა. „დოდოს მოლოდინში“, მალე მესხეთის თეატრის სცენაზე გათამაშდება. ამ სპექტაკლის დასადგმელად მესხეთს რეჟისორი აჭარიდან ეწვია. ვახტანგ ბერიძეს აჭარაში კარგად იცნობენ, სპექტაკლების დადგმის გარდა ეს ახალგაზრდა კაცი მშობლიური კუთხის პოპულარიზაციასა და მაღალმთიან რეგიონში კულტურული განვითარებისთვის იღვწის. ყოველწლიურად მის მიერ მოწყობილ შემოქმედებით საღამოებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები პოეტები, რეჟისორები, მსახიობები და სხვა ხელოვანები სტუმრობენ... ამჯერად რეჟისორმა მესხეთში გადაინაცვლა. აქ კი ახალ პროექტზე ფიქრს შეუდგა.

ვახტანგ ბერიძე: „ჩემი მომდევნო პროექტი სელიმ ხიმშიაშვილს ეხება, ამ პიესაზე მე და დათო ტურაშვილი ერთობლივად ვმუშაობთ. კონსულტაციები გავიარეთ ისტორიკოსებთან და ბევრი საინტერესო რჩევაც მივიღეთ... სელიმ ხიმშიაშვილი ახალციხისა და აჭარის მმართველი იყო. ის საქართველოს ისტორიაში უკანასკნელი გმირია, რომელმაც თავისი სიცოცხლე გასწირა იმისთვის, რომ საქართველოს აჭარა არ დაეკარგა... აქ ჩამოსულს გამახსენდა, სელიმი ელმასის სიყვარულისთვის და ამ სიყვარულისადმი მიყენებული შეურაცხყოფისთვის როგორ გაუსწორდა ახალციხის ბეგს შაქირ ათაბაგს...

ამ ქალაქში ჩამოსულს ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს აჭარაში ვიყავი. ბუნებით ძალიან ვგავართ ერთმანეთს - სისხლით, ტემპერამენტით, სიყვარულით, პატივისცემით, სტუმარ-მასპინძლობით. აქ ძალიან საინტერესო აურა დამხვდა, შემოქმედებითად დამუხტული. ძალიან მობილიზებულია მთელი თეატრი იმისათვის, რომ სპექტაკლი წარმატებული გამოვიდეს. ეს ქალაქიც თეატრალურ სულიერებას კარგად ეფერება. ჩემი სპექტაკლი აქაური მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

- რამ გადაგაწყვეტინათ მესხეთის თეატრში დაგედგათ სპექტაკლი?

- თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ქალბატონი ლია სულუაშვილი 2010 წელს ბათუმში, ერთ-ერთ ტრეინინგზე გავიცანი. დავმეგობრდით, მერე შევთავაზე იქნებ თქვენთან სპექტაკლი გავაკეთო-მეთქი. პრესით ვიცოდი, რომ მესხეთის თეატრი საქართველოს რეგიონალურ თეატრებს შორის ერთ-ერთი წარმატებული თეატრია იმ კუთხით, რომ ესენი ყველაზე მეტ პრემიერას თამაშობენ, ეს ძალიან მომწონდა, მაგრამ თან მაფიქრებდა ის, რომ ხარისხი დაიკარგებოდა, მაგრამ პირიქითაა, აქ მყოფი მსახიობები, სწორედ ხარისხის თვალსაზრისით მუშაობენ საინტერესოდ.

- რატომ გადაწყვიტეთ დათო ტურაშვილის „დოდოს მოლოდინში“?

- ერთ ჩემთვის უქმე დღეს დათოს დავუკავშირდი და ვკითხე, რამე ახალი ხომ არა გაქვს რითიც დავინტერესდები-მეთქი. ზუსტად გუშინ დავასრულე პიესაო. გამომიგზავნა. როცა წავიკითხე, ვიგრძენი, რომ აუცილებლად უნდა დამედგა. ამ პიესაში ისეთი აქტუალური თემებია, რომელიც ყველას აწუხებს. ემიგრაცია, ქალები, რომლებიც მოწყვეტილნი არიან თავიანთ ოჯახებს და საზღვარგარეთ სხვის დედებსა და შვილებს უვლიან. არის ძალიან ბევრი ტკივილი, ბევრი სევდიანი სურათი, და უფრო მეტ გონიერებისკენ მოგვიხმობს. რას ვაკეთებთ?! დედა ხომ ძალიან დიდი ღირებულებაა შვილისთვის, აქ დატოვებულ შვილებს სწორედ ეს დედური სითბო აკლიათ, რის გამოც ხშირად მამას უპირისპირდებიან. ოჯახური იდილია, რომელიც ზრდის ადამიანს, დარღვეულია. დათოს პიესაში ერთი ოჯახის პრობლემაა, მაგრამ მთელი საქართველო იგულისხმება. ამიტომაც, წაკითხვისთანავე საინტერესო იყო ჩემთვის, ძალიან ემოციურია მუშაობის პროცესშიც. ეს არის ნამდვილ ამბებზე აგებული ისტორია...

- გეგმაში სპექტაკლის უცხოეთში წაღებაც, ხომ არ გაქვთ?

- ამაზეც მიფიქრია, ვინმე თუ ამ კუთხითაც დაინტერესდება, გამიხარდება. მარტო ამ თეატრიდან 5 ქალია წასული უცხოეთში. ზუსტად იმ სიტუაციაში არიან, რაც დათოს თავის პიესაში აქვს ასახული. ერთ-ერთს გავუგზავნე პიესა. ეს ჩვენი რეალობაა, იგივე ცხოვრებით ვცხოვრობთო. ეს არის ყოველდღიური დამცირების, ფასეულობების კარგვის, ღირებულებების გადაფასების რეალობა. შენი ტყავიდან რომ გამოდიხარ და უცებ სხვა ადამიანად იქცევი, სხვანაირი დამოკიდებულება გიჩნდება, რადგან მოხვდი სამყაროში, სადაც ლმობიერებით ვერაფერს მიაღწევ. ბევრი ფსიქოლოგიური მომენტის გადალახვა გიხდება, რომელიც საბოლოოდ ფსიქიკას გირღვევს. სიყვარული, რომელიც ადამიანებს თან უნდა სდევდეს, მშრალი ხდება, ეს გრძნობა იკარგება.

- როგორია დათო ტურაშვილთან მუშაობის პროცესი, როგორია დრამატურგი?

- დათოსთან უკვე მერამდენე პიესაზე ვმუშაობ და ყოველთვის მაქვს კომფორტი. არ მზღუდავს, რამის შეცვლა, დამატება ან დაკლება თუ მოვისურვე, ითვალისწინებს. კონსულტაციის შედეგად ტექსტებიც გამომიგზავნა, რომელიც ძალიან საინტერესოდ გააკეთა. მთლიანობაში ძალიან კარგი გუნდი შეიქმნა. დათომ, თავისივე პიესით თავისი პოზიცია დააფიქსირა იმ ემიგრანტი ქალებისა და აქ დარჩენილი ფულის რიგში მდგომი კაცების წინაშე. იმაზე, თუ კაცმა რამდენად დაკარგა თავისი ფუნქცია... ნინო გუგეშაშვილია, მწერალი და კომპოზიტორი, რომელმაც გენიალური მუსიკა დაწერა, რაც ამ თეატრისთვის და ამ ქალაქისთვის სიახლეა, რადგან სპექტაკლისთვის დაიწერა მუსიკა. კოსტიუმების მხატვარი და სცენოგრაფი, თავიანთი ესთეტიკითა და ღირებულებით გამოირჩევიან... შრომისუნარიანი და პატიოსანი დამოკიდებულებით ემსახურება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

27-28 ნოემბერი დათო ტურაშვილის „დოდოს მოლოდინში“



პიესა ასახავს ქართველი ემიგრანტების ცხოვრებას საბერძნეთში და მოგვითხრობს ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი ქალების ისტორიებს. „დოდოს მოლოდინში“ ავტორმა საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში მოღვაწე ათასობით ყველა იმ ქართველ ქალს მიუძღვნა, ვისთვისაც საქართველოში დაბრუნება, ყველაზე სანუკვარი ოცნებაა...

EXCLUSIVE

ეს ხალხი თავიანთ საქმეს, მაგრამ, სამწუხაროდ, რეგიონალური თეატრების უბედურება ის არის, რომ რჩება რეგიონის მასშტაბით, ფართო საზოგადოებამდე ვერ მიდის. ამას ცალკე ხარჯები სჭირდება... სამომავლოდ, ალბათ, ასეც იქნება. რადგან ამ თეატრში ბევრი ღირებული სპექტაკლია, რომელიც სხვებმაც უნდა ნახონ... ჩვენ პრემიერა 27-28 ნოემბერს გვექნება, შემდეგ კი ჩემი დიდი სურვილია, რომ ჩემი ნამუშევარი, ჩემს ქალაქს ბათუმს ვაჩვენო, ასევე მინდა ხულოს თეატრშიც ჩავიტანო, ამ სპექტაკლში შუახევიდან მოწვეული მსახიობი რამაზ ბოლქვაძე თამაშობს.

ლია სულუაშვილი, მთავარი როლის შემსრულებელი: „ჩვენ კურსი გვაქვს აღებული, რომ ჩვენი ქართველი თანამედროვე დრამატურგების პიესები განვახორციელოთ, ჩვენს მაყურებელსაც ძალიან უყვარს ქართული დრამატურგია. დათო ტურაშვილს, როგორც პიროვნებას, ძალიან ვაფასებთ, გვიყვარს, თავისი უშუალობით, მართალი კაცობით. მას აქვს ის, რაც დღეს საქართველოში დეფიციტია. ადამიანები ერთს ფიქრობენ, მეორეს ამბობენ, მესამეს აკეთებენ; დათო კი, რასაც ფიქრობს იმას ლაპარაკობს. პიესაშიც ეს მომენტები აქვს. ჩვენ რეალობას ასახავს. ალბათ, ოჯახი არ არის დარჩენილი, ვისაც ერთი ასეთი გამრჯე პიროვნება არ ჰყავს უცხოეთში. ეს არის, რომ ბევრს არ ესმის, რომ მათ მიერ გამოგზავნილი თანხა არ შეიძლება ხელაღებით, ჩვენს სურვილებზე ვხარჯოთ. აქ დარჩენილები უფრო მეტი დაფიქრებითა და პატივისცემით უნდა მოვეპყროთ მათ ასეთ წამებრივ შრომას... მაგრამ, ყველაზე მთავარი ის არის, რომ საქართველო ქართველების უნდა იყოს ყოველთვის და ისე უნდა მოეწყოს ჩვენი ცხოვრება, რომ ყველა თავის მიწა-წყალს დაუბრუნდეს და ჩვენ ეს პრობლემა აღარ გვქონდეს“.

დათო ტურაშვილი: „ამ პიესის დაწერის იდეა საბერძნეთში გამიჩნდა, სადაც ათასობით ქართველი ქალი დროებით ცხოვრობს, მაგრამ გამუდმებით შრომობს საქართველოში დარჩენილი ოჯახების გადასარჩენად. თუმცა ასეთები არა მხოლოდ საბერძნეთში, არამედ ამერიკასა და ევროპის სხვა ქვეყნებშიც საკმარისზე ბევრნი არიან და რეალურად მათზე არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა. მეტიც, კაცებს გვიჭირს ამის აღიარება, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, საქართველოს შენარჩუნებაში სწორედ ასეთმა ქალებმა შეასრულეს განსაკუთრებული როლი. როგორც ჩანს, დედის ინსტინქტმაც იმუშავა და იმ კაცებისაგან განსხვავებით, რომლებიც წუთისოფელს დანებდნენ, ჩვენი ქალები გაცილებით მობილიზებულები აღმოჩნდნენ ახალი დროის პრობლემებთან გასამკლავებლად.

ამ პიესის სიუჟეტიც ერთი თანამედროვე ბერძნულ-ქართული ტრაგიკომედიაა, მაგრამ დოდო არამხოლოდ ერთი პერსონაჟი ქალის სახელია, რომლის მოლოდინშიც საქართველოში დარჩენილი რამდენიმე კაცი ცხოვრობს. უფრო სწორად კი დოდოს კი არა, არამედ დოდოს მიერ ყოველთვიურად გამოგზავნილ ფულს ელიან ეს კაცები და ზოგჯერ ამ ფულს (რბილად რომ ვთქვათ), არამიზნობრივად მოიხმარენ ხოლმე.

- როგორ შეხვდით რეჟისორის წინადადებას, რომ მესხეთის თეატრში დაედგა სპექტაკლი?

- განსაკუთრებით მიხარია, რომ სპექტაკლს, ამ პიესის მიხედვით, ახალციხეში დგამენ და რაც მეტად გადანაწილდება ჩვენი კულტურული (და ნებისმიერი) ენერგია მთელს ქვეყანაში და არ იქნება კონცენტრირებული მხოლოდ თბილისში, უფრო მეტად გვექნება იმის შანსი, რომ თანამედროვე ტიპის სახელმწიფო შევქმნათ. საერთოდ კი უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის წარმოშობა და განვითარება, სწორედ სამხრეთ საქართველოსთან არის დაკავშირებული და ახლა ყველამ უნდა ვიფიქროთ სამაგიერო ნაბიჯებზე, როგორც მადლიერმა მემკვიდრეებმა.

ვახო ბერიძეს კი მინდა მადლობა ვუთხრა იმის გამო, რომ არასოდეს ჩერდება და ყოველთვის ცდილობს შემოქმედებითი პროცესისგან მიიღოს მთავარი სიამოვნება და ამიტომაც ყოველთვის სიამოვნებით ვითანამშრომლებ მასთან, როგორც რეჟისორთან...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დეა თავბერიძე

პირველი აღიარება და გამარჯვება სანკტ-პეტერბურგში!

მოზარდმაყურებელთა თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი თბილისში დღეს გამთენიისას დაბრუნდა. მანამდე კი მათ გამარჯვება სანკტ-პეტერბურგში იზეიმეს. აღიარება თეატრმა კამერული სპექტაკლების მეოთხე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „არტ-ოკრაინა“ -ზე მოიპოვა. ფესტივალი საკონკურსო ხასიათს ატარებდა. 100 შემოსული განაცხადიდან ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფმა 7 ქვეყნის 9 სპექტაკლი აარჩია, პოლონეთიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით. საქართველო და თბილისის მოზარდ-მაყურებელთა თეატრი ამ 9 სპექტაკლს შორის მოხვდა. ქართველმა მსახიობებმა სპექტაკლი „დეჟა ვიუ“ წარადგინეს.

ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიალზე სპექტაკლს წილად ხვდა სანკტ-პეტერბურგის საზოგადოება „თეატრალის“ მიერ დაწესებული პრიზი და დიპლომი: „მაყურებელთა სიმპათია“- რეჟისორს - ალექსანდრ გელმანის პიესის არაორდინარული ინტერპრეტაციისთვის, მსახიობებს - ღრმა, ტემპერამენტიანი და მუსიკალური აქტიორული დუეტისთვის.

რეჟისორი: ხათუნა მილორავა
მსახიობები: ნინო ლეჟავა და კოტე თოლორდავა



ზალიკო ბერგერის საჩუქარი ბავშვებს



ზალიკო ბერგერი პატარებისთვის საახალწლო საჩუქარზე ზრუნვას უკვე შეუდგა. დიზაინერმა ახალი წლისთვის მათი პოდიუმზე გამოყვანა განიზრახა. ბავშვების შერჩევა უკვე დაიწყო, ამიტომ საგანგებო განცხადებას აკეთებს და ყველას, ვისაც კი პოდიუმზე გამოსვლის სურვილი აქვს, დიზაინერი თავისთან უხმობს. თავად კი მანამდე თარგების მომზადებითა და სამოსელის დიზაინით არის დაკავებული.

ზალიკო ბერგერი: „საბავშვო სამოსის კოლექციის ჩვენება უკვე რამდენჯერმე გავაკეთე. ძალიან უყვართ პატარებს პოდიუმზე ახალი სამოსით პოზირება. ამჯერად ჩვენებას დეკემბრის ბოლოს, საახალწლოდ ვაპირებ. მე და დიზაინერი ანა ჩანგიანი ვმუშაობთ ერთად. ანას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ბავშვებთან მუშაობის, ამიტომ გადავწყვიტეთ ერთობლივად გვემუშავა. სამოსი უკვე იკერება და საახალწლოდ საკმაოდ დიდი კოლექცია გვექნება. ბავშვებს ვიღებთ 6-დან 12 წლამდე. ასევე ერთობლივ სახელოსნოს ვაკეთებთ, სადაც არამარტო ბავშვების, დიდების სამოსიც შეიკერება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

11 დეკემბერს თბილისში COOLIO ჩამოდის

ამერიკელი მუსიკოსი კლუბ „მოსკოვში“ ერთსაათიან კონცერტს მართავს

„კლუბში ვინ ჩამოგიყვანიათ? გვკითხა და ჩვენ რუსი შემსრულებლები დავუსახელეთ - „ბუმბოქსი“, „გრადუსი“. აღმოჩნდა, რომ ის არ ცნობს რუსულ ბაზარს. მერე შევძელით დაყოლიება. გადაგვაგზავნინა კლუბის ინტერიერის ფოტოები, დაინტერესდა ბევრი დეტალით“

11 დეკემბერს, გამთენიისას, თბილისს ორი დღით ამერიკელი მუსიკოსი, რეპერი და მსახიობი ქულიო ესტუმრება. რეპერი ლას ვეგასიდან ჩამოდის და კლუბ „მოსკოვში“, 12 დეკემბერს, 22 საათზე, ერთსაათიან ცოცხალ კონცერტს გამართავს. კონცერტის ორგანიზატორია კლუბი „მოსკოვი“, კლუბის პარტნიორი კი კომპანია „მაქსიმუმი“. ქულიოს ვიზიტის გენერალური სპონსორი ტურისტული კომპანია „კაპიტანი პლიუსი“ გახლავთ. კონცერტის მხარდამჭერი და სპონსორი კომპანია „მაქსპრომია“. რეპერს თან საქსოფონისტი ჩამოჰყვება. პროგრამაში ჰიტები და ახალი კომპოზიციები შედის. როგორც ორგანიზატორები ამბობენ, სულ 500 ბილეთის გაყიდვას გეგმავენ, ბილეთის ფასი 80 ლარია. კონცერტზე დასწრების მსურველთა რაოდენობის გარდა ასაკიც დაკონკრეტებულია - 23 წლის ქვევით ახალგაზრდები რეპერის შოუს ვერ დაესწრებიან. ეს ქულიოს მოთხოვნა ყოფილა.

Gangsta rap-ის შემსრულებელი თბილისს 1998 წელს ჯაზფესტივალის ფარგლებში სტუმრობდა. კარგად მახსოვს, მაშინ, „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში ნატა ამაღლობელი ფილარმონიიდან ერთვებოდა და რეპერთან კომენტარზე რომ მივიდა, უცებ ქულიომ ზურგზე წამოიკიდა.

50 წლის რეპერს ექვსი შვილი ჰყავს. საქართველოში კი მხოლოდ საქსოფონისტთან ერთად ჩამოდის.

კომპანია „მაქსიმუმის“ საშუალებით კლუბი „მოსკოვი“ ქულიოს პროდიუსერთან ერთთვიან მოლაპარაკებას აწარმოებს. როგორც ამბობენ, დაყოლიება მაინცდამაინც ადვილი არ ყოფილა. საბოლოოდ კი ყველა დეტალისა და ნიუანსის გათვალისწინებით, როგორც იქნა, დასტური მიიღეს.

„კლუბში ვინ ჩამოგიყვანიათ? გვკითხა და ჩვენ რუსი შემსრულებლები დავუსახელეთ - „ბუმბოქსი“, „გრადუსი“. აღმოჩნდა, რომ ის არ ცნობს რუსულ ბაზარს. „მაქსიმუმს“ ბევრი ცნობილი ადამიანი ჰყავს ამერიკიდან და ევროპიდან ჩამოყვანილი და ამით შევძელით მისი დაყოლიება. გადაგვაგზავნინა კლუბის ინტერიერის ფოტოები, დაინტერესდა მომსვლელთა ასაკით. ყველა ნიუანსს ვთვლით და გვინდა, რომ მაღალ დონეზე დავახვედროთ ყველაფერი. თავიდან 45-წუთიანი კონცერტი სურდა, მაგრამ ვთხოვეთ და ერთსაათიანზე შევთანხმდით. წინა დღეს, 11 დეკემბერს შეამოწმებს აპარატურას, გამართავს პრესკონფერენციას და მერე ქალაქს დავათვალიერებინებთ. 1998 წლის შემდეგ თბილისში ბევრი სიახლეა“, - აცხადებს ნათია ცაბუტაშვილი, კლუბ „მოსკოვის“ პიარმენეჯერი.

განსაკუთრებული კაპრიზი რეპერს არ ჰქონია თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მოითხოვა დაცვა და ესკორტი. არჩევანი ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „შერტონ მეტეხი პალასზე“ გააკეთა, როგორც პირველი ვიზიტისას.

საინფორმაციო მხადამჭერებს ინტერვიუს გვაძლევს. „პრაიმტაიმის“ გარდა რეპერი ვანო ჯავახიშვილის შოუში მივა. ქულიო დაინტერესდა, რომელ შოუში იყო ყველაზე მეტი უცხოელი ვარსკვლავი სტუმრად და ამ ნიშნით აურჩევია „The ვანოს შოუ“. ორ ვიდეორგოლს თვითონ იღებს და გზავნის. რეპერი ამერიკიდან რგოლებით გვესალმება - „ჰელოუ, საქართველო, კლუბ „მოსკოვში“ ჩამოვდივარო“. როგორც გავარკვიეთ, ვანოს შოუსთვისაც იღებს პატარა რგოლს ფრაზით - „ჰელოუ, ვანო, შენს შოუში ვიქნები სტუმრადო“.

რეპერმა თავისი მოთხოვნების სია გადმოგზავნა. კონცერტის მსვლელობისას მის მენიუში უნდა იყოს: არაყი „გრეიგუსი“, შამპანური „მოეტი“, „კოკა-კოლა“, „სპრაიტი“, (თითო 6 შეკვრა), ფორთოხლის, ანანასის და ჟოლოს წვენები, ყველის ასორტი, ჩიფსები. ითხოვს თავისუფალ ვაიფაის, აიფედს და დრესრუმს კონდინციონერით. ქულიოს მოუთხოვია ქართული თაფლი. წინა ვიზიტზე უგემია და ძალიან მოსწონებია. ქართული ღვინო მის მოთხოვნებში არ შედის, თუმცა მასპინძლები, ბუნებრივია, ახვედრებენ. რესტორან „თბილისში“ და პაბ „გლასგოში“ ასადილებენ. ორგანიზატორები გამოტყდნენ, რომ რეპერის ჩამოყვანა საკმაოდ სოლიდური თანხა დაჯდა.

ნათია ცაბუტაშვილი (კლუბ „მოსკოვის“ პიარმენეჯერი): „სექტემბრიდან კლუბ „მოსკოვის“ რებრენდინგი მოხდა. კლუბის სერიოზული პიარი გვაქვს გადაწყვეტილი. საამისოდ პირველი ნაბიჯისთვის ქულიოს რანგის ვარსკვლავი ავირჩიეთ. ამ თამასას არ დავწევთ და დაგეგმილი გვაქვს მაღალი დონის ვარსკვლავების ჩამოყვანა. კლუბი, იმ ხალხისთვის, ვინც აქ დადის, ყველაფერს აკეთებს, რომ კარგი საჩუქარი გაუკეთოს. ჩვენ პირველობის პრეტენზია გვაქვს. ვეცდებით, რომ საქართველოდან კმაყოფილი წავიდეს, არა მხოლოდ კონცერტით, არამედ მთლიანი ვიზიტით.

ქულიო თბილისიდან პარიზში მიფრინავს, რეპერს ევროპაში ტურნე აქვს.

რეპერმა ქართული თაფლი და ესკორტი მოითხოვა

„ჰელოუ, საქართველო, კლუბ „მოსკოვში“ ჩამოვდივარ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თორნიკე გოგრიჭიანის აქტ

my View
თამარ გონგაძე



„ადამიანი ყველაფერს უმკლავდება, თუკი ნამდვილი სიყვარული აქვს. როცა გიყვარს, რაღაცებს არ ალაგებ, არ გეგმავ, თავისით ხდება. ადამიანებს ერთმანეთი ან უყვართ, ან არ უყვართ. არც უნდა ეცადო, რომ ხელოვნურად გაალამაზო. ეგ გრძნობა ჩემთვის ზრდადია და ამ კუთხით უბედნიერესი ვარ“

თორნიკე გოგრიჭიანი ტელეკომპანია „GDS“-ზე ერთი წელია მუშაობს. პირველი პროექტი იყო დოკუმენტური ფილმების სერია „ლეგენდა“, სადაც მსახიობი მთხრობელის ფუნქციას ითავსებდა. პროექტი ჯაბა მელქაძისა და ლევან დაბრუნდაშვილის ავტორობით განხორციელდა. ეს ის რეჟისორები არიან, ვინც ახლა პირველ ქართულ ფანტასტიკაზე მუშაობს. „პარადოქსში“ თორნიკე მთავარ როლს ასრულებს. დიდი მოლოდინებია. როგორც ამბობენ, ეს ტელე პროდუქტი საკმაოდ ხარისხიანია. ჯაბა მელქაძემ ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში თქვა, რომ თორნიკეს ნათამაშევმა პირველმა რამდენიმე წუთმა ამ სერიალში ბევრი რამ განსაზღვრა. „პარადოქსს“ „GDS“-ის მაყურებელი დეკემბრის მეორე ნახევარში იხილავს. გოგრიჭიანი კი არხის სხვა პროექტშიც დაკავებულია. ის შოუს - „ერთი ერთში“ წამყვანი გახლავთ. წამყვანის ამპლუაში პირველადაა. ეს ემოციების გამოხატვაშიც ეტყობა. ცნობილ ვარსკვლავებად გარდასახულ ქართველებს რომ ხედავს, ემოციებს ვერ აკონტროლებს და გულით იცინის. თორნიკეს პოპულარობა სერიალმა „გოგონა გარეუბნიდან“ მოუტანა. გარდა ამისა გადასაღებ მოედანზე მომავალი მეუღლე გაიცნო. შემდეგ უკვე რამდენიმე მხატვრულ ფილმში გადაიღეს. თეატრალურ სამყაროში კი მისი საეტაპო როლი მაკბეტი გახლავთ. 20 წლის იყო დათო დოიაშვილმა ეს როლი რომ ანდო. მსახიობი თვლის, რომ მაკბეტის როლმა მასში ბევრი რამ შეცვალა. კარიერის მიღმა პიროვნული ცვლილება ქალიშვილის დაბადებას მოჰყვა. ორწლინახევრის ნატაშა მამას ჰგავს. მსახიობს აქტიური პერიოდი უდგას. ლევან თუთბერიძემ თავის ახალ ფილმში ერთი საინტერესო როლი მისცა. მოკლედ, პაუზის შემდეგ თორნიკე საკმაოდ პროდუქტიულია.

„GDS“

თორნიკე გოგრიჭიანი: „რამდენად პაუზა მქონდა, ვერ გეტყვით. სატელევიზიო თვალსაზრისით, ალბათ, იყო, თუმცა მხატვრულ ფილმებზე ვმუშაობდი. „ბუდე“, „ჩემი საბნის ნაკეცი“, „247 ფარენგეიტი“, „რა მოხდა კიევში“, „ფოლკლორი“... „GDS“-ზე პროექტ „ლეგენდაში“ გახლდით დაკავებული. ეს იყო სერია პარანორმალურ და მისტიურ თემებზე. საინტერესო სამუშაო იყო. სულ გასვლითი გადაღებები გვქონდა. ახმეტაში ვიყავით, სადაც 80-იან წლებში დიდი ნაკვალევი შენიშნეს და გადასაღებად თოვლის კაცის კვალდაკვალ ვიყავით. ასევე ჩავედით ნუნისში. საინტერესო ადგილები მოვინახულეთ.

„GDS“-ი როგორი განვითარების გზასაც გადის, წესით ძალიან კარგი უნდა იყოს. ერთი წლისაა და პროექტებით საინტერესოდ ვითარდება. ყველანაირი ტიპის ადამიანისთვის მისაღებია. არ გლლის დამთრგუნველი პრობლემებით, რაც საინფორმაციოს და პოლიტიკურ გადაცემებს მოაქვს.

„პარადოქსი“

„სამეცნიერო ფანტასტიკა ძალიან მიყვარს. ჩემი საყვარელი მწერალია ფილიპ დიკი, რომელიც ამ ჟანრში წერს. მე და ჯაბა მელქაძე ვმეგობრობთ, საერთო ინტერესები გვაქვს. ფანტასტიკური ჟანრის „პარადოქსში“ მთავარი როლიც, ალბათ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით მომცა. ეს სერიალი არ არის, მხატვრული ფილმის ესთეტიკის ფილმია, უბრალოდ, მრავალსერიიანი. არ დაგიმალავთ, ასეთი ხარისხის მასალას არ ველოდი. რომ ვნახე, გავოცდი. გარემო, მეტროს გვირაბი კი მიწყობდა ხელს, რომ საშიში გამოსულიყო, მაგრამ სულ სხვა აღმოჩნდა. საინტერესო და დინამიკური საყურებელია. სანამ ხმას არ ამოიღებენ, ეჭვი არც გაგიჩნდება, რომ ეს ქართული სერიალია. ამ ჟანრს არავინ შეჭიდებია აქამდე, ან თუ შეჭიდებია, ასეთი კუთხით - არა. მსახიობებიც აჟიტირებულნი ვართ, კარგად აჟიტირებულნი“.

- ეს შენთვის ერთგვარი ნახტომია „გოგონა გარეუბნიდან“ ფანტასტიკის ჟანრის სერიალში?

„ერთი მწვერვალიდან მეორეზე პირდაპირ ვერ გადახვალ. ჯერ ქვევით უნდა ჩამოხვიდე და მერე ისევ ახვიდე - ამ ცნობილ გამოთქმას მიშა თუმანიშვილი ამბობდა ხოლმე. ვცდილობ, არ ვიფიქრო იმაზე, ავდივარ თუ ჩამოვდივარ, უბრალოდ, მინდა ვაკეთო ის, რაც ძალიან მიყვარს და ამაში ჩავდო ენერგია“



- კი. თუმცა „პარადოქსი“ ტიპიური სერიალი არ არის, ტელეფილმია.

- აღარ ითამაშებ იმ ტიპის სერიალში, როგორიც „გოგონა გარეუბნიდან“ არის?

- არა, „გოგონა გარეუბნიდან“ ტიპის სერიალში აღარ ვითამაშებ. არ არის საინტერესო ჩემთვის. „პარადოქსს“ იმიტომაც დავთანხმდი, რომ არ არის სერიალი. მაშინ სხვა სიტუაცია იყო. კამერასთან მუშაობის გამოცდილება არ მქონია. სერიალი კიდე მსახიობს გეხმარება ფორმაში იყო. მოკლედ, იმ დროს იმ სერიალს თავისი პლიუსები ჰქონდა. მას შემდეგ ბევრ ფილმში ვითამაშე. მხატვრულ ფილმებზე გადავერთე, ანუ სწორად წარიმართა ჩემი კარიერა. სატელევიზიო კუთხით მოცემული ასეთი შანსი მსახიობს ცნობადს ხდის. შემდეგი ეტაპი უკვე კინოა.

- ყველაზე დიდი პლუსი დაგავიწყდა - ნინო ქორიძე ხომ „გოგონას“ გადასაღებ მოედანზე გაიცანი.

- კი, ეგ მართლა ყველაზე დიდი პლუსია, ჩემი აზრით.

- ორი პლუსი ჰქონია იმ სერიალს, ჯერ ნინო, მერე პოპულარობა...

- ჩემთვის ჯერ პირადია და მერე კარიერა.

- მახსოვს, „გოგონადან“ რომ წახვ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ურრი და ბედნიერი პერიოდი

„ამბიცია იმდენი მაქვს, რამდენიც უნდა მქონდეს“

„უსაქმობით დაღლას მირჩევნია იმ საქმით დავიღალო, რაც მიყვარს. შეიძლება ითქვას, რომ აქტიური პერიოდი მიდგას“

EXCLUSIVE

„გოგონა გარეუბნიდან“ ტიპის სერიალში აღარ ვითამაშებ. არ არის საინტერესო ჩემთვის. მაშინ სხვა სიტუაცია იყო. კამერასთან მუშაობის გამოცდილება არ მქონია“

ედი, შენზე ამბობდნენ, ამბიციურიაო.

- ამბიცია იმდენი მაქვს, რამდენიც უნდა მქონდეს, იმაზე მეტი არა.

ფილმები - აქტიური პერიოდი

„ძალიან მომწონდა ფილმ „ბუდეზე“ მუშაობა. თორნიკე ბზიავას ფილმია, სადაც მამაჩემის როლს თორნიკეს მამა კოკა ბზიავა თამაშობს. გადასარევი ადამიანი იყო... თბილი ფილმი გამოვიდა. დიდი გამოცდილება მივიღე ზაზა რუსაძესთან მუშაობით, ფილმზე „ჩემი საბნის ნაკეცი“. ჩემთვის მისაბაძ მსახიობებთან ერთად ვითამაშე, ისეთებთან როგორიცაა ავთო მახარაძე, ზურა ყიფშიძე, გიორგი ნაკაშიძე... ფილმიც საინტერესოა, ზაზა როგორც ხედავდა, რა აღქმითაც. ამიტომაც მოხვდა „ბერლინალეზე“ ოფიციალურ სექცია „პანორამაში“. ფესტივალზე თებერვალში ვიყავით. წარდგენილი ვიყავით საუკეთესო სადებიუტო ფილმის ნომინაციით. ასევე ამ ნომინაციაში ნანა ექვითიმშვილის „გრძელი ნათელი დღეებიც“ იყო წარდგენილი. ქართული ფილმი იწყებს აღმასვლასო, მაშინ ითქვა.

ლევან თუთბერიძის ფილმი „ფოლკლორი“ ჩემთვის საინტერესო იყო როლის თვალსაზრისით. ამ ფილმში ვიზუალურად სხვანაირი ვარ, ნაკვთებიანად შეცვლილი. ხადას ლამაზ ხეობაში ვიღებდით. ბრიტანელ გოგოს ქართველი შეყვარებული ჰყავს. ამ ბიჭს ფოლკლორის ფესტივალზე ჩამოჰყავს გოგონა. ფილმი მენტალობისა და კულტურის შეუთავსებლობაზეა. მე მთის მკვიდრი ვარ, სახელად კოპალე - მითიურ გმირის პროტოტიპი. რაც კი გამიკეთებია, ყველაზე განსხვავებული როლია. წარსულში რაღაც ცუდი საქციელის გამო სოფელმა გარიყა. კეთილ საქმეებს უკეთებს სოფელს. აღთქმა აქვს დადებული, არ მეტყველებს. დამაინტრიგებელი პერსონაჟია. ფილმის მანძილზე ვერ ხვდები, დადებითი თუ უარყოფითი პერსონაჟია. სექტემბერში ამ ფილმსა და „პარადოქსზე“ ერთად ვმუშაობდი. ყაზბეგიდან თბილისში, მეტროს გვირაბში გავრბოდი გადაღებებზე. დამღლელია, მაგრამ რაც გინდა იმას აკეთებ და სასიამოვნოა ეს დაღლა. უსაქმობით დაღლას მირჩევნია იმ საქმით დავიღალო, რაც მიყვარს. შეიძლება ითქვას, რომ აქტიური პერიოდი მიდგას“.

„ერთი ერთში“

„სპონტანურად ამიყვანეს შოუში „ერთი ერთში“. ეთერამდე ორი დღით ადრე მითხრეს და რატომღაც დავთანხმდი. პირველად ვარ გადაცემის წამყვანი, თან პირდაპირ ეთერში. ღელვას აზრი არ ჰქონდა, გადაცემას ხომ არ ჩავშლიდი“.

- თვალში რაც მხვდება ის არის, რომ გეცინება გარდასახულ კონკურსანტებს რომ ხედავ. ემოციას ვერ იკავებ.

- ეს ეტყობა გამოუცდელობის ბრალია. რომ ვნახე, ასეა კი, ძალიან ბუნებრივად გამიცინია. ალბათ, სასაცილო იყო და გავიცინე. რაც უფრო მართალი ვიქნები, ვფიქრობ, უფრო მისაღები ვიქნები მაყურებლისთვის. წამყვანის სტილზე უარყოფითი შეფასება არ მომისმენია, ალბათ, ძალიან ვუყვარვარ და მიმალავენ.

- თვითონ მსგავს შოუში მიიღებდი მონაწილეობას?

- არა, არ მივიღებდი.

- არ მღერი?

- მხოლოდ ვიწრო წრეში.

მაკბეტი

„თეატრში „დორიან გრეის პორტრეტს“ ნინო ჩაკვეტაძე დგამს. მალე გასტროლები გვექნება. „მაკბეტი“ და „ზაფხულის ღამის სიზმარი“ მიგვაქვს. მაკბეტის როლი რომ მომცა, 20 ნლის ვიყავი. მერე აგვისტოს ომი იყო და გავჩერდით. როცა სპექტაკლი გამოვიდა 22 ნლის ვიყავი. უკვე მეხუთე ნელია რაც ვთამაშობ. ჩემს კარიერაში საეტაპო როლია. ამ როლმა ბევრი რამ განაპირობა. გამზარდა, შემცვალა, ყველაფერს სხვანაირად ვაკვირდები და ვფიქრობ. ამაში დათო დოიაშვილს დიდი ნვლილი მიუძღვის. ვივიწყებ რა ვითამაშე წინა ჯერზე. ვცდილობ ყოველ ჯერზე სხვანარი ვიყო, ვიცხოვრო მაკბეტში.

ბედნიერება

- 27 ნელი რა ასაკია შენთვის?

- ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ასაკის შემდეგ როგორი ვიქნები. მიღწეული ბედნიერების შემდეგ - სიყვარული, ოჯახი, შვილი და პროფესია - უკვე იწყება იმის გამომუშავება, რომ ეს ყველაფერი შეინარჩუნო. წარმატების შენარჩუნება უფრო რთულია, ვიდრე მისი მიღწევა. ერთი მწვერვალიდან მეორეზე პირდაპირ ვერ გადახვალ. ჯერ ქვევით უნდა ჩამოხვიდე და მერე ისევ ახვიდე - ამ ცნობილ გამოთქმას მიშა თუმანიშვილი ამბობდა ხოლმე. ვცდილობ, არ ვიფიქრო იმაზე, ავდივარ თუ ჩამოვდივარ, უბრალოდ, მინდა ვაკეთო ის, რაც ძალიან მიყვარს და ამაში ჩავდო ენერგია.

- გყავს ნატალია. მამობამ რითი შეგცვალა?

- მამობამ ძალიან შემცვალა. მზრუნველი ისედაც ვარ. საერთოდ, სიყვარული ცვლის ადამიანს. მამობა სიყვარულმა მოიტანა. სიყვარულის გაფრთხილების ნიჭი უნდა გქონდეს. გვერდიდან რთულია ამის ახსნა. ყველა თვლის, რომ მისი სიყვარულია ყველაზე მაგარი. როცა გიყვარს, რაღაცებს არ ალაგებ, არ გეგმავ, თავისით ხდება. ადამიანებს ერთმანეთი ან უყვართ, ან არ უყვართ. არც უნდა ეცადო, რომ ხელოვნურად გაალამაზო. ეგ გრძნობა ჩემთვის ზრდადია და ამ კუთხით უბედნიერესი ვარ.

- დაძველებული ღვინოსავით ძვირფასი ხდება?

- ღვინის ტექნოლოგია არ ვიცი, მაგრამ ჩემ შემთხვევაში სიყვარული ზრდადია. მე ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

- მე და ნინო მეხუთე ნელია ერთად ვართო. იყო აღმართ-დაღმართი?

- ჯერჯერობით ჩვენს ცხოვრებაში სულ აღმართია.

- კრიზისული პერიოდები არ გქონიათ?

- ეგ ფსიქოლოგების სუბიექტური აზრებია. ადამიანი ყველაფერს უმკლავდება, თუკი ნამდვილი სიყვარული აქვს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ავთო ვარაზის გამოფენა და უცნობი ტილოები

EXCLUSIVE

მარიამ მიქაძე: „ყოველ ნამუშევართან შეხება ჩვენთვის ძალიან დიდი ემოცია იყო. ძალიან ბევრ ხელოვნებათმცოდნეს არა აქვს ნანახი ის, რაც ჩვენ ამ ნახატების მოძიებისას ვნახეთ“

my View
დეა თავბერიძე

სამხატვრო აკადემიის ინიციატივა და ავთო ვარაზის უცნობი ნახატები. რომლებიც სამხატვრო აკადემიის ოთხმა სტუდენტმა სხვადასხვა კოლექციონერთა კოლექციებსა და ავთო ვარაზის მეგობრებში მოიძია. ამის ხილვის საშუალება დამთვალიერებელს პირველ დეკემბერს სამხატვრო აკადემიაშივე შეეძლება. გამოფენა ერთი თვე გაგრძელდება. გამოფენაზე მყოფნი, ცნობილი მხატვრის შესახებ გამოცემულ წიგნ-კატალოგსაც გაეცნობიან. სამხატვრო აკადემიის ოთხი სტუდენტი მარიამ მიქაძე, ლანა ბაზლიძე, ვერიკო გოცირიძე და თათია თევდორაშვილი კი ამ დღეს მოუთმენლად ელიან.



მარიამ მიქაძე: „ეს არ იქნება მარტო კატალოგი, წიგნში განთავსებულ მხატვრის გამონათქვამებს თან მეუღლის კომენტარებიც ერთვის. გამოფენის იდეა კი ჩვენს კურატორს ალექსანდრა (მაცაცო) გაბუნიას გაუჩნდა. ჩვენ თანაკურატორები ვართ. ძალიან გვახარებს ეს საქმე. რადგან ბევრისთვის საინტერესო და სასარგებლო გამოფენა ეწყობა. ჩვენს კურატორს ძალიან უყვარს ავთო ვარაზის შემოქმედება და გადაწყვიტა, რომ გამოფენა მოგვეწყო. დავუკავშირდით ოჯახის წევრებს, მივიღეთ თანხმობა, სიხარულით შეხვდნენ ამ წამოწყებას და მოგვცეს სია, თუ სად შევძლებდით მოგვეძიებია ამ დიდი მხატვრის ნამუშევრები. სულ 70-ზე მეტი ნამუშევარი დაგროვდა. ამ ნახატებს შორის ბევრია ისეთი, რომელიც ფართო მასისთვის არ არის ცნობილი. ყოველ ნამუშევართან შეხება ჩვენთვის ძალიან დიდი ემოცია იყო. ძალიან ბევრ ხელოვნებათმცოდნეს არა აქვს ნანახი ის, რაც ჩვენ ამ ნახატების მოძიებისას ვნახეთ. ბევრს ამის შანსი არ ეძლევა, ჩვენ გაგვიმართლა ამ მხრივ. როდესაც მის ნახატებს ვუყურებ, საოცარი განცდა მეუფლება. საკმაოდ ღრმა და ყოვლისმთქმელია მისი თითოეული ნამუშევარი“.

თათია თევდორაშვილი: „ავთო ვარაზი, თურმე მეგობრებს ხშირად ჩუქნიდა ნახატებს. აქ ძირითადად მეგობრებისთვის გაჩუქებული ნახატებია. არის გაჩუქებული და შემდეგ გადაყიდულებიც. იყო ასეთი შემთხვევებიც, როცა კერძო კოლექციების მფლობელებმა უარით გამოგვისტუმრეს. თუმცა, უმრავლესობა მაინც დაგვთანხმდა. ვიყავით სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის სენაკის სურათების გალერეაშიც. დანარჩენ ადგილებში რესტავრატორები იყვნენ, რადგან ძირითადად მძიმეა ამ ნახატების მდგომარეობა. ზოგიერთს რესტავრაცია გაუკეთდა.

მიუხედავად საბჭოთა რეალობისა ავთო ვარაზი იმ პერიოდშიც საკმაოდ გამორჩეულ მხატვრად ითვლებოდა. ის პირველი იყო ქართულ მხატვრობაში ვინც პოპ-არტის კოლაჟის ტექნიკა გამოიყენა. ის, რასაც ავთო ვარაზი ქმნიდა ზოგიერთისთვის დღემდეც ძალიან უცხოა, მაგრამ ყველასთვის შთამბეჭდავი.“

თათია თევდორაშვილი: „დანარჩენ ადგილებში რესტავრატორები იყვნენ, რადგან ძირითადად მძიმეა ამ ნახატების მდგომარეობა“

აჭარის კალათბურთის ფედერაციის სამომავლო გეგმები

my View
დეა თავბერიძე

აჭარაში კალათბურთის ფედერაცია რამდენიმე თვის წინ ჩამოყალიბდა. თუმცა, ამჯერად მას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ერთ დროს საკმაოდ პერსპექტიული და პოპულარული კალათბურთელი გოდერძი კორძაძე თბილისიდან აჭარაში სპეციალურად ამ მისიისთვის გადავიდა საცხოვრებლად. თუ რამდენ ხანს დაჰყოფს იქ მისთვის ეს ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი კითხვაა, ხოლო ის კი დანამდვილებით იცის, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიჰყვება და დასახულ მიზანს სისრულეში მოიყვანს. მიზანი კი აჭარაში კალათბურთის განვითარებაა. ფედერაციას გეგმაში აქვს ნიჭიერი, პერსპექტიული მოზარდების მოძიება, გამოვლენა და მათი კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით ადგილობრივ თუ სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა.

EXCLUSIVE

„ფედერაციას გეგმაში აქვს ნიჭიერი,პერსპექტიული მოზარდების მოძიება, გამოვლენა და მათი კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით ადგილობრივ თუ სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა...“

მარიამ მიქაძე: „აჭარაში კალათბურთი ყოველთვის დიდი ტრადიციებით გამოირჩეოდა, მაგრამ დღეს სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არა გვაქვს. თუმცა, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამ სპორტის სახეობას ისევ გამოუჩნდნენ ქომაგები. სწორედ მათი თანადგომის დიდი იმედი მაქვს. მე კი ამ საქმის წარმატებისთვის ჩემს შესაძლებლობასა და გამოცდილებას არ დავიშურებ. კალათბურთი ჩემი ცხოვრების ნაწილია. ფედერაციას სამომავლოდ ძალიან დიდი გეგმები აქვს. მთავარია ჩამოყალიბდეს ძლიერი კლუბი, რაც ნიჭიერ კალათბურთელთა წინსვლას შეუწყობს ხელს.

- რა არის აჭარის კალათბურთის ფედერაციის მთავარი პრიორიტეტი?

- მთავარი პრიორიტეტი ბავშვთა კალათბურთის განვითარებაა. კალათბურთი ხელს უწყობს ადამიანის ფიზიკურ, ასევე ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას. მოზარდთა საზოგადოებასთან რეინტეგრაციას, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ამ სპორტში ადრეული ასაკიდან არის ჩართული. სწორედ ამაზე ზრუნვაა კალათბურთის ფედერაციის ვალდებულება. საჯარო სკოლების კონტინგენტის ხარჯზე მოზარდთა დაინტერესება სპორტის ამ სახეობით, საკალათბურთო წრეების რაოდენობრივად გაზრდა, რაც სამომავლოდ წინა პირობა უნდა გახდეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნდამენტალური აკადემიის გახსნისა. სასურველი და აუცილებელია მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სემინარების ჩატარება. რადგან ზოგადად სპორტის ასამაღლებლად საჭიროა მოზარდთა ენთუზიაზმი და მწვრთნელთა კვალიფიკაციის მაღალი დონე. ეს არის ძირითადი პრიორიტეტები ამ საქმის წარმატებისთვის“.

გოდერძი კორძაძე 32 წელზე მეტია, რაც ამ საქმეს ემსახურება. კალათბურთის თამაში კი 8 წლის ასაკში დაიწყო. წლებმა საკმაოდ წარმატებული კალათბურთელის სახელიც მოუხვეჭა. საბჭოთა კავშირის სამ ასაკობრივ ნაკრებში ითამაშა. არის ხუთგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ორგზის ტურნირ დინამიადის პრიზიორი... 5 გზის საქართველოს ჩემპიონი... სპარტაკიადებს და სხვა ტურნირებს რა მოთვლისო, ხუმრობს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ფრანისა“ და „суХие“-ს საქველმოქმედო კონცერტი

my View
დეა თავზერიძე

ამ საქველმოქმედო კონცერტისთვის თბილისს მუსიკოსები სპეციალურად მოსკოვიდან ეწვევა. ჯგუფი „სუხიე“ კონცერტს „ფრანთან“ ერთად 6 დეკემბერს, თბილისის „ივენთ ჰოლში“ გამართავს. საქველმოქმედო საღამო კომპანია „სოკარი“-სა და „ბრავო რექორდს“-ის მხარდაჭერით ჩატარდება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბილეთებიდან შემოსული თანხა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დღის ცენტრს „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ გადაერიცხება.

ნინო ჟვანია, „პირველი ნაბიჯი საქართველო“-ს თანადამფუძნებელი: „ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის ამ სახის კონცერტები, ძალიან გვიხარია, მით უფრო, რომ ეს მათი ინიციატივაა, ხშირად ჩვენ გვიწევს ხოლმე ენერგიის დახარჯვა, რომ ბიზნესი იყოს ჩართული ჩვენს საქმეში და აქცევდნენ ყურადღებას იმ ბავშვებს, რომლებსაც ნამდვილად სჭირდებათ მათი ყურადღება. ამ შემთხვევაში ეს „ბრავო რექორდსისა“ და „სოკარის“ ინიციატივით მოხდა და ჩვენ ძალიან მადლიერნი ვართ. თანხითაც დაგვეხმარებიან და საზოგადოებაშიც ნელ-ნელა დაინერგება ის, რომ ბიზნესი მხარს უნდა უჭერდეს ქველმოქმედებას“.

ზაზა შენგელია: „უკვე წლებია, რაც კომპანია „სოკართან“ ვთანამშრომლობთ, ისინი ჩვენი კარგი პარტნიორები არიან, ამიტომაც არაერთი საინტერესო პროექტი გვაქვს განხორციელებული ერთად. სწორედ მათი ინიციატივით მოხერხდა ამ ძალიან საინტერესო ახალი ჯგუფის მოწვევა. „სუხიე“ შედარებით ახალი კოლექტივია და წლიდან წლამდე ძალიან იხვეჭს სახელს, ავტორიტეტს და ფანებსაც. მათ უკვე რამდენიმე კლიპი გადაიღეს, მათი LIVE კონცერტი 2013 წლის ზაფხულში ტელეკომპანია „Дождь“-ის პირდაპირ ეთერში გადაიცა. ჯგუფის სიმღერები არა ერთ რუსულ ფილმების საუნდტრეკებად არის გამოყენებული. სიმღერა „Танго“ ნიუ-იორკის ერთ-ერთ პოპულარულ რადიოს როტაციაშიც მოხვდა. თავისი არსით უფრო შემიძლია მივამსგავსო „ზემფირას“ შემოქმედებას, რომელიც ძალიან პოპულარულია საქართველოში და ბევრი მსმენელი ჰყავს. ვფიქრობ, ამ ჯგუფსაც ქართველი მაყურებელი ძალიან კარგად მიიღებს. მაგრამ, ვინაიდან ჯერ ასე კარგად არ იცნობს ჩვენი მსმენელი, გადავწყვიტეთ მათი გამოსვლა ჩვენს ყველაზე ახალგაზრდულ, პოპულარულ ჯგუფ „ფრანთან“ ერთად ყოფილიყო. „ფრანი“ ამ კონცერტზე წარსდგება სრულიად ახალი ჯერ ფართო მაყურებლისთვის უცნობი, გაუჟღერებელი სიმღერებით. ამ ყველაფრისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „სოკარის“ ხელმძღვანელობას, მის დირექტორს ბატონ მაირ მამედოვს და ამ პროექტის კოორდინატორს „სოკარის“ მხრიდან ქალბატონ ნინო დიასამიძეს, რადგან ბილეთებიდან შემოსული თანხა მთლიანად უნარშეზღუდული ბავშვების დახმარების ფონდში გადაირიცხება. ასევე აღსანიშნავია ის, რომ ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილებით „სუხიეს“ გამოსვლა გადაღებული იქნება, რათა შემდგომში მათი ლაივ კონცერტი დივიდიზე გამოიცეს. ვფიქრობ, რომ ჩვენს მაყურებელს და მუსიკის მოყვარულებს ძალიან საინტერესო საღამო ელით“.

ნინო დიასამიძე, „სოკარის“ წარმომადგენელი: „ზოგადად, სოციალურად ძალიან აქტიური ორგანიზაცია ვართ და ძალიან გვინდოდა წლის ბოლოს რაღაც ფორმით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაგვედგა ამ კუთხით. გვახარებს ის ფაქტი, რომ საქველმოქმედი კონცერტი იქნება და ბილეთებიდან შემოსული თანხით მთლიანად ვეხმარებით ბავშვების დღის ცენტრს“.

შოთიკო ზაქარაია, „ფრანის“ წევრი: „აქტიურად ვრეპეტიციობთ. დაახლოებით ორი წელია ასეთი მასშტაბური კონცერტი არ გვქონია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ შემოქმედებითად დიდი პაუზა გვქონდა მეთქი, რადგან სიმღერებს ვწერთ, ერთმანეთს ვუზიარებთ, ფესტივალებზე გამოვდივართ. ხანდახან ბარშიც ვაჟღერებთ ხოლმე. ასეთი დიდი მასშტაბური კონცერტი მართალია ხშირად ვერ გექნება, რადგან თბილისი პატარა ქალაქია, ამიტომ ნახევარ წელიწადში ერთხელაც არ გამოვა. მართალი გითხრათ მე ძალიან მომწონს ეს პაუზები, კმაყოფილი ვარ, მაქვს საშუალება, რომ გადავანაწილო ეს ენერგია და მეყოს. რაც მთავარია, ამ შუალედებში ჩვენ შემოქმედებითად ყოველთვის განვაგრძობთ ცხოვრებას და ყოველთვის ერთად ვართ ხოლმე ჯგუფის წევრები. რა თქმა უნდა, ღელვა არის მსმენელთან შეხვედრის მოლოდინში. გვინდა, რომ მომზადებულები ვიყოთ. ამიტომ პასუხისმგებლობა უფრო მეტია“.

გაგა ჩიხლაძე, ფრანის წევრი: „ვფიქრობ, რომ ამ კონცერტით საკმაოდ სოლიდური თანხა მოგროვდება, მახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენ ამ ბავშვების დახმარებას შევძლებთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. წელიწადში ერთხელ იმართება ასეთი მასშტაბური ღონისძიება და ძალიან ბევრ ხალხს ველოდებით. „სუხიეს“ რაც შეეხება, არ ვიცნობდით ამ ჯგუფს, მაგრამ სამომავლო გეგმები გვაქვს, დუეტი გვინდა ჩავწეროთ ერთად, რაც ხალხისთვის სიურპრიზი იქნება მომავალში. ერთია, რომ სერიოზულ სამზადისში ვართ და ხალხს ტყუილ-უბრალოდ არ მოვიყვანთ“.

ჯგუფი „суХие“ რომელიც 5 მუსიკოსისაგან შედგება 2010 წელს ჩამოყალიბდა. ჯგუფის წევრები თავადვე არიან მუსიკისა და ტექსტის ავტორები. მათი პირველი ალბომი, სახელწოდებით „суХие“ 2012 წელს გამოიცა. ჯგუფის სიმღერები დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს, როგორც რუსეთში, ასევე ქვეყნის გარეთაც.

კონცერტი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში ჯგუფი „ფრანი“ წარსდგება მსმენელის წინაშე, როგორც ყველასათვის საყვარელი სიმღერებისაგან შემდგარი რეპერტუარით, ასევე ახალი მუსიკალური ნომრებით. კონცერტის მეორე ნაწილში, მსმენელი მოსკოველ ჯგუფს გაიცნობს. ხოლო კონცერტის ბოლოს „ფრანი“ და „სუხიე“ ერთობლივად შეასრულებენ მუსიკალურ ნომრებს.

ბილეთების შეძენა შესაძლებელია დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროებსა და www.biletebi.ge-ზე.

ბილეთის ფასი: 20 ლარი.

ბილეთებიდან შემოსული თანხა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დღის ცენტრს „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ გადაერიცხება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N47 (245), ორშაბათი 25 ნოემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ოლრნიკე გოგრიჭიანის აქტიური და ბედნიერი პერიოდი

EXCLUSIVE

EXCLUSIVE

ეკონომიკური ქალაღობის მსხვერპლთა ისტორია მეხსეთის სცენაზე

მაკა ჩიჩუამ ქართველ დიზაინერზე არჩევანი ეტიკეტის დაცვით გააკეთა

EXCLUSIVE

ISSN 1987-7404
9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება